

ვისოცკი

B1



შანელი მარადიული ხიბლით

B3



დასასრულამდე ჯერ ადრეა

B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 5 მარტი, 2005 წელი. №50 (910)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

საზოგადოებრივი ტელევიზიის მეთვალყურეთა პირველი კანდიდატები



არასამთავრო ორგანიზაციათა საინიციატივო ჯგუფმა საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის სასურველი კანდიდატები დაასახელა.

A3

## ეკონომიკა

კონტრაბანდა საქართველოში მაინც "იპარება"



ერგნეთის ბაზრის დახურვის მიუხედავად, ქვეყანაში კონტრაბანდული პროდუქცია კვლავ შემოედინება და მისი წლიური ბრუნვა 25 მილიონ დოლარს შეადგენს.

A4

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 5/3 | 6/3 | 7/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 17 | 14 |
| ქუთაისი | 14 | 19 | 16 |
| ბათუმი | 14 | 14 | 14 |
| სოხუმი | 13 | 17 | 14 |
| ფოთი | 14 | 17 | 15 |
| თელავი | 9 | 16 | 13 |
| ზუგდიდი | 15 | 19 | 15 |
| გორი | 8 | 14 | 11 |
| ახმეტა | 9 | 16 | 13 |
| ჭიათურა | 10 | 16 | 13 |
| გაგრა | 12 | 14 | 13 |
| სამტრედია | 14 | 18 | 16 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.4095 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.5022 |
| რუბლი | 0.0662 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| რეალიები | A8 | სხვადასხვა | B8 |


# პრემიერ-მინისტრის პირველი ბრძოლა

მალხაზ ლანჩავა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ბაქოში იმყოფებოდა.

ამ ვიზიტს თბილისშიც და ბაქოშიც ინტერესით ელოდნენ. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ არცთუ მეგობრული ნაბიჯი გადადგა და თავის ტერიტორიაზე დააკავა საქართველოს კუთვნილი ტვირთები.

საბაბად კი გაცხადდა, თითქოს ეს ტვირთები სომხეთში მიემართებოდა.

უეჭველია, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მაფიოზური სტრუქტურები წინა წლებში მართლაც სარგებლობდნენ ამგვარი სქემით: რუსეთის მხარდაჭერით, ამ ქვეყნიდან (აგრეთვე ცენტრალური აზიიდან - აზერბაიჯანის მოძმე-მონათესავე ქვეყნებიდან) წამოსული ვითომდაც სატრანზიტო ტვირთი, სინამდვილეში, სომხეთში იგზავნებოდა.

წარმოუდგენელია ეს მომხდარიყო მოსკოვის, აშხაბადის, ტაშკენტისა და ასტანას ჩუმი თანხმობის გარეშე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აზერბაიჯანის კლანებიც გვარიანად ითბობდნენ ხელს ამ ბიზნესით. სომხები კი იდუმალად ილიმებოდნენ, როდესაც აცხადებდნენ, ტყუილად გგონივართ იზოლაციაში - საყოველთაოდ ცნობილის გარდა, არსებობს კიდევ სხვა მარშრუტები აზერბაიჯანული ბლოკადის გასარღვევადო - ესე იგი, თვით აზერბაიჯანის ტერიტორია.

ცხადია, ბაქო ამას დიდხანს ვერ მოითმენდა. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანის სპეცსამსახურებს სრული ინფორმაცია ჰქონდათ არათუ საქართველოდან, არამედ თვით სომხეთიდანაც კი, ტვირთების რეალური დანიშნულების თაობაზე.

მაგრამ, აზერბაიჯანმა პრობლემის გადასაწყვეტად მეტად უცნაური ფორმა აირჩია: ტვირთებს აკავებს არა რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ან კასპიის ზღვის პორტებში, არამედ, რატომღაც, უშუალოდ საქართველოს საზღვარზე. მაშასადამე, იმ ქვეყნებთან სასაზღვრო სკანდალს მოერიდა და საამისოდ ჩვენ მიგვიჩნია "დაბალ ღობედ".

მაგრამ, ზურაბ ნოღაიდელმა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბაქოში მოლაპარაკებებისას, მათ შორის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს, საკმაოდ მკვახე ტონით განაცხადა, რომ საქართველო არ მოითმენს ქართული ბიზნესის დაზარალებას.

ის გარემოება, რომ ზოგი რამ მართლაც მიემართებოდა სომხეთისაკენ - არავის აძლევს უფლებას, მთლიანად დააკავოს საქართველოს კუთვნილი ტვირთები.

ისევ და ისევ უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივია, მთელ ამ ისტორიას არც ქართველები აკლებდნენ ხელს და აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წარსული ეპოქის კორუფციული მემკვიდრეობა კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებს თავს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამერიკის და რუსეთის საერთო კანდიდატი აფხაზეთის მთავრობაში

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

მარტის პირველი სამუშაო კვირის დასასრულს ჯერ კიდევ არ არის ცნობილი აფხაზეთის განათლებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების ვინაობა. ორკვირიანი ვადა, რომელიც მინისტრთა კაბინეტის ფორმირებისთვის კონსტიტუციითაა განსაზღვრული, გასულ ორშაბათს ამოიწურა. ამ ორი უწყების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევა მთავრობამ, ჯერჯერობით, ვერ მოახერხა.

თუ ანქვაბის გამონათქვამს გავიმეორებთ, განათლების მინისტრმა **"მუხლჩაუხრელად უნდა იმუშაოს"**, რათა ამ სფეროში არსებული მძიმე ვითარება გამოასწოროს. როგორც ჩანს, ფეხზე დიდხანს დგომის მსურველები ჯერ არსად ჩანან.

სხვაგვარი ვითარებაა საგარეო საქმეთა მინისტრის ვაკანტურ თანამდებობასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ გასული კვირის დასაწყისში, ვიცე-პრეზიდენტმა ხაჯიმბამ პრეზიდენტ ბაგაფშს აღნიშნულ თანამდებობაზე საგარეო უწყების ამჟამინდელი შეფის სერგეი შამბას დატოვება შესთავაზა. შამბას ამ უწყების ხელმძღვანელობის შვიდწლიანი გამოცდილება აქვს, თუმცა მისმა კანდიდატურამ ბაგაფშის მხარდაჭერა არ დაიმსახურა. არაოფიციალური ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტისთვის ბაგაფშის ფავორიტად კვლავ აფხაზეთის ქალთა ასოციაციის ლიდერი ნათელა აკაბა რჩება. ამავე დროს, ასევე არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, შამბას ხელახალ გამინისტრებას, ხაჯიმბასთან ერთად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ვალერი ლოშჩინინი და აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი ლობირებენ. ლოშჩინინმაც და მაილსმაც, აფხაზეთში ვიზიტის დროს, ბაგაფშს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე სწორედ შამბას დატოვება ურჩიეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთიც და ამერიკაც საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელად ერთი და იგივე კანდიდატურას უჭერენ მხარს, საკმაოდ პარადოქსული სიტუაცია იქმნება.

თავად შამბა ყოველგვარი კომენტარისაგან თავს იკავებს. განცხადებებს არ აკეთებენ არც სხვა დაინტერესებული პირები. ბევრი ამ სიტუაციას იმით ხსნის, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში მონაწილე მხარეებს ურჩევნიათ, საქმე ნაცნობ პოლიტიკოსთან დაიჭირონ, რომელიც აფხაზური მხრიდან მოლაპარაკებათა პროცესს უკვე დიდი ხანია, ხელმძღვანელობს. თუმცა, ამერიკა-რუსეთის საერთო ინტერესებს სხვა ალტერნატიული ინტერპრეტაციაც მოუძებნეს. აფხაზეთში მოქმედი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, შექმნილი პარადოქსი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამერიკამ და რუსეთმა კონფლიქტის დარეგულირების საკითხში გარკვეულ კულუარულ შეთანხმებებს მიაღწიეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მივედი, ვნახე, დავიჭერე

სოფიო თოდუა

*რა ამაყად ჟღერს - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი! მაგრამ, ეს ის შემთხვევაა, როცა აჯობებს, გრამატიკის ნორმები დავარღვიოთ და აქაურობა ასე მოვიხსენიოთ - ეროვნული ტუბერკულოზის ცენტრი, რადგან ის, რაც დღეს ხუდადოვზე ხდება, მხოლოდ ჩვენნაირ ქვეყანაში თუ არის შესაძლებელი. ჩემი კოლეგა ტელეჟურნალისტებისაგან განსხვავებით, სიმართლის დამალვას არც მე ვაპირებ, მაგრამ როცა მოშიმშილე ავადმყოფს მთელ ქვეყანას დაანახებ, ისიც უნდა თქვა, რომ ჩვენთან პაციენტებიცა და ექიმებიც ერთნაირად დაუცველნი არიან.*

გაგრძელება A8 გვერდზე



ვახტანგ ჯალაღანიას ფოტო

*მოშიმშილე პაციენტი დათო ჭიღლაძე.*




იხილეთ B3 გვერდზე

# აზერბაიჯანული საქონელი ყარაბაღში, კონტროლირებად ტერიტორიებსა და სომხეთში

სადახლოში სომხები და აზერბაიჯანელები ერთ ენაზე საუბრობენ.

ტატულ აკოპიანი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

*თბილისსა და ბაქოს შორის წინააღმდეგობა გრძელდება. აზერბაიჯანის ხელისუფლება ეჭვობს, რომ საქართველოში შემოსული საქონლის გარკვეული ნაწილი სომხეთში ხვდება, ამის გამო დროდადრო საქართველოსკენ მიმავალ სარკინიგზო ტვირთებს აჩერებს. ამ დროს კი წვრილ მოვაჭრეებს სადახლოს ბაზრობიდან აზერბაიჯანული წარმოების საქონელი დებედას მარჯვენა ნაპირზე გადააქვთ, საიდანაც სომხეთის, მთიანი ყარაბაღისა და კონტროლირებადი ტერიტორიის ასობით სავაჭრო ობიექტში ხვდება.*

*12 იანვარი, ოთხშაბათი.* მთელი დღე საქართველო-სომხეთის საზღვართან, საბითუმო ვაჭრობის ბაზრობაზე გავატარეთ და ვაკვირდებოდით, როგორ გადაჰქონდათ სომხებსა და საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს სადახლო-ბაგრატაშენის ხიდით აზერბაიჯანული წარმოების საქონელი სომხეთში.

ფქვილით მოვაჭრეებს ბაზრობის ქართული ნაწილის მთელი რიგი აქვთ დაკავებული. საქართველოში მცხოვრები ადილი ფქვილის 25 და 50 კილოგრამიანი ტომრებით ვაჭრობს. 25 კილოგრამიანი ტომარა 10 დოლარი, 50 კილოგრამიანი კი 20 დოლარი ღირს. სადახლოს ბაზრობისა და სომხეთისა და საქართველოს საზღვრისპირა დასახლებებში დოლართან ერთად მიმოქცევაშია ევრო, სომხური დრამი, აზერბაიჯანული შირვანი, ქართული ლარი და რუსული რუბლიც. ამ დღეებში აზერბაიჯანული ფქვილი დიდ პარტიებად არ გადააქვთ, რადგანაც სომხეთშიც დაახლოებით იგივე ფასი აქვს. 2003 წლის ზაფხულში, როცა სომხეთში ფქვილის ფასმა მკვეთრად მოიმატა, რესპუბლიკის საზღვრისპირა რაიონებში თვეების განმავლობაში ქ. განჯაში დაფასოებული ფქვილი იყი-

გაგრძელება A5 გვერდზე

# "ღონღაძის საქმის" ერთ-ერთი მთავარი მოწმე და შესაძლო ბრალდებული მკვდარია

სოფიკო ჩხაიძე

*უკრაინის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი იური კრავჩენკო, რომელსაც გუშინ "ღონღაძის საქმესთან" დაკავშირებით დილის 10 საათზე გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე ელოდებოდნენ, 8 საათზე მკვდარი იპოვეს. წინასწარი მონაცემებით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თუმცა, უკვე გუშინვე გაიჟღერა სხვა ვერსიებმაც. მეტიც, საინფორმაციო საშუალებებმა კრავჩენკოს სიკვდილი "შეკვეთილ თვითმკვლელობად" მონათლეს.*

იური კრავჩენკო კიევის მახლობლად, კონჩე-ზასპეში მდებარე საგარაკო სახლში მკვდარი მეუღლემ იპოვა. მისი თქმით, მას მარჯვენა ხელში პისტოლეტი ეჭირა. ერთადერთი ტყვიის კვალი კი საფეთქელთან ემჩნეოდა. აღმოჩენილია მკვლელობის იარაღიც: კრავჩენკოს სახელზე რეგისტრირებული პისტოლეტი "ჩეზეტი".

გაგრძელება A7 გვერდზე

# ახალი გამგებელი ოპტიმისტურადაა განწყობილი



ჟანი კალანდაძე და ვალერი ჩიტაიშვილი მოსახლეობასთან შეხვედრისას.

თამაზ ხარაიშვილი

გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ჟანი კალანდაძემ, ოზურგეთის რაიონული გამგეობის სხდომათა დარბაზში, გამგეობის თანამშრომლებსა და ჟურნალისტებს რაიონის ახალი გამგებელი ვალერი ჩიტაიშვილი წარუდგინა. რწმუნებულმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ასოცირებული საკრებულოს წევრებს შორის შეირჩა სოფელ შემოქმედის გამგებელი, საქმიანი და პიროვნული თვისებებით გამორჩეული ადამიანი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისა და თავად რწმუნებულის სრული მხარდაჭერით ისარგებლებს.

ოზურგეთის რაიონის ახალმა გამგებელმა აღნიშნა, რომ დიდ პატივად მიიჩნევს ნდობას, უდიდესი პასუხისმგებლობის დაკისრებას. იგი ახალ თანამდებობაზე იმედითა და რწმენით მოდის, რადგან ხედავს პოტენციალს, რომ ოზურგეთის რაიონის საქმე წინ წავიდეს. მისი აზრით, საჭირო იქნება გამგეობაში სწორი, გააზრებული საკადრო ცვლილებების განხორციელება, რათა საფუძველი შეიქმნას ეფექტიანი მართვისთვის.

ჟანი კალანდაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ახალი გამგებლისადმი მხარდაჭერა ისეთი უმთავრესი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა ქალაქის წყალსადენის აშენება, გზების კეთილმოწყობა, გაზიფიკაციის სამუშაოების პირველი ეტაპის დასრულება, ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, მოსახლეობის დასაქმებისა და მისი შემოსავლების ზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის დარგების სტიმულირება და ა. შ.

რაც შეეხება ახალი გამგებლის პირველ სამუშაო დღეს, იგი წარდგენის დასრულებისთანავე შეხვდა მოსახლეობას და "გაზმშენის" ხელმძღვანელობას. მოსახლეობას ეუწყა, რომ გენიჩესკის ქუჩაზე გაზიფიკაციის სამუშაოები ერთ თვეში დასრულდება.

დღესვე რწმუნებულმა და გამგებელმა მოინახულეს ოზურგეთელი რეზერვისტები; შემდეგ კი აჭარის ხელისუფლების მიერ ნაჩუქარი ინვალიდის შვიდი ეტლი ოჯახებში მიუტანეს ავადმყოფებს.

# პარლამენტი ენერგეტიკის საკრედიტო პროექტების მიმდინარეობით დაინტერესდა

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ენერგეტიკის სექტორში საკრედიტო პროექტების მიმდინარეობით დაინტერესდა.

პარლამენტის ბიუროს დავალებით, დღეს კომიტეტის სხდომა გაიმართება, სადაც საერთაშორისო საკრედიტო ხელშეკრულებების განხორციელების მიმდინარეობის საკითხებს განიხილავენ.

დღეს კომიტეტი მოისმენს ინფორმაციას 2001 წელს რატიფიცირებული KFW-ის სასაქონლო დახმარების კრედიტთან, 2002 წელს რატიფიცირებული ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მიმდინარეობასთან და 2001 წელს რატიფიცირებული ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით.

მომავალში იგეგმება სხვა მიმდინარე პროექტების განხილვა. ამგვარი მოსმენები, ორი კვირის შუალედით, პარასკევობით გაიმართება.

*ინტერ-პრესი*

# აქცია პარლამენტის წინ



აქციაზე უმრავლესობას სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები შეადგენდნენ.

"მემარჯვენე ოპოზიციის" ხელშეწყობით, პარლამენტის შენობის წინ გამართული ორი საპროტესტო აქციის მონაწილეებმა - გარემოვაჭრეებმა და სამედიცინო კოლეჯის წარმომადგენლებმა - ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც პრესკონფერენციაზე "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ აღნიშნა, ხელისუფლება "არაგონივრულ პოლიტიკას ატარებს, არათანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს და უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილებები აუცილებლად შეუბრუნდება უკან". მისი პროგნოზით, "ხელისუფლებას იმ ფორმით გაუსწორდებიან, რა ფორმითაც ის უსწორდება საკუთარ ხალხს".

თავის მხრივ, სამედიცინო კოლეჯის წარმომადგენლებმა მოუწოდეს პრეზიდენტსა და ხელისუფლებას, მათი საკითხი დროულად განიხილონ და "ნუ აპირისპირებენ სტუდენტებს რექტორთან, რომელიც იდეალური პედაგოგია".

*ინტერ-პრესი*

# საზოგადოებრივი ტელევიზიის მეთვალყურეთა პირველი კანდიდატები

სოფო ბუკია

*არასამთავრო ორგანიზაციათა საინიციატივო ჯგუფმა საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის სასურველი კანდიდატები დაასახელა.*

გია ნოდია, ია ანთაძე, თინა ხიდაშელი, ლაშა ბაქრაძე, ნიკუშა შენგელაია, ანა დოლიძე, ზურაბ კიკნაძე, დათო დარჩიაშვილი, ქეთი ხუციშვილი, ელისო ჩაფიძე, ლიკა ჩახუნაშვილი, თამარ შამილი, ნინია კაკაბაძე, ნოდარ ლადარია, ბადრი კოპლატაძე, მაია მიქაშავიძე, ლევან რამიშვილი, ზურაბ მარაქველიძე, ბექა მინდიაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, თამარ კინწურაშვილი, ნიკა ყაველაშვილი - ასე გამოიყურება არასამთავრობოების მიერ შემოთავაზებული ოცდახუთკაციანი სია. "მიუკერძოებელთა და პატიოსანთა" სიის შედგენაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თავისუფლების ინსტიტუტი, კავკასიური ინსტიტუტი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო", დემოკრატიული ინოვაციების ცენტრი, თბილისის პრეს-კლუბი, "60 წუთი" და არასამთავრობო ორგანიზაცია "ალპე" მუშაობდნენ.



არასამთავრობოთა საინიციატივო ჯგუფი საზოგადოებას აქტიურობისკენ მოუწოდებს.

როგორც გუშინ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტმა დავით პაიჭაძემ აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭოს წევრები სწორედ ამ სიიდან შეირჩევიან, **"დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი გამოცვლიან პირველი არხის ხელმძღვანელობას, რომელსაც ამოწურული აქვს ყველანაირი რესურსი და ტელევიზიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე აირჩევენ ადამიანს, რომელიც რეალური საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნას შეძლებს."**

საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები მოუწოდებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეებისა და განსაკუთრებით - ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლებს, გამოიჩინონ ანალოგიური ინიციატივა და საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრობის მათთვის სასურველი კანდიდატები დაასახელონ.

**"სამეურვეო საბჭოს წევრთა სწორი შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს საბჭო იქნება სწორედ იმის გარანტი, რომ ჩვენ მართლაც დამოუკიდებელ, თავისუფალ საზოგადოებრივ ტელევიზიას მივიღებთ,"** - აღნიშნა ჟურნალისტმა ეკა კვესიტაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

**"24 საათი" უერთდება არასამთავრობო ორგანიზაციათა ინიციატივას და მიმართავს საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და ნებისმიერ მსურველს, მოგვაწოდონ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრობის მათთვის სასურველი კანდიდატების სია, რომელიც აუცილებლად გამოქვეყნდება გაზეთში.**

საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრობის 27 კანდიდატს, რომელთაგანაც პარლამენტი შეარჩევს და დაამტკიცებს ცხრას. კანდიდატების დასახელების ვადის ამოწურვამდე სამ კვირაზე ნაკლები რჩება.

# თანხების მითვისებაში ექვმიტანილები თანამდებობების შენარჩუნებას ცდილობენ

მაია მესხვარიშვილი
*ქუთაისი*

ბოლო თვეების განმავლობაში ქუთაისის მერიას რამდენიმე მაკონტროლებელი ორგანიზაცია ამოწმებს. მათ შორის - კონტროლის პალატა და ფინანსური პოლიცია. გასულ კვირას კი მოკვლევის პროცესში ქუთაისის საქალაქო პროკურატურაც ჩაერთო.

ქუთაისის ფინანსური პოლიციის მასალებზე დაყრდნობით, პროკურატურამ ერთი სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. შპს "საქართველოს გზებს", რომელიც მერიის დავალებით ქუთაისში გზების დაგებას აწარმოებდა, ბიუჯეტიდან 87 ათასი ლარის მითვისება-გაფლანგვა ედება ბრალად. ქუთაისელი სამართალდამცავები, აღნიშნულ საქმეზე საპროცესო შეთანხმების მუხლის გამოყენებით, ამ ფირმასთან კორუფციულად გარიგებული რიგი ადგილობრივი ჩინოსნების გამოვლენასაც არ გამორიცხავენ. კულუარებში ქუთაისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ირაკლი ბერაძე და ყოფილი ვიცე-მერი გივი ჯიბლაძე სახელდებიან, რომლებიც უშუალოდ კურირებდნენ ქუთაისის კეთილმოწყობის, კერძოდ კი, გზების დაგების საკითხებს.

ქუთაისის ფინანსურ პოლიციას კიდევ ორი ფირმის შემოწმება აქვს დასრულებული. ეს გახლავთ შპს "არმაზი", რომელიც მწვანე საფარის მოვლა-პატრონობას ახორციელებდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 68119 ლარი დაიხარჯა. ასევე - ინდ.მეწარმე "ჯანხოთელი", რომელმაც საგზაო მაგისტრალზე მონიშვნითი სამუშაოები შეასრულა. გასულ წელს საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალების მონიშვნისთვის 25 217 ლარი გამოიყო ბიუჯეტიდან.

**"ამ სამ ორგანიზაციაში აღმოჩნდა სერიოზული კანონდარღვევები, კერძოდ, საბუღალტრო წესების დარღვევით ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვა და წარმოება, ასევე, ისეთი დარღვევები, როგორიც არის შემოსავალში აუღებული მასალების ხარჯვა, ამავდროულად ძალიან გაბერილი თანხებით სამუშაოების შესრულება, თუმცა ყველა ჩვენგანმა ვიცით, რომ რა სამუშაოებზეც იქნა დახარჯული ეს თანხები, რეალურად არ გაკეთებულა და არ შესრულებულა,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსი დავით ჯავახაძე, რომლის უწყებამაც აღნიშნული ფირმების შემოწმება, ფინანსური პოლიციის დავალებით, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განახორციელა.

აღმოჩენილი დარღვევების მიუხედავად, საქმეს ექსპერტიზის დასკვნა ართულებს, რომლითაც აღნიშნული ფირმების მხრიდან გაწეული სამუშაოების კეთილსინდისიერი შესრულება დასტურდება. სავარაუდოდ, ქუთაისელი სამართალდამცავები ამ საქმეში ექსპერტიზის ობიექტურობის დადგენითაც დაინტერესდებიან, თუმცა, ქუთაისში უკვე ბევრს საუბრობენ, რომ შესაძლოა, აღნიშნული საქმეები ბოლომდე აღარც მივიდეს.

გასულ წელს ქუთაისის ბიუჯეტიდან კეთილმოწყობისთვის 2 მილიონ 80 ათასი ლარი დაიხარჯა, თანაც ისე, რომ შემსრულებელი ფირმები მერიამ ტენდერის გარეშე შეარჩია და დაიქარავა. რეალურად გაკეთებული კი ამ კუთხით ქალაქში თითქმის არაფერია. წელს ქუთაისის ბიუჯეტში კეთილმოწყობისთვის ჩადებულ 3 მილიონამდე ლარს ტრანსფერტის სახით გამოყოფილი 11 მილიონიც დაემატება, რომელიც ქუთაისში ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა მოხმარდეს. მერიის ადგილობრივ სამსახურებს კი ისევ ძველი კადრები ხელმძღვანელობენ, რომლებიც, თანამდებობების შენარჩუნების მიზნით, დღეს ახალ მერთან მისასვლელი გზებისა და ლობისტების ძიებაში არიან.

# ერთი შეკითხვა საქართველოს პრეზიდენტს

"არსებობს თუ არა გარანტია იმისა, რომ მომავალ ინვესტორებს არ შეექმნებათ პრობლემები ადგილობრივ პარტნიორებთან?- ეს იყო პირველი კითხვა, რომლითაც მიმართეს იტალიაში მყოფ საქართველოს პრეზიდენტს 4 მარტს ბიზნესმენებთან შეხვედრისას.

კითხვა ბიზნესმენ არკან ნასირს ეკუთვნოდა, რომელიც Utah Group Inc.-ის პარტნიორია. ინვესტორთა პრობლემის მაგალითად საქართველოში დასახელდა "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში" არსებული პრობლემები, რომელიც შეექმნა უცხოელ ინვესტორს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ამგვარი ბიზნესფორუმების დანიშნულება სწორედ ესაა, რომ ინვესტორებს ჰქონდეთ საკუთარი ინვესტიციის დაცვის გარანტია ხელისუფლების მხრიდან.

დააკმაყოფილა თუ არა მიხეილ სააკაშვილის პასუხმა საქართველოს მომავალი ინვესტორები, უცნობია. პრეზიდენტს კონკრეტული პასუხი არკან ნასირის კითხვაზე არ გაუცია, თუმცა მასთან გასული წლის თებერვალში შეხვედრის ფაქტი დაადასტურა. არკან ნასირი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა, როგორც საქართველოს ბიზნეს-სივრცით დაინტერესებული პოტენციური ინვესტორი.

არკან ნასირის იტალიურ ფორუმზე მინაწილეობის მიზეზი საკუთარი პერსონის ერთგვარი რეაბილიტაციაა.

"საქართველოს თამბაქოს წარმოების" ამჟამინდელი მფლობელი ავთანდილ წერეთელი და მისი მომხრეები ხშირად მოიხსენიებენ ბიზნესმენს კრიმინალად და ინტერპოლის მიერ ძებნილ პერსონა ნონგრატად. იტალიის ფორუმზე სხვა ბიზნესმენების გვერდით მისი გამოჩენა და თუნდაც ვაშინგტონში, პრეზიდენტთან შეხვედრის ფაქტი არკან ნასირის მიმართ გავრცელებულ ბრალდებას აბათილებს. იმას, რომ ნასირი ინტერპოლის მიერ ძებნილი არაა, მისი თავისუფალი გადაადგილებაც ადასტურებს.

რამდენადაც ცნობილია, 2004 წლის თებერვალში პრეზიდენტმა "საქართველოს თამბაქოს წარმოების" კანადელ ინვესტორს, ჰუსეინ ალის საქართველოში დაბრუნება ურჩია და არსებულ პრობლემებში გარკვევას დაჰპირდა.

ვაშინგტონის შეხვედრის შემდეგ ერთი წელი გავიდა, თუმცა ინვესტორის უფლებები საქართველოში კვლავ შელახულია, ხოლო მისი ქონება უკანონოდაა მითვისებული.

ჰუსეინ ალიმ "საქართველოს თამბაქოს წარმოების" აქციების 90 პროცენტი 2001 წელს შეიძინა. მას შემდეგ ახალ ინვესტორს საქართველოში პრობლემები აქვს და დღეს მისი აქციები არაკანონიერი მფლობელის ხელშია.

ამჟამად ჰუსეინ ალი იტალიაშია და მონაწილეობს ბიზნესფორუმში.

მან საქართველოში საკუთარი სიმართლის დამტკიცების ყველანაირი სამართლებრივი რესურსი თითქმის ამოწურა. "საქართველოს თამბაქოს წარმოების" საკითხზე პროკურატურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ქონების თაღლითური გზით მიტაცების ფაქტზე, თუმცა მისი მსვლელობა სხვადასხვა მიზეზების გამო ჭიანურდება.

2004 წლის 16 სექტემბრის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჰუსეინ ალის ჩამოერთვა აქციათა 90 პროცენტი და მოსარჩელე მხარეს - ერაყელ ახმედ იუნესს გადაეცა, რომელმაც აღნიშნული წილი, სასამართლოდან ორი დღის შემდეგ, ავთანდილ წერეთელს დაუთმო, რომელიც მანამდე მხოლოდ ფაბრიკის 10 პროცენტს ფლობდა, ხოლო ამჟამად 100 პროცენტის მფლობელია.

*პრაიმნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის კონტროლში ევროკავშირის ჩართვის მცდელობას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო "აჩრდილების დევნად" აფასებს. რუსეთის საგარეო უწყებაში დარწმუნებულები არიან, რომ საქართველო რუსეთისა და ევროკავშირის დაპირისპირებას ცდილობს. "ქართული მხარე ცდილობს, რუსეთი ევროკავშირთან დაპირისპირებაში ჩაითრიოს, მაშინ, როცა რუსეთის და ევროკავშირის ურთიერთობები ქართველი პოლიტიკოსების საეჭვო ინტერესების მომსახურებას არანაირად არ ითვალისწინებს", - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს ცხინვალში ქართველი და ოსი კომბატანტების (საომარი მოქმედებების მონაწილეთა) შეხვედრა გაიმართება. სამხრეთ ოსეთის კომბატანტთა თავმჯდომარის თემურ ცხოვრებოვის განცხადებით, ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენა სავსებით შესაძლებელია. მისივე თქმით, ქართველი და ოსი კომბატანტები ცხინვალში ერთმანეთს პირველად შეხვდებიან, თუმცა სხვადასხვა დროს მოსკოვში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სოფელ ავნევში ასეთი შეხვედრები შედგა. ცხოვრებოვის შეფასებით, "რომ არა ომის მომხრე პოლიტიკოსები, რომლებიც ადამიანების სისხლზე ფულს აკეთებენ, ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობის აღდგენა და კონფლიქტის მოგვარების დაჩქარება კომბატანტთა პოტენციალის გამოყენებით შესაძლებელია". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა ბათუმში, რუსეთის სამხედრო ბაზის შენობასთან მრავალრიცხოვანი აქცია გამართეს. "ივანე, წადი სახლში" - ამ ლოზუნგით გენშტაბის შენობასთან მისული მომიტინგეები რუსი სამხედროების გასვლას და გენშტაბის კანონიერი მემკვიდრისთვის დაბრუნებას მოითხოვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 6 მარტს მოლდოვაში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე მონიტორინგის განსახორციელებლად საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციის "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" 13-კაციანი დელეგაცია კიშინიოვში გაემგზავრა. აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლები არჩევნებზე მონიტორინგს ეუთო-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში განახორციელებენ. თავის მხრივ მოლდოვაში არჩევნებს ეუთო-ს მანდატით 150-კაციანი სადამკვირვებლო მისია დააკვირდება. მოძრაობა "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" წევრთა მონაწილეობა ეუთო-ს მისიაში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ხელშეწყობით განხორციელდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები, 39 წლის რამაზ ჟვანია, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა თანასოფლელი, 44 წლის იური კუჭავა. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. თოფი ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის და ზუგდიდის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდში დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, 28 წლის მანუჩარ ეთერია, რომლისგანაც ამოიღეს 0,7 გრამი ოპიუმი და 22 წლის მამუკა ძიგუა, რომლისგანაც ამოიღეს 8,5 გრამის მარიხუანა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონტროლის პალატა "საქართველოს ელექტროკავშირის" შემოწმებას მარტის მეორე ნახევრიდან დაიწყებს. როგორც პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა განაცხადა, ამ საკითხზე პალატის პრეზიდიუმი მომავალ ხუთშაბათს იმსჯელებს. ელექტროკავშირის შემოწმების შესახებ მოთხოვნა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტიდან პალატაში 2 დღის წინ შევიდა. კომიტეტი ითხოვს, შემოწმდეს ერთ-ერთ ფირმასთან დადებული 50-მილიონიანი ხელშეკრულების კანონიერება, რომელიც ელექტროკავშირმა გასულ წელს გააფორმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზმა" გლდანი-ნავთლუღის მაღალი წნევის გაზსადენის აღდგენითი სამუშაოები დაასრულა და გაზმომარაგების განახლება დაიწყო. როგორც "ინტერ-პრესს" "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა გია გოგესაშვილმა განუცხადა, დღეს ბუნებრივი აირი ავჭალისა და სოფელ გლდანის მოსახლეობამ მიიღო. ბუნებრივი აირის გაშვება დაიწყო გლდანის მასივშიც. მომხმარებლისთვის გაზის მიწოდების აღდგენის პროცესი ხვალაც გაგრძელდება. "თბილგაზმა" გლდანი-ნავთლუღის მაღალი წნევის გაზსადენის ავარიულ მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები 1 მარტს დაიწყო. ამის გამო გლდანის მასივის, სოფელ გლდანისა და ავჭალის მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი საქართველოს ელჩისგან განმარტებებს მოითხოვს

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სალომე სამადაშვილი საფრანგეთში საქართველოს ელჩისგან, ნათია ჯაფარიძისგან ახსნა-განმარტებებს მოითხოვს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობილ განცხადებებთან დაკავშირებით.

როგორც სამადაშვილმა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, საფრანგეთის შს მინისტრის განცხადება პანკისის ხეობაში ბიოლოგიური იარაღის წარმოების თაობაზე "საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზე უარყოფითად აისახება".

რუსული საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასის" მიერ 1 მარტს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საფრანგეთის ქალაქ ლიონში გამართულ კონფერენციაზე საფრანგეთის შს მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა განაცხადა, რომ ავღანეთში "ალ-ქაიდას" სტრუქტურების განადგურების შემდეგ, საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფები ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს პანკისის ხეობაში ქმნიან. იმავე დღეს საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფების მიერ ქიმიური იარაღის შექმნის შესახებ. როგორც მინისტრმა განაცხადა, საფრანგეთის შს მინისტრის დომინიკ დე ვილპენის განცხადებაში საუბარი იყო გასულ 2002-2003 წლებზე. "როგორც ცნობილია, 2002-2003 წლებში საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ აშშ-ის დახმარებით პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციები ჩაატარა და მას შემდეგ ყველა პრობლემა მოიხსნა", - განაცხადა მერაბიშვილმა. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს პრეზიდენტი მალტის ორდენით დააჯილდოვეს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იტალიაში ვიზიტს აგრძელებს. იგი სიტყვით გამოვიდა ლუისის უნივერსიტეტში და საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა.

"საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა. ასეთ დროს კი იტალიელი ხალხის გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ევროსტრუქტურებში გაერთიანებისთვის იტალიის დახმარების იმედიც აქვს", - აღნიშნა სააკაშვილმა.

ვიზიტის პირველ დღეს საქართველოს პრეზიდენტი მალტის ორდენით დააჯილდოვეს. მასვე შეხვედრა ჰქონდა იტალიაში საქართველოს სათვისტომოს წარმომადგენლებთან.

საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობის წევრები და ბიზნესმენები დაესწრნენ რომში გახსნილ ქართულ-იტალიურ ბიზნესფორუმს, რომლის სახელწოდებაა "ინვესტირება საქართველოში".

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სიტყვით გამოვიდნენ სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის მინისტრები. ხელი მოეწერა იტალიისა და საქართველოს სავაჭრო პალატებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტს.

"საქართველო უკვე ახალი ქვეყანაა, სადაც აქტიურად იბრძვიან კორუფციის წინააღმდეგ. ჩვენი საგადასახადო სისტემა ევროპულს შეესაბამება. ჩვენი სურვილია, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება. ვიწვევთ იტალიელ ბიზნესმენებს, რათა ადგილზე შეისწავლონ ვითარება. ერთხელ მაინც უნდა ჩამოხვიდეთ საქართველოში და ის აუცილებლად შეგიყვარდებათ; იტალიელი ბიზნესმენები ამ საქმის კარგი მცოდნეები ხართ. ჩადეთ ინვესტიციები საქართველოში", - მიმართა პრეზიდენტმა სააკაშვილმა იტალიის ბიზნესწრეებს. **მედიანიუსი**


ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო 107.4

„ხალხის ტრიბუნა" ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე



„ხელისუფლებამ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების პროცესის მიჩუმათება სცადა"

წამყვანი — სოფო გელოვანი

გადაცემაში მონაწილეობდნენ: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ია ანთაძე და სამართლებრივი განათლების ფონდის პროგრამების დირექტორი მერაბ ბასილაია

ია ანთაძე: საბჭო უნდა იყოს შუამავალი საზოგადოებასა და ამ საზოგადოებრივ ტელევიზიას შორის. საბჭო უნდა იყოს გარანტი, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია დაამკვიდრებს იმ ღირებულებებს, რომელიც აუცილებელია საზოგადოების განვითარებისთვის. სამეურვეო საბჭო არის კვალიფიციური ჟურნალისტის მუშაობის გარანტი, ასეთი გარანტი, სამწუხაროდ, არ არსებობს ქართულ საზოგადოებაში.

ანა დოლიძე: ფორმალურად, მთავრობის წარმომადგენლებს, ისევე, როგორც პარლამენტარებს არა აქვთ თავისი კანდიდატურების წარდგენის უფლება, მხოლოდ ერთი მარტივი მიზეზით — ამ შემთხვევაში ადგილი ექნება ინტერესთა კონფლიქტს. ადამიანი, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ბუნებრივია, ნომინანტი ვერ იქნება.

მერაბ ბასილაია: სახელმწიფოს პაკეტ თუ არა თავისი კანდიდატურები არ ჰყავ, თუმცა, კონკურსის ის ფორმა, რაც იქნა არჩეული, თავისთავად მიუთითებს, რომ ხელისუფლება დაინტერესებული იყო, რომ ეს პროცესი ჩუმად წარმართულიყო. ხელისუფლებას არ სჭირდებოდა საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფების მხრიდან კანდიდატურების წარდგენა. მთავრობა მხოლოდ ფორმალური ქმედებებით შემოიფარგლა.


# პრემიერ-მინისტრის პირველი ბრძოლა

პირველი გვერდიდან

ოღონდ ესეც უეჭველია - აზერბაიჯანმა შემთხვევით როდი გადადგა სწორედ ამჟამად ესოდენ რადიკალური ნაბიჯები; ერევანშიც და მოსკოვშიც აქტიურად საუბრობენ, რომ ილჰამ ალიევი აშკარად ემზადება ომისათვის!

ბევრ დამკვირვებელს ყარაბაღისთვის გადამწყვეტი ბრძოლა უკვე აბსოლუტურად გარდაუვალადაც მიაჩნია.

ამ ვითარებაში, აზერბაიჯანი ცდილობს, უზრუნველყოს სომხეთის ყოვლისმომცველი ეკონომიკური ბლოკადა.

ზურაბ ნოღაიდელმა მასპინძლებს აგრძნობინა, რომ "ყარაბაღის ომში", ტრადიციულად, საქართველოს ნეიტრალური პოზიცია უკავია, მაგრამ აზერბაიჯანის მხრიდან ცალხრივ მოქმედებებს ქართული ტრანზიტის მიმართ არ დაუშვებს.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. პრემიერმა არა მხოლოდ მთავრობისაგან, არამედ პრეზიდენტ ალიევისაგანც მიიღო იმის გარანტია, რომ აზერბაიჯანი დაკმაკოფილდება ინფორმაციის გაცვლით, შეწყვეტს ცალმხრივ მოქმედებებს და პატივს სცემს საქართველოს უფლებას, გაემიჯნოს ორივე მებრძოლ მხარეს ყარაბაღისათვის ომის ახალ ფაზაში, რაც, სამწუხაროდ, სულ უფრო გარდაუვალი ხდება.

ბაქოში "ომი" არავის უხსენებია. ისევე როგორც სომხეთზე ამ მოლაპარაკებებისას, რა თქმა უნდა, საერთოდ არ ყოფილა საუბარი, თუმცა კონტექსტი თავისას განსაზღვრავდა სავსებით ობიექტურად და დეკლარაციების ან პრესისათვის გაკეთებული განცხადებების მიუხედავად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს მხოლოდ საქართველოს საკითხი აღელვებდა და ნორმალურ ვითარებაში ეს ასეც უნდა იყოს.

ასე რომ, ნოღაიდელის მისია ბაქოში, შინაარსობრივად, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რამდენიმე ეშელონის გათავისუფლება ან თუნდაც ტრანზიტის აღდგენა.

# ნატო საქართველოში მეკავშირე ოფიცერს აგზავნის

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოსა და ნატო-ს შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ჩვენს ქვეყანაში პროგრამის - "პარტნიორობა მშვიდობისათვის" - მეკავშირე ოფიცერი მოავლინა. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გუშინ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ პოსტზე წარდგენილი ლატვიელი რომალდის რაჟუკსის კანდიდატურას. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რაჟუკსს დიპლომატის სტატუსი მიენიჭება.*



*თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი IPAP-ის პროგრამის შესრულებაზე კონტროლს გააძლიერებს.*

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე აცხადებს, რომ ნატო-ს მეკავშირე ოფიცრის დანიშვნა ოფიციალური თბილისისთვის მეტად ხელსაყრელია, რადგან ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინასთან კავშირს გააადვილებს. ერთი მხრივ, ბრიუსელიდან უფრო სწრაფად მოვა რეკომენდაციები და, მეორე მხრივ, ქართული მხარე საკუთარ პოზიციას და მოსაზრებებს ნატო-ს ცენტრალურ ოფისს ოპერატიულად გააცნობს.

**"გარდა ამისა, ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამაში (IPAP) ჩართულ არც ერთ უწყებას აღარ ექნება იმის ცდუნება, რომ თავისი ვალდებულებები გადაავადოს ან სხვა ფორმით შეასრულოს, რადგან ნატო-ს მეკავშირე ოფიცრის სახით, საქართველოში იქნება თვალი, რომელიც თითოეული უწყების მუშაობას უშუალოდ დააკვირდება,"** - შენიშნავს თარგამაძე.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე IPAP-ის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობაც განიხილეს. სხდომის ეს ნაწილი დახურულ კარს მიღმა ჩატარდა, ამიტომ, კომიტეტის წევრებმა საჯარო შეფასებების გაკეთებისგან თავი შეიკავეს. გივი თარგამაძე მხოლოდ ზოგად კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ ნატო-ს მოთხოვნები IPAP-ში ზედმიწევნით არის გაწერილი და ისინი აუცილებლად უნდა შესრულდეს.

**"ჩვენ ძალიან კატეგორიულები ვიქნებით, რადგან IPAP-ის რეკომენდაციების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციისთვის. თუ შევამჩნევთ, რომ რომელიმე უწყების წარმომადგენელი ამ პროცესს აფერხებს, მაშინვე უმაღლეს დონეზე დავსვამთ მისი პასუხისმგებლობის საკითხს,"** - აღნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე. აქვე უნდა ითქვას, რომ IPAP-ის რეკომენდაციები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ ფართო სეგმენტს ეხება. ესენია: საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, უშიშროების საბჭო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი და ა.შ.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პირველი მოსმენით მოიწონეს "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები. ისინი შეეხება აკრედიტებული უმაღლესი დაწესებულებების სტუდენტებისთვის სწავლის პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებას. როგორც ჩანს, მალე წარსულს ჩაბარდება ის დრო, როდესაც უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებზე შესაბამისი კურსის დასრულება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ტოლფასი იყო. სამხედრო კათედრების არსებობას, მართალია, არავინ კრძალავს, მაგრამ გივი თარგამაძეს ეეჭვება, რომ ვინმეს კვლავ ექნება იქ სწავლის სურვილი.

**"სამხედრო კათედრების დამთავრება დამოკიდებული იყო იაფფასიან ქრთამზე, მაგალითად, სამ-ოთხ ბოთლ არაყზე. მომავალში ასეთ "შეღავათებს" ვეღარ გავცემთ,"** - აღნიშნავს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

# ამერიკის და რუსეთის საერთო კანდიდატი აფხაზეთის მთავრობაში



*ბევრნი ამ სიტუაციას იმით ხსნიან, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში მონაწილე მხარეებს ურჩევნიათ, საქმე ნაცნობ პოლიტიკოსთან დაიჭირონ.*

პირველი გვერდიდან

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით აღმოჩენილი ახალი საერთო ინტერესები აიძულებენ ამერიკასაც და რუსეთსაც, აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის პოსტზე მხარი დაუჭირონ ადამიანს, რომელიც შეძლებს მათი ინტერესების ადგილზე რეალიზებას.

შამბას მოღვაწეობა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, ძირითადად, საზოგადოების დადებით განწყობას იმსახურებდა. მას აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის კვალიფიციურ სპეციალისტად და ნიჭიერ დიპლომატად მიიჩნევდნენ. შამბას სახელმწიფო ჯილდოებიც კი აქვს მიღებული, "ქვეყნის გარეთ აფხაზეთის ინტერესების დაცვისათვის". თუმცა, უკანასკნელ ხანებში, სწორედ შამბას მიერ, მრავალი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობიდან გამომდინარე, უფრო და უფრო მეტი ანალიტიკოსი სკეპტიკურად აფასებს მის შესაძლებლობებს, კვლავ უხელმძღვანელოს აფხაზეთის საგარეო პოლიტიკას. **"შედეგს გადავხედოთ: ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში შედეგი არ არის. რუსეთის ასოცირებული წევრობა მხოლოდ საუბარია და მეტი არაფერი. სხვა ქვეყნებთან არავითარი ურთიერთობა არ გვაქვს. ეს არც თუ ისე შთამბეჭდავი შედეგებია,"** - აცხადებენ დამკვირვებლები.

სავარაუდოდ, აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უახლოეს დღეებში დაინიშნება და ცხადი გახდება, თუ ვის მიანიჭა უპირატესობა ბაგაფშმა - თავის გარემოცვას, კონკრეტულად კი ანქვაბს, რომელიც აკაბას დანიშვნას ლობირებს, თუ მოლაპარაკებების პროცესში მონაწილე მხარეთა ინტერესებს.

# ევროკომისიამ საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

"ევროპის სამეზობლო პოლიტიკა", პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ არსებულ შეთანხმებასთან შედარებით, ევროკავშირთან უფრო ფართომასშტაბიანი ურთიერთობების, მათ შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების საშუალებას იძლევა. შემდგომი ნაბიჯები ახლა უკვე ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ უნდა განსაზღვროს.

ევროკომისია, "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში, საქართველოსთან ურთიერთობის მნიშვნელოვნად გაღრმავების რეკომენდაციას იძლევა, რაც "სამოქმედო გეგმის" შემუშავებას ითვალისწინებს.

ამ რეკომენდაციას საფუძვლად უდევს ევროკომისიის მიერ 2 მარტს გამოქვეყნებული ანგარიში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში მოცემულია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა და ევროკავშირთან მისი ურთიერთობის დეტალური მიმოხილვა.

გუშინ საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობაში ბრიფინგი გაიმართა, სადაც წარმომადგენლობის მეთაურმა, ტორბენ ჰოლცემ ორი დღის წინ, ბრიუსელში საგარეო ურთიერთობებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის, ბენიტა ფერერო-ვალდნერის მიერ წარდგენილ "საქართველოს შესახებ ანგარიშზე" ისაუბრა.

ტორბენ ჰოლცეს განცხადებით, ევროკომისიის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებაზე, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე; აგრეთვე - ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელებაზე, ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციისა და ბიზნესისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის აუცილებლობაზე.

ბატონი ჰოლცეს თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ევროკომისიის ანგარიში საქართველოში არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასებაა, მასში სწორედ იმ სფეროებზეა გამახვილებული ყურადღება, რომელთა გამოსწორებაც ევროკომისიას აუცილებლად მიაჩნია.

პრობლემები კი, თუ თავად ანგარიშს გადავხედავთ, ქართულ სახელმწიფოს, ეკონომიკურის გარდა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მხრივაც მრავლად ჰქონია.

ჟურნალისტის კითხვაზე: რა უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის - ეკონომიკის განვითარება თუ კანონის უზენაესობის, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება? - ბატონმა ჰოლცემ აღნიშნა, რომ ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია.

ევროკომისიის აზრით, საქართველო-ევროკავშირის "სამოქმედო გეგმის" ძირითადი მიზნები უნდა იყოს: კანონის უზენაესობის განმტკიცება (სასამართლო, სამართალდამცავი ინსტიტუტებისა და პენიტენციური სისტემის რეფორმა) და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; დემოკრატიული სტრუქტურებისა და პლურალიზმის განმტკიცება (საპარლამენტო რეფორმა, მას-მედიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმა, საარჩევნო რეფორმა); გარემოს გაუმჯობესება ბიზნესის განვითარებისათვის და საზოგადოებრივი სექტორის მოდერნიზება; საგადასახადო, საბაჟო ორგანოებისა და კანონმდებლობის რეფორმა და კორუფციისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის განმტკიცება; გამჭვირვალე საპრივატიზაციო პროცესი; წინსვლა სიღარიბის შემცირების, სტაბილური (მდგრადი) განვითარების და გარემოს დაცვის მიმართულებით; წინსვლა კონფლიქტების მოგვარების საქმეში და რეგიონული თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

**"დიდი იმედი მაქვს, რომ ევროკავშირის მინისტრთა საბჭო დადებითად გადაწყვეტს საქართველოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების საკითხს. ჩვენი ურთიერთობების გაღრმავება ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევასა და მის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯებზე იქნება დამოკიდებული,"** - განაცხადა ჰოლცემ.

*24 საათი*

# ენგურჰესი სამი თვით გაჩერდება

*ენერგეტიკოსები მალე ენგურჰესის გაჩერებას გეგმავენ. "24 საათი" უკვე წერდა, რომ სადგურის გაჩერება 1 აპრილიდან 1 ივლისამდე, რეაბილიტაციის მიზნით იგეგმება.*

ნიკა მარიამიძე

ენგურჰესის რეაბილიტაცია, რომელსაც გერმანული საკრედიტო ბანკი KFW და ევროკავშირი აფინანსებენ, წელს გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს. დღეებში ამ სამუშაოების ნაწილი უკვე ჩატარებულია. დარჩენილია მხოლოდ ის ტიპის სამუშაოები, რომლებიც სადგურის დროებით გაჩერებას საჭიროებენ. კერძოდ, დამონტაჟდება ახალი 260-მეგავატიანი აგრეგატი (მესამე აგრეგატი 1988 წლიდან აღარ ფუნქციონირებს); დამონტაჟდება საყრდენი ფარი და გარემონტდება სადერივაციო გვირაბი. საბოლოოდ, ამ ღონისძიებების ერთობლიობა დაზოგავს წყალს, რომელიც ტყუილად იღვრება, და სადგურს დამატებითი სიმძლავრეების გამომუშავების საშუალებას მისცემს.

ენგურჰესის გაჩერების წინ, ენერგეტიკის მინისტრი აფხაზურ მხარესთან მოსალაპარაკებლად დეფიციტის თავიდან ასაცილებლად საჭირო ღონისძიებების დეტალებს ათანხმებს. როგორც მინისტრსა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის გამართული მოლაპარაკებისას გადაწყდა, ენგურჰესის რეაბილიტაციის სამუშაოების პერიოდში აფხაზეთი ელექტროენერგიის მოხმარებას 40 მეგავატით შეამცირებს. ამასთან, ენგურის გაჩერების პერიოდში აფხაზეთი ელექტროენერგიას 220-კილოვოლტიანი "სალხინოს" ხაზით მიიღებს.

ნიკა გილაურის თქმით, რეაბილიტაციის პერიოდში პერსონალისა და საშენი მასალების უსაფრთხო გადაადგილების თაობაზე შეთანხმებაც უკვე მიღწეულია.

გარდა ამისა, მინისტრის თქმით, ამიერიდან აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობაც გაკონტროლდება. მომავალ კვირას "სახელმწიფო ელექტროსისტემის" თანამშრომლები აფხაზეთში ჩავლენ და ბზიფის ელექტროსადგურში დაამონტაჟებენ მრიცხველს, რომელიც აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობას აღრიცხავს.

ამასობაში კი დეფიციტი ისევ სახეზეა. გუშინ დილით სომხეთის რაზდანის თბოსადგურში მომხდარი ავარიის გამო, საქართველოში სომხეთიდან დენის იმპორტი შეიზღუდა. ელექტროენერგიის გარეშე დარჩა დედაქალაქის რამდენიმე უბანი, კერძოდ ვაკის, საბურთალოს, ვერის ნაწილს და ნუცუბიძის ფერდობს ელექტროენერგიის მიწოდება 1 საათით შეუწყდა. თბილისელებმა მიმხარი ავარიის ლიკვიდაცია მალევე მოხერხდა. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება რუსეთიდან მაგისტრალური "კავკასიონის" აღდგენა, რომლის საშუალებითაც საქართველოში დენი "რაო ეეს როსიისგან" შემოდიოდა. ხაზი ბოლო კვირაში უკვე მეოთხედ დაზიანდა. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ხეთაგურის ვარაუდით, "კავკასიონის" დაზიანება კვლავ ცუდმა ამინდმა, კერძოდ კი - ზვავმა გამოიწვია.

ხაზის ოპერატორი კომპანია "საქრუსენერგოს" ინფორმაციით, შესაძლოა, ხაზი 10 მარტამდე ვერ აღდგეს. როგორც "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილემ შოთა მაისურაძემ განაცხადა, ჯერ სპეციალისტებს "კავკასიონზე" დაზიანების ადგილიც კი არ უპოვიათ. "თუ დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა, შეიძლება ხაზი მანამდე აღდგეს," - ვარაუდობს მაისურაძე.

"კავკასიონის" მწყობრიდან გამოსვლით გამოწვეული დეფიციტის შევსება ენერგეტიკოსები ენგურჰესის გამომუშავების ხარჯზე გეგმავენ. როგორც ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აცხადებს, ენგურჰესის გამომუშავების გაზრდის საშუალება ნალექიანობამ და, შესაბამისად, წყალსაცავში წყლის დონის მომატებამ მისცა.

მისივე ინფორმაციით, ამავე მიზეზით გაიზარდა გამომუშავება ვარციხეჰესზეც.

გილაური ვარაუდობს, რომ ენერგოპრობლემებს მე-9 ენერგობლოკის გაჩერება არ გაამწვავებს, რადგან დეფიციტის შესავსებად მთავრობა 30 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს. ეს თანხა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკებისათვის საწვავის შეძენასა და იმპორტს უნდა მოხმარდეს, ენგურჰესის გაჩერების პერიოდში - 1 აპრილიდან 1 ივლისამდე.

ენგურჰესის გაჩერების საკითხი დღეს, "რაო ეეს როსიის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილესთან ანდრეი რაპაპორტთანაც განიხილება. თუმცა, მისი ვიზიტის მთავარი თემა მაინც სხვა იქნება. სავარაუდოდ, "ინტერ რაოსთან" ახალი მემორანდუმი გაფორმდება, რომელმაც, გილაურის თქმით, "რაოს" ქართულ შვილობილებსა და საბითუმო ბაზარს შორის ურთიერთჩათვლის მექანიზმი უნდა მოშალოს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისში სამომხმარებლო ტარიფის დასადგენად კომპანია "თელასმა" ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკი) შესაბამისი გაანგარიშებები წარადგინა. ასეთი დავალება სემეკმა "თელასს" 24 თებერვალს მისცა, როცა ათთვიანი განხილვის შემდეგ სამომხმარებლო ტარიფში კომპანიის მარჟა 0,3 თეთრით შეამცირა. "თელასმა" კომისიას, ძაბვის მომხმარებლების კატეგორიების მიხედვით, განაწილების, გადაცემისა და სამომხმარებლო ტარიფის გაანგარიშებები წარუდგინა. სემეკი გაანგარიშებებს შეისწავლის და გათვლების შედეგად სამომხმარებლო ტარიფის შესახებ გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებს. სემეკის 24 თებერვალს გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ საშუალო შეწონილ ტარიფში "თელასის" წილი 6,6-დან 6,256 თეთრამდე უნდა შემცირდეს (დღგ-ის გარეშე). "თელასს" დაევალა, 2005 წლის 1 აპრილამდე კომისიას 2004 წლის სრულ საფინანსო ანგარიშგებაზე დაფუძნებული ახალი სატარიფო განაცხადი წარუდგინოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი 6 მარტს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის ფორუმზე მიემგზავრება, სადაც თბილისის ურბანული განვითარების გეგმის პროექტის პრეზენტაციას გამართავს. თბილისის მერმა დედაქალაქის ურბანული განვითარების გეგმის პროექტი თბილისის საკრებულოს დაახლოებით ერთი თვის წინათ წარუდგინა. პროექტი დედაქალაქის მარცხენა სანაპიროს ფუნქციების გაზრდასა და სატრანსპორტო სქემის მოწესრიგებას ითვალისწინებს. ზურაბ ჭიაბერაშვილი იმედოვნებს, რომ მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ ფორუმზე, რომელსაც მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქების მერები ესწრებიან, მის მიერ წარდგენილი პროექტის გეგმა ინტერესს გამოიწვევს და შესაბამისად, დამფინანსებლებსაც მოიზიდავს. თბილისის ურბანული განვითარების გეგმის პროექტის პრეზენტაცია მსოფლიო ბანკის ფორუმზე 8 მარტს გაიმართება. **მედიანიუსი**

სატელეფონო საინფორმაციო ცნობარი
"ყვითელი ფურცლები თბილისი 2005"




თბილისის 15000-ზე მეტი ორგანიზაციის საკონტაქტო მონაცემები
მოხერხებული საძიებო სისტემა
თბილისის დეტალური რუკა
სასარგებლო ინფორმაცია (სატელეფონო კოდები, თბილისის საფოსტო ინდექსები და სხვა)
ცნობარის ღირებულება 25 ლარი
ცნობარის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
91 25 91

# კონტრაბანდა საქართველოში მაინც "იპარება"

*ერგნეთის ბაზრის დახურვის მიუხედავად, ქვეყანაში კონტრაბანდული პროდუქცია კვლავ შემოედინება. მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრები აღიარებენ, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 6-7 თვის განმავლობაში, ქვეყანაში კონტრაბანდის შემცირება შეინიშნებოდა, თუმცა ბოლო პერიოდში იგი სულ უფრო აქტიურად იბრუნებს ძველ პოზიციებს.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციის და ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაცია "ნიას" ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე კონტრაბანდის სფეროში არსებულ სიძნელეებზე იმსჯელეს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ შეხვედრაში შიდა ქართლის გუბერნატორი, კერძო სექტორის, პარლამენტის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

**"რევოლუციამდე საქართველოში კონტრაბანდის ძირითადი წყარო უკონტროლო ტერიტორიები იყო. მაგალითად, მარტო ერგნეთიდან შემომავალი კონტრაბანდის წლიური ბრუნვა 120 მლნ დოლარს შეადგენდა და ამით როგორც ოსი, ასევე ქართველი პოლიტიკოსები და რუსი სამშვიდობოები ითბობდნენ ხელს,"** - განაცხადა საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ. მისივე თქმით, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი სამშვიდობოების ყოფილი სარდლის ნაბზდოროვის წლიური შემოსავალი კონტრაბანდიდან, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარ მილიონ დოლარს შეადგენდა. რაც შეეხება აფხაზეთის საზღვარს, გოცირიძის თქმით, კონტრაბანდის მთლიან მოცულობაში აფხაზეთიდან შემოსული საქონლის წილი უმნიშვნელო იყო, მაგრამ ბოლომდე არც ამ მიმართულების გადაკეტვა მოხერხდა.

როგორც ჩანს, არც დღევანდელი სურათია ნაკლებად შთამბეჭდავი. **"მიუხედავად იმისა, რომ ერგნეთის ბაზრობა დაიხურა, არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომლის თანახმად, კონტრაბანდა მცირე პარტიებით მაინც შემოდის და სავარაუდოდ, წლიური ბრუნვა 25 მლნ დოლარს შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამიტომაც აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ საზღვარზე ადმინისტრირება კიდევ უფრო გაამკაცროს,"** - აღნიშნა რომან გოცირიძემ.

საინტერესო გამოდგა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის კორნელი სალიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, 2004 წელს კონტრაბანდული საქმიანობის 60-ზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა. მათ შორის: დიზელის საწვავის 40, კვების პროდუქციის ოთხი, საყოფაცხოვრებო საქონლის ექვსი, სექტანტური ლიტერატურის ერთი, რადიაციული ნივთიერების ორი და ძვირფასი ლითონების ერთი კონტრაბანდული ფაქტი. **"ამასთან, დაფიქსირებულია უცხო ქვეყნის 14 მცურავი საშუალება, საიდანაც 150 ტონა თევზი იქნა ამოღებული. მთლიანობაში გადახდილი ჯარიმების ოდენობამ 2841800 ლარს გადააჭარბა,"** - დასძინა კორნელი სალიამ. ყოველივე ამის მიზეზად კი მან დაასახელა შეუთანხმებელი ტერიტორიების არსებობა, შემოვლითი გზების სიმრავლე, სახელწფო ბიუჯეტიდან მწირი დაფინანსება, სასაზღვრო ზოლში გახსნილი ბაზრობები, არაქართულენოვანი დასახლებები უშუალოდ სასაზღვრო ზონაში, საკანონმდებლო ბაზის და საგადასახადო სისტემის არასრულყოფილება და არაკოორდინირებული მოქმედებები საზღვრის დაცვის სუბიექტებს შორის.


ერგნეთის ბაზრის დახურვის მიუხედავად, ქვეყანაში კონტრაბანდული პროდუქცია კვლავ შემოედინება და მისი წლიური ბრუნვა 25 მილიონ დოლარს შეადგენს.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინდელ შეხვედრაზე განსაკუთრებით გამოიკვეთა კონტრაბანდის დამანგრეველი ზეგავლენა თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელების და ნავთობპროდუქტების სფეროსთვის. ბიზნესმენები მთავრობის წარმომადგენლებს საზღვრების ადმინისტრირების გამკაცრებისკენ და იმ გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებდნენ, რომლის თანახმადაც თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი 90 თეთრამდე გაიზარდა. როგორც კომპანია "ელიზის" პრეზიდენტმა თამაზ ელიზბარაშვილმა განაცხადა, 2004 წელი მართლაც კონტრაბანდასთან ბრძოლის წელი იყო, თუმცა, მიმდინარე წლის იანვრის შემდეგ თამბაქოს ლეგალიზებული ბაზარი, ფაქტობრივად, პარალიზებულია. **"ადგილობრივი ბაზარი კონტრაბანას აქვს დაპყრობილი და იგი ყველა მიმართულებიდან აქტიურად მუშაობს. გასული წლის იანვარ-თებერვალში ჩვენმა კომპანიამ ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით 5 მილიონი ლარი შეიტანა, წელს ეს თანხა ნულის ტოლია. ეს კი აქციზის გადასახადის გაზრდამ და საზღვრების დაუცველობამ განაპირობა,"** - აღნიშნა თამაზ ელიზბარაშვილმა.

მისივე თქმით, თუ ხელისუფლებამ დროული და ქმედითი ზომები არ გაატარა, საქართველოში სიგარეტის მწარმოებელი ყველა საწარმო დაიხურება.

კონფერენციის დასასრულს მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების სფეროსთვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, USAID-ის აქტიური ხელშეწყობით, ჩამოყალიბდება ორი მიმართულების ანალიტიკური მუდმივმოქმედი ცენტრი.

როგორც გუშინდელი კონფერენციის წამყვანმა და ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, ანალიტიკური ცენტრი კვლევებს ორი მიმართულებით ჩაატარებს და თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნავთობპროდუქტების სფეროში შექმნილ ვითარებას შეისწავლის.

თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ბაზრის ანალიზს, USAID-ის ექსპერტებთან ერთად, ბიზნესმენთა ფედერაციის წევრებიც ჩაატარებენ, ხოლო ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული სიტუაციის კვლევაში სააგენტოს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაცია "ნია"-ს წარმომადგენლები დაეხმარებიან.

**"ჩატარებული კვლევის შედეგებს, ექსპერტები მთავრობას რეკომენდაციის სახით წარუდგენენ,"** - აღნიშნა გიორგი ისაკაძემ.

# თურქული კრედიტიდან თითქმის 25 მილიონი აშშ დოლარი ჩამოწერილია

*შანსი იმისა, რომ ცალკეული კომპანიების მიერ სახელმწიფო გარანტით აღებული თურქული კრედიტი უკან დაბრუნდება, სულ უფრო მცირდება. მეტიც, ხელისუფლება, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეეგუა იმ აზრს, რომ დღეს ამ ვალის ამოღება რიგ შემთხვევებში პრაქტიკულად შეუძლებელია და ამიტომ ასეთი ვალების ჩამოწერას იწყებს. ერთ-ერთი უკანასკნელი "პურ-პროდუქტების" კორპორაცია იყო, რომლის შემდეგ სავარაუდოდ ჯერი სს. "გევაზე" დადგება.*

ეთერ მამულაშვილი

თითქმის 25 მილიონი აშშ დოლარი ამ დროისთვის უკვე ჩამოწერილია, რომლის გადახდა თურქული მხარისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება.

შეგახსენებთ, რომ საუბარია დაახლოებით 12 წლის წინათ, მაშინდელი ხელისუფლების მიერ აღებულ 41-მილიონდოლარიან თურქულ კრედიტზე, რომელიც, 1993 წელს ქართულ მხარესთან ანკარაში გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, სამ წელიწადში უნდა დაფარულიყო. მაშინ ეს თანხა რვა სუბიექტმა მიიღო, აქედან 2 სამინისტრო, 6 კი საკმაოდ წარმატებული ბიზნესკომპანია იყო.

მათ შორის რამოდენიმე დღეს უკვე ლიკვიდირებელია და ზოგიერთ შემთხვევაში სამართალმემკვიდრეც კი არ არსებობს. მათი აქტივები კი იმდენად მიზერულია, რომ ის არა თუ ძირითად სესხს, არამედ მასზე დარიცხულ სარგებელსაც არ ეყოფა. სწორედ ამ მიზეზით, ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხების შემსწავლელმა სამთავრობო კომისიამ, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, მიიღო გადაწყვეტილება ამ ვალების ჩამოწერის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ბოლო გადაწყვეტილება კომისიამ "პურ-პროდუქტების" კორპორაციის მიმართ მიიღო, რომელსაც თავის დროზე 41 მილიონიდან, ყველაზე ბევრი, 11 მილიონ 800 ათასი აშშ დოლარი ერგო. ამ გადაწყვეტილების მიზეზი, ისევე როგორც დანარჩენ შემთხვევებში, ვალის უიმედოება იყო და როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე ამბობს, დღეს მისი დაბრუნების შანსიც კი არ არსებობს. **"პურ-პროდუქტების კორპორაციას აქტივები საერთოდ აღარ გააჩნია. კორპორაციის ქონება, ერთადერთი შენობის სახით, ცოტა ხნის წინათ ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა,"** - განაცხადა გოცირიძემ.

"პურ-პროდუქტებამდე" ცოტა ხნით ადრე, ხსენებულმა სამთავრობო კომისიამ თურქული კრედიტიდან სს "არაგვს" - 1 მილიონ 700 ათასი აშშ დოლარი, "შულავერის მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკას" - 2 მილიონ 500 ათასი და ყოფილ ვაჭრობის სამინისტროს 8 მილიონ 500 ათასი ჩამოაწერა.

სს "არაგვისთვის" ვალის ჩამოწერა თითქმის ბოლო თეთრამდე მოხდა, რადგან ამ კომპანიას გარდა იმისა, რომ დღეს სამართალმემკვიდრე არ გააჩნია, მისი აქტივები პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო.

შულავერის მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკის ლიკვიდაცია რამდენიმე წლის წინ მოხდა, თუმცა შპს "ვერძი 94"-ის სახით მას სამართალმემკვიდრე გააჩნდა. ამ ორგანიზაციას გასული წლის მიწურულს ფინანსთა სამინიტრომ სასამართლო პროცესი მოუგო, რის შემდეგაც შპს "ვერძი 94"-ის მცირეოდენი ქონება აუქციონით გაიყიდა. შემოსული თანხა, რომელიც მთლიანად ბიუჯეტში ჩაირიცხა, ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე თავის დროზე ფაბრიკისთვის გაცემული თურქული კრედიტი.

ვაჭრობის სამინისტროს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მისი სამართალმემკვიდრე ეკონომიკური განვითარების სამინისტროა, სამთავრობო კომისიამ ვალი მაინც ჩამოაწერა. **"ეკონომიკის სამინისტრო არის წმიდა საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელსაც არავითარი საკუთარი შემოსავალი არ გააჩნია და არ ეწევა სამეურნეო საქმიანობას. ამიტომ მისთვის ვაჭრობის სამინისტროს დავალიანების გადაბარება, ყოველგვარ აზრს არის მოკლებული,"** - განმარტავს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალის სამმართველოს უფროსი სოსო სხირტლაძე.

სს "გევა" ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომელმაც თურქული კრედიტი მიიღო. ის უკვე დიდი ხანია, რაც გადახდის უუნაროა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში მოხდება მისი აქტივების რეალიზება, თუმცა ამ შემთხვევაშიც "გევას" მიერ მოხმარებული თურქული სესხის მოცულობა ბევრად აღემატება მისი დარჩენილი აქტივების ღირებულებას. ამიტომაც, როგორც სოსო სხირტლაძემ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, სამთავრობო კომისია აუცილებლად განიხილავს "გევასთვის" ვალის ჩამოწერის საკითხს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მოხდება.

სს "რუსთავცემენტი" და "კოკა-კოლა" კი ის კომპანიები არიან, საიდანაც თურქული კრედიტის ამოღება მეტ-ნაკლებად რეალურია. მათ წინააღმდეგ სარჩელი ფინანსთა სამინისტრომ ჯერ კიდევ გასულ წელს შეიტანა. საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს.

კიდევ ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელმაც თურქული კრედიტიდან თითქმის 5 მილიონი აშშ დოლარი მიიღო, ყოფილი კავშირგაბმულობის სამინისტრო იყო. ფინანსთა სამინისტრო დღეს აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს "ელექტროკავშირთან" ამ ვალის ერთი ნაწილის დაფარვის თაობაზე. **"იმ დროს, როცა კავშირგაბმულობის სამინისტრომ თურქული კრედიტი მიიღო, მან ამ თანხით რაც შეიძინა, ნაწილი "ელექტროკავშირს", ნაწილი კი აჭარის კავშირგაბმულობას გადასცა. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ თხოვნით "ელექტროკავშირს", რომ მათ საკუთარ თავზე აეღოთ ამ ვალის რაღაც ნაწილი, თუმცა ისინი ამბობენ, რომ დღეს "ელექტროკავშირი" გადახდისუუნაროა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს სოსო სხირტლაძემ.

არ არის გამორიცხული, რომ სამთავრობო კომისიამ ამ ვალის ჩამოწერის შესახებაც მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან როგორც ცნობილია, სს "ელექტროკავშირს" ეკონომიკური განვითარების სამინიტრო პრივატიზაციისთვის ამზადებს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მისმა მომავალმა მყიდველმა ამ ვალის გასტუმრების ვალდებულება საკუთარ თავზე აიღოს.

უიმედო ვალი რომ უნდა ჩამოიწეროს, დღეს ამაზე არავინ დავობს, თუმცა ამ შემთხვევაში კითხვები სხვა მიმართულებით ჩნდება. ახალი ხელისუფლების პირობებშიც კი, დღემდე არავის გასჩენია სურვილი და ინტერესი, რომ რეალურად გარკვეულიყო მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ მოხდა ამ კრედიტის უკან დაბრუნება.

**"ვალის ჩამოწერა ასე მარტივად არ უნდა ხდებოდეს, შესაბამისმა ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმეები უნდა აღძრან იმ პირებისა და კომპანიების მიმართ, რომლებმაც ვერ დააბრუნეს ეს თანხა,"** - ასე ფიქრობს პარლამენტარი ირაკლი იაშვილი.

P.S. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, თურქული კრედიტის მოცულობა, უკანასკნელი მონაცემებით, 54 მილიონ აშშ. დოლარს აღწევს.

# წელს საქართველოს საგარეო ვალი თითქმის ნახევარი მილიარდით გაიზრდება

*მიმდინარე წლის ბოლოსთვის ქვეყნის საგარეო ვალი თითქმის ნახევარი მილიარდი აშშ დოლარით გაიზრდება. და ეს მაშინ, როცა, ბოლო მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალის საერთო რაოდენობა 1,857 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს მევალეებს შორის არიან როგორც დიდი საფინანსო ინსტიტუტები, ასევე 15 სახელმწიფო - რუსეთითა და აშშ-თი დაწყებული და ჩვენი მეზობელი სომხეთითა და აზერბაიჯანით დასრულებული. ვალის გასტუმრების კონკრეტული გზები კი, უმეტეს შემთხვევებში, კვლავ ბურუსითაა მოცული.*

დიანა ჩაჩუა

ფინანსთა მინისტრის მოადგილის დავით ამაღლობელის განცხადებით, 2005 წელს საქართველო მსოფლიო ბანკიდან, გერმანიის მთავრობიდან და იაპონიის განვითარების ბანკიდან კვლავ მიიღებს კრედიტებს. **"მათ მიერ გამოყოფილი სესხებით ქვეყანაში მიმდინარე და ახალი საინვესტიციო პროექტები დაფინანსდება,"** - აღნიშნა მან. შედეგად, საქართველოს საგარეო ვალი 478 მლნ აშშ დოლარით გაიზრდება და 2005 წლის ბოლოსთვის 2,335 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი 2004 წლის ბოლოსთვის 1,857 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. აქედან 1,068 მლრდ აშშ დოლარი ქვეყანას საერთაშორისო ორგანიზაციების - მსოფლიო ბანკის, ევროგაერთიანების, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ დაუგროვდა. ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე მსხვილი კრედიტორი მსოფლიო ბანკია - 677,61 მლნ აშშ დოლარი.

15 ქვეყნიდან აღებული ვალის საერთო მოცულობა 693,22 მლნ აშშ დოლარს აღემატება, საიდანაც ყველაზე დიდი სესხი - 157,093 მლნ აშშ დოლარი თურქმენეთზე მოდის.

სწორედ თურქმენეთის ვალის მომსახურების შედეგად შეიქმნა საქართველოში საგარეო ვალის პროდუქციით გასტუმრების პრეცედენტი. 1998 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მხარე თურქმენეთის მიმართ არსებულ დავალიანებას სამი ადგილობრივი კომპანიის დახმარებით ისტუმრებს. ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თურქმენეთის ვალს ემსახურება სს "თბილავიამშენი", სს "ქართული შაქარი" და შპს "თ.ჯ. თრეიდი". საგარეო ვალის ამ გზით გასტუმრების შესახებ შეთანხმებას საქართველოს მთავრობამ დღემდე მხოლოდ თურქმენეთის სახელმწიფოსთან მიაღწია. შესაძლებელია, რომ მსგავსი შეთანხმება კიდევ რამდენიმე სახელმწიფოსთან იქნეს მიღწეული. ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალის დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს რუსეთთან, სომხეთთან და ყაზახეთის რესპუბლიკასთან.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტების მოცულობა 96,024 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და ამ თანხის გამცემი გერმანია (62,309 მლნ აშშ დოლარი) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია (33,715 მლნ აშშ დოლარი).

კერძო კომპანიების მიერ ვალების სახელმწიფო გარანტიით აღების მავნე პრაქტიკა საქართველოში დღეს, პრაქტიკულად, აღმოფხვრილია, თუმცა 90-იან წლებში სესხის ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებული გახლდათ - საქართველოს სახელმწიფო საკმაოდ აქტიურად უდგებოდა "თავდებად" სხვადასხვა კერძო სუბიექტებს, რომელთაგანაც ბევრმა, ცხადია, ამ "ნდობით", ანუ "გარანტიით", ბოროტად ისარგებლა. სამაგალითოდ თუნდაც 1998 წლისთვის "თბილუნივერსალბანკის" ირგვლივ ატეხილი სკანდალიც კმარა, როცა მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა ნოღაიდელმა ბანკის კრედიტის ბიუჯეტით გასტუმრებაზე უარი თქვა.

საინტერესოა, რომ თავის დროზე სახელმწიფო გარანტად დაუდგა კერძო კომპანიების მიერ აღებულ დაახლოებით 70 მილიონ აშშ დოლარს და 45,6 მილიონ ევროს.

საქართველოს საგარეო და საშინაო ვალის თემები არაერთხელ გამხდარა ექსპერტების განხილვის, უმეტეს შემთხვევაში კი კრიტიკის საგანი. როგორც თავის დროზე ეკონომიკურმა ექსპერტმა ნიკო ორველაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ წინა წლებში აღებული საგარეო ვალები პირდაპირი მნიშვნელობით განიავდა. **"ვალი მხოლოდ გამოუვალ შემთხვევებში უნდა აიღოს ქვეყანამ. დონორების დახმარებას როგორ შეიძლება ვუწოდოთ ცუდი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ასეა. ამან მორალურად გარყვნა საზოგადოება, განსაკუთრებით კი - მმართველი ელიტა. თუ გავუკეთებთ ანალიზს უცხოური პროგრამებით განხორციელებულ დახმარებებს, მათ დახმარებები ძალიან პირობითად შეიძლება ვუწოდოთ. ამ ე.წ. დახმარებების დაახლოებით 80 პროცენტი საქართველოში არც შემოდიოდა, პირდაპირ ხელფასებად, ჰონორარებად და ა.შ. ირიგებდნენ. რატომ ერქვა ამას დახმარება, გაურკვეველია,"** - აცხადებს ორველაშვილი.

2004 წელს სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებაზე საქართველომ 198,943 მლნ ლარი გაიღო. ამ თანხიდან 150,441 მლნ ლარით ძირითადი თანხები, ხოლო 48,502 მლნ ლარით პროცენტები დაიფარა.

ფინანსთა სამინისტრო დიდ იმედებს ამყარებს პრივატიზაციიდან შემოსულ თანხებზე. მათი განცხადებით, თუ მიმდინარე წელს პრივატიზაციიდან დაგეგმილი შემოსავლების გაორმაგება მოხერხდა, საგარეო ვალების მომსახურებისთვის დამატებით 39 მლნ ლარი გამოიყოფა. სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებისთვის 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით უკვე გათვალისწინებულია 217,38 მლნ ლარი, საიდანაც ძირითადი თანხის დასაფარად 119,053 მლნ ლარია გამიზნული, 43,85 მლნ ლარი კი - პროცენტებისთვის.

# ჩინეთი რუსეთისგან იარაღს საგანგაშო რაოდენობით ყიდულობს

*ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით დღითიდღე ძლიერდება. ქვეყანა განსაკუთრებულ ყურადღებას თავდაცვის სფეროს აქცევს და თავისი საბრძოლო მასალების არსენალს რუსეთისგან ნაყიდი იარაღით გამუდმებით ავსებს. ჩინეთის წლევანდელ ბიუჯეტში თავდაცვის სფეროსთვის თანხების 12,6 პროცენტით გაზრდა იგეგმება. ბიუჯეტის მიღების შემთხვევაში ჩინეთი თავდაცვაზე რუსეთზე მეტ თანხებს დახარჯავს.*

ნანა ნასყიდაშვილი

ჩინეთის წლევანდელ ბიუჯეტში თავდაცვის სფეროსთვის გამოყოფილი თანხების 12,6 პროცენტით გაზრდა იგეგმება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროზე ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის 2,8 პროცენტი - 30 მილიარდი დოლარი დაიხარჯება. ეს საკითხი დღევანდელ სესიაზე უნდა განიხილონ და ბიუჯეტის მიღების შემთხვევაში, რაც არსებითად მოსალოდნელია კიდეც, აღნიშნულ სფეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რუსეთზე მეტ თანხებს დახარჯავს. სხდომაზე თავდაცვის პროექტთან ერთად, ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ კანონიც იქნება წარდგენილი. აღნიშნული პროექტები, პოლიტოლოგთა აზრით, მთავრობის ხელში თავისებურ ბერკეტად იქცევა ტაივანის მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების მცდელობის შემთხვევაში. თუმცა, ჩინეთის პარლამენტის სპიკერი სამხედრო ბიუჯეტში თანხების ზრდის ტაივანის პრობლემასთან კავშირს უარყოფს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთი იარაღის შესყიდვით აქტიურად არის დაკავებული. ამ საკითხში სერიოზულ მხარდაჭერას მას რუსეთი უწევს. ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილია ახალი "სტრატეგიული თანამშრომლობის" შეთანხმებაც, რომლის მსგავსიც რუსეთ-ჩინეთს ჯერ კიდევ ელცინის დროს, 1996 წელს ჰქონდა. ოფიციალური მხარეები გამუდმებით ამტკიცებენ, რომ რუსეთს და ჩინეთს ურთიერთობის გაფუჭება არავისთან არ უნდათ, თუმცა ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ პეკინს და მოსკოვს აშშ-ს ჰეგემონობის "დაბალანსება" სურთ. ჩინეთისთვის (რომელსაც საბჭოთა კავშირი ყოველთვის თავის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა) იარაღის მთავარ მიმწოდებლად წლების მანძილზე რუსეთი რჩება. ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიო ქვეყნებს შორის ჩინეთი რუსეთის საექსპორტო სამხედრო ტექნიკის ნახევარს ყიდულობს, ხოლო არაოფიციალური მონაცემებით - 70 პროცენტს. მოსკოვი პეკინს ისეთი სახის სამხედრო ტექნიკას აწვდის, როგორიცაა უკანასკნელი თაობის ავიაგამანადგურებლები, საბრძოლო გემები და წყალქვეშა ნავები. დასავლეთი ყურადღებით აკვირდება ამ პროცესს. ვაშინგტონი 11 სექტემბრის ტერაქტამდე ჩინეთს ნომერ პირველ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა. ბუში ჩინეთისგან ტაივანის თავდაცვაზეც კი საუბრობდა. "11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, როდესაც აშშ-ს ადმინისტრაციამ კურსი ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობისა და ტერორიზმთან ბრძოლისაკენ აიღო, ჩინეთთან ურთიერთობის გარკვევის საკითხმა დროებით გადაიწია," - განაცხადა ამერიკული ფონდის "მემკვიდრეობის" თანამშრომელმა არიელ კოენმა. ყველაფრის მიუხედავად, აშშ ჩინეთის სამხედრო პოტენციალის ზრდას გამუდმებით თვალყურს ადევნებს. თუმცა, ამერიკა ხვდება, რომ აზიელი პარტნიორის მიღწევები მეცნიერებისა და მრეწველობის სფეროში რეგიონული ჰეგემონობისთვისაც კი არ არის ჯერ საკმარისი. და მაინც, რატომ აწვდის რუსეთი ჩინეთს უკანასკნელი თაობის იარაღს? ჯერჯერობით, ორივე მხარე საკუთარი ამოცანების ამოხსნითაა დაკავებული. ერთი მხრივ, ამჟამად რუსეთის სამხედრო მრეწველობისთვის პეკინის იარაღით მომარაგება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგანაც ბოლო პერიოდში თვითონ რუსული ჯარიდან იარაღზე მოთხოვნილება შემცირებულია. ჩინეთთან წარმოებული ბიზნესი რუსეთს წელიწადში მილიარდ აშშ დოლარამდე მოგებას აძლევს. მეორე მხრივ კი, ასეთი პოლიტიკა მეზობლებს შორის კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. "რუსეთ-ჩინეთი ან მტრები ან მოყვრები უნდა იყვნენ. მოსკოვი მეგობრობას ამჯობინებს და ამიტომაც აწვდის პეკინს სამხედრო თვითმფრინავებს და გემებს," - ამბობს დამოუკიდებელი სამხედრო მიმომხილველი იური გოლოტუკი. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ჩინეთი სულ უფრო ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებს მზა იარაღის იმპორტირებაზე. პეკინი სხვადასხვა ნაწილების შესყიდვასა და საკუთარი სამხედრო წარმოების განვითარებას ამჯობინებს. მოსალოდნელია, ამ ორმა ქვეყანამ ერთად დაიწყოს ახალი ტიპის იარაღის შემუშავება და შემდეგ ამ იარაღით ერთობლივი ვაჭრობა. თუმცა, ადრე თუ გვიან, ამ ორი ქვეყნის ინტერესები აუცილებლად შეეჯახება ერთმანეთს და სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს. რუსეთი უკვე შეშფოთებულია ჩინეთის მზარდი ძლიერებით. თანაც, ორივე ქვეყანა ცენტრალურ აზიაში საკუთარი ინტერესების გატარებითაა დაინტერესებული. არის საშიშროებაც, რომ ჩინეთს შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიებისადმი, სადაც რუსი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, ინტერესები აღეძვრება.



# ევროკომისიამ საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

"ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ არსებულ შეთანხმებასთან შედარებით, ევროკავშირთან უფრო ფართომასშტაბიანი ურთიერთობების, მათ შორის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების საშუალებას იძლევა. შემდგომი ნაბიჯები ახლა უკვე ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ უნდა განსაზღვროს.

ევროკომისია, "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში, საქართველოსთან ურთიერთობის მნიშვნელოვნად გაღრმავების რეკომენდაციას იძლევა, რაც "სამოქმედო გეგმის" შემუშავებას ითვალისწინებს.

ამ რეკომენდაციას საფუძვლად უდევს ევროკომისიის მიერ 2 მარტს გამოქვეყნებული ანგარიში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში მოცემულია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა და ევროკავშირთან მისი ორმხრივი ურთიერთობის დეტალური მიმოხილვა.

გუშინ საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობაში ბრიფინგი გაიმართა, სადაც წარმომადგენლობის მეთაურმა, ტორბენ ჰოლცემ ორი დღის წინ, ბრიუსელში საგარეო ურთიერთობებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარის ბენიტა ფერერო-ვალდნერის წარდგენილ "საქართველოს შესახებ ანგარიშზე" ისაუბრა.

ტორბენ ჰოლცეს განცხადებით, ევროკომისიის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებაზე, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე; აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელებაზე, ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციისა და ბიზნესისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის აუცილებლობაზე.

ევროკომისიის ანგარიში საქართველოში არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასებაა, მასში იმ სფეროებზეა გამახვილებული ყურადღება, რომელთა გამოსწორებაც ევროკომისიას აუცილებლად მიაჩნია.

პრობლემები კი, თუ თავად ანგარიშს გადავხედავთ, ქართულ სახელმწიფოს ეკონომიკურის გარდა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მხრივაც მრავლად ჰქონია.

ჟურნალისტის კითხვაზე: რა უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის - ეკონომიკის განვითარება თუ კანონის უზენაესობის, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, - ბატონმა ჰოლცემ აღნიშნა, რომ ერთი, მეორეს გარეშე წარმოუდგენელია.

ევროკომისიის აზრით საქართველო-ევროკავშირის "სამოქმედო გეგმის" ძირითადი მიზნები უნდა იყოს:

კანონის უზენაესობის განმტკიცება (სასამართლო, სამართალდამცავი ინსტიტუტებისა და პენიტენციური სისტემის რეფორმა) და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; დემოკრატიული სტრუქტურებისა და პლურალიზმის განმტკიცება (საპარლამენტო რეფორმა, მასმედიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმა, საარჩევნო რეფორმა); გარემოს გაუმჯობესება ბიზნესის განვითარებისათვის და საზოგადოებრივი სექტორის მოდერნიზება; საგადასახადო და საბაჟო ორგანოებისა და კანონმდებლობის რეფორმა და კორუფციისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის განმტკიცება; გამჭვირვალე საპრივატიზაციო პროცესი; წინსვლა სიღარიბის შემცირების, სტაბილური (მდგრადი) განვითარების და გარემოს დაცვის მიმართულებით; წინსვლა კონფლიქტების მოგვარების საქმეში და რეგიონული თანამშრომლობის უზრუნველყოფა;

"დიდი იმედი მაქვს, რომ ევროკავშირის მინისტრთა საბჭო დადებითად გადაწყვეტს საქართველოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების საკითხს. ჩვენი ურთიერთობების გაღრმავება ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევასა და მის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯებზე იქნება დამოკიდებული", - განაცხადა ჰოლცემ.

*24 საათი*

# აშშ-ს სამხედრო დანაკარგი ერაყში - 1500-ზე მეტი ჯარისკაცი

ერაყში ომის დაწყებიდან დღემდე, ბრძოლებისა და უბედური შემთხვევებისგან აშშ-ს არმიის 1502 ჯარისკაცია დაღუპული. დაღუპულთა სამი მეოთხედი - საბრძოლო დანაკარგს შეადგენს. დაჭრილთა რიცხვმა 11 ათასს გადააჭარბა, საიდანაც მხოლოდ ნახევარი დაბრუნდა საბრძოლო მწყობრში.

ძნელია დანაკარგის რაოდენობაში რაიმე ტენდენციის შემჩნევა, მაგრამ 30 იანვრის არჩევნების შემდეგ სამხედროები შედარებით ნაკლები რაოდენობით იღუპებიან. პენტაგონი ირწმუნება, რომ ამის მიზეზი მეამბოხეთა მხრიდან საომარი ინიციატივის კლებაა. თუმცა, საკუთრივ ერაყის უშიშროების ძალებსა და სამხედროებზე თავდასხმებმა თუ არ იმატა, არც შემცირებულა. სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, ამერიკის დანაკარგი არც ისე კრიტიკულია და მთლიანობაში ერაყში მიმდინარე სამხედრო ოპერაციას საფრთხით არ ემუქრება. თუმცა, შესაძლოა, ამომრჩეველთა თვალში ეს დანაკარგი პოლიტიკური თვალსაზრისით კრიტიკული აღმოჩნდეს. აშშ-ში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა უჩვენებს, რომ ომი ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, ხოლო ამერიკელთა თითქმის ნახევარი ფიქრობს, რომ ერაყში შექმნილი სიტუაცია ჩიხშია მოქცეული. დანაკარგის რაოდენობა, ჯერჯერობით, სამხედრო სარდლობისა და კონგრესის განცხადებების თანახმად, იმდენად არ აწუხებს ვაშინგტონს, რამდენადაც ერაყში სამხედრო ყოფნის ყოველდღიური დანახარჯების მოცულობა. სამხედრო დანაკარგები ერაყში აშშ-ს საერთო სტრატეგიაზე არსებით გავლენას, ჯერჯერობით, არ ახდენს.

*24 საათი*

# აზერბაიჯანული საქონელი ყარაბაღში, კონტროლირებად ტერიტორიებსა და სომხეთში

პირველი გვერდიდან

დებოდა.

ფქვილის ტომრები წარწერით "მეჰრიბანი" და "გრანდი მოლინი" მცირე პარტიებით სომხეთში დღესაც გააქვთ. (მისამართი: ქ.განჯა. ალიევის ქუჩა N3)

თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დედაქალაქში იყიდება "აზერჩაი". გამყიდველმა ალამ გვითხრა, რომ ყარაბაღში ძალიან მოსწონთ "აზერჩაი", რომელიც სხვა იმპორტულ ჩაის არც გემოთი და არც ხარისხით არ ჩამოუვარდება, ამასთან ერთად გაცილებით იაფია. თუკი ლაჩინის დერეფანსა და სტეპანაკერტში "აზერჩაის" ერთი შეკვრა 220-250 დრამი ღირს (1 $=470-500 დრამი), სადახლოში ამ ჩაის ბითუმად ყიდვა 170-დრამად შეიძლება.

აზერბაიჯანელი მამადი ჩივის, რომ ქართველი მებაჟეები 50 ყუთ "აზერჩაიში" (ყუთში 100 შეკვრაა) 5-10 დოლარს ითხოვენ, ხოლო სომხურ მონაკვეთზე "პრობლემები" ჩნდება. სადახლო მსოფლიოს იმ ბაზართა რიცხვს განეკუთვნება, სადაც ქრთამით ნებისმიერი პრობლემის მოგვარება შეიძლება. მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, "აზერჩაი" დიდი ოდენობით გადის საქართველოდან სომხეთში.

### სტეპანაკერტში სომხეთ-აზერბაიჯანის ტვირთბრუნვას დადებითად აფასებენ

თვითაღიარებულ მთიან ყარაბაღში ბუნებრივად თვლიან და ემხრობიან სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ტვირთბრუნვას, თუნდაც მესამე ქვეყნის ტერიტორიის გავლით. სტეპანაკერტის დამოუკიდებელი გაზეთის "დემოს" მთავარი რედაქტორი გეღამ ბაღდასარიანი, როგორც მომხმარებელი, გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამს, "რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით სავსებით გასაგებია".

"როგორც მოქალაქე, ყოველივე ამას მშვიდად ვხვდები, უფრო სწორად, ჩემი ჭეშმარიტი პატრიოტიზმი მოვლენების ფხიზლად შეფასებაში ხელს არ მიშლის. ადრე თუ გვიან, აუცილებლად გვექნება თავისუფალი და ღია ეკონომიკა და აქ მთელი მსოფლიოდან შემოვა საქონელი. მთავარი კრიტერიუმი ხარისხი იქნება. თუ აზერბაიჯანული ჩაი უფრო ხარისხიანი იქნება, სწორედ ამ ჩაის ვიყიდი," - ამბობს ბაღდასარიანი.

დამოუკიდებელი პოლიტმიმომხილველი დავიდ ბაბაიანი სომხურ-აზერბაიჯანულ - ყარაბაღის კონფლიქტის პრობლემაზე მუშაობს. "მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი დარეგულირებული არ არის და ყარაბაღსა და აზერბაიჯანს შორის კონტაქტი გაწყვეტილია, მათ შორის ტვირთბრუნვა მაინც წარმოებს. მაგალითად, ჩვენთან სტეპანაკერტში და რესპუბლიკის სხვა დასახლებულ პუნქტებში შეიძლება აზერბაიჯანული ნაწარმის ნახვა, ხოლო აზერბაიჯანში სომხური კონიაკი და სიგარეტი იყიდება."

ბაბაიანის აზრით, მხარეთა შორის ტვირთბრუნვა, თუნდაც მესამე ქვეყნის ტერიტორიის მეშვეობით, კონფლიქტის მოწესრიგებისათვის დადებითი ფაქტორია. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მომენტი. რაც არ უნდა პრიმიტიული იყოს ეკონომიური კავშირი, მას მაინც შეაქვს წვლილი კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში.

რაც შეეხება მზა ტანსაცმელს, სადახლოს ბაზრობაზე თურქული და ჩინური წარმოების პროდუქცია იყიდება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ამ უხარისხო, მაგრამ შედარებით იაფფასიან ტანსაცმელს ყიდულობს. სადახლოელი აზერბაიჯანელი ქალი შილვია მამაკაცის შავი ფერის ჯინსებს "ჟამტეხ ჟეანს" 6 დოლარად გთავაზობს. ერევანში ეს შარვალი სულ ცოტა 10 დოლარი მაინც ღირს. გვერდით მდგომი მოვაჭრე გვეუბნება, რომ ბაზრობაზე ჩინური საქონელი აზერბაიჯანიდან შედის. 7-8 წლის წინ, სადახლოში რამდენიმე სახის იმპორტული სიგარეტი აზერბაიჯანიდან შედიოდა, იქიდან კი სომხეთში ხვდებოდა.

უკვე 15 წელია, რაც მტვირთავი ვარდანი სადახლოს ბაზრობაზე მუშაობს - საწვავის ბიზნესში "დახელოვნდა". შედარებით იაფი დიზელის საწვავის 20 ლიტრიანი ტარა ბაზრობის ქართული მონაკვეთიდან დებედას მარჯვენა ნაპირზე გადააქვს. ყოველ ჯერზე ვარდანს 40 ლიტრი ბენზინი გადააქვს და გასამრჯელოდ ნახევარ დოლარზე ცოტა მეტი რჩება. საქართველოში მოხმარებული საწვავის 80 პროცენტამდე აზერბაიჯანიდან შედის. არცთუ დიდი ხნის წინ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, რომ მიღებული ინფორმაციით, აზერბაიჯანული საწვავის ნაწილი სომხეთში გაედინება.

2004 წლის აპრილში საქართველოს პოლიციამ ყადაღა დაადო ადგილობრივი კომპანიის "ვივა"-ს საწყობებს, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ კომპანია 450 ტონა ბენზინის სომხეთში გაგზავნას აპირებდა. საქართველოს პოლიციის ვარაუდით, კომპანია კონტრაბანდულ საქმიანობას ეწეოდა და აზერბაიჯანიდან ბენზინი საქართველოს გავლით სომხეთში გადაჰქონდა.

აზერბაიჯანული საქონელი - საწვავი, ჩაი, ზუთხი და სხვა - სომხეთში 1991 წლიდან მოყოლებული განუწყვეტლივ შედიოდა, ასე განსაჯეთ, ყარაბაღის სისხლისმღვრელი ომის დროსაც კი, აზერბაიჯანელები სიამოვნებით მიირთმევდნენ სევანის ტბის აუზში მოყვანილ კარტოფილსა და ნედლ თუ შებოლილ სიგას. ომის წლებში სადახლოელი ვაჭრები ხუმრობდნენ კიდეც, რომ აზერბაიჯანის ჯარს სომხური კარტოფილით კვებავენ, ყარაბაღის ტანკები კი აზერბაიჯანული საწვავით მოძრაობს.

ოფიციალური მონაცემებით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ტვირთბრუნვა ნულს უტოლდება. არაოფიციალურით კი, საქართველოსა და ირანის ტერიტორიით განხორციელებული ტვირთბრუნვა 50 მილიონ აშშ დოლარს აღწევს.

რამდენიმე წლის წინ სომხეთის ფინანსთა მინისტრმა ვარდან ხაჩატრიანმა განაცხადა, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვარზე არსებული სადახლოს ბაზრობიდან სომხეთში 300-400 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების კონტრაბანდული საქონელი შედის. ამ საქონლის ერთი ნაწილი, კერძოდ კი ჩაი, საწვავი, ზუთხი, ფქვილი - აზერბაიჯანის ნაწარმია.

ყველაფერი მარტივი ასახსნელია. საქართველო-სომხეთის საზღვრის წითელი ხიდის საბაჟოდან აზერბაიჯანული საქონელი სადახლოს ბაზრობაზე ხვდება, იქიდან კი სომხეთში გადააქვთ. აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქე ვაჭრებს შორის შუამავლის როლს, ძირითადად, საქართველოს მოქალაქეები, ეთნიკური აზერბაიჯანელები ასრულებენ. მაგალითად, შუამავალ აზერბაიჯანელებს კარტოფილი ან თევზი ბაზრობის სომხური მონაკვეთიდან ქართულში გადააქვთ, სადაც მანქანაში ტვირთავენ, რომელსაც აზერბაიჯანული ნომრები აქვს.

სადახლოსა და წითელ ხიდზე მოვაჭრეები, ჩინოვნიკები, მტვირთავები, საბაჟოს მოხელეები, მეძავები მხოლოდ ფულის საშოვნელად იკრიბებიან.

### რას აკეთებენ ოფიციალური პირები?

2004 წლის ნოემბრის ბოლოს ოფიციალურმა ბაქომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მის კუთვნილ ტერიტორიაზე ცენტრალური აზიიდან საქართველოსაკენ მომავალი 900 სატვირთო ვაგონი გააჩერა. მოტივი - ვაგონების ერთი ნაწილის სომხეთის ტერიტორიაზე მოხვედრა გახლდათ.

აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერს, აბას აბასოვს მაშინ მუქარაც კი დასცდა: "საქართველოს ხელისუფალთაგან მოვითხოვთ, მკაცრად აკრძალონ ტრანზიტული გადაზიდვები აზერბაიჯანიდან სომხეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზერბაიჯანის მხარე შეწყვეტს საქართველოს მიმართულებით ყველა ტვირთის გადაადგილებას".

ბაქომ ჯერ კიდევ 1998 წელს

# 29 მაისი - რეფერენდუმის თარიღი საფრანგეთში

ევროპის ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით პირველი ქვეყანა, რომელმაც წელს რეფერენდუმი ჩაატარა და დადებითი შედეგი მიიღო, ესპანეთი (20 თებერვალი) იყო. მის მაგალითს მალე საფრანგეთიც მიბაძავს, სადაც სავარაუდო ვადად აქამდე თუ მაისი-ივნისი განიხილებოდა, პრეზიდენტის კანცელარიის მიერ 4 მარტს გაკეთებული განცხადების თანახმად, რეფერენდუმის ჩატარების დღედ 29 მაისი დასახელდა. "რესპუბლიკის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ევროპის კონსტიტუციასთან დაკავშირებით რეფერენდუმი 29 მაისს ჩატარდეს", ნათქვამია ელისეს სასახლის პრესცენტრის მიერ გავრცელებულ კომუნიკეში. ამ გადაწყვეტილების მიღებას პარლამენტში წამყვანი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ჟაკ შირაკის კონსულტაციები უძღოდა წინ. ამათგან, სახალხო მოძრაობის კავშირმა, რომლის ლიდერიც თავად პრეზიდენტია და ოპოზიციაში მყოფმა სოციალისტურმა პარტიამ მხარი პლებისციტის ჩატარებას დაუჭირა. თუმცა, ამავე სხდომაზე სოციალისტური პარტიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა კომუნისტებთან ერთად განაცხადა, რომ ისინი რეფერენდუმზე ევროპის ახალ კონსტიტუციას მხარს არ დაუჭერენ. კომუნისტებმა სხვა ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, რეფერენდუმის ჩატარების ვადის გადაწევა მოითხოვეს, რათა საზოგადოებას ახალი კონსტიტუციის ტექსტზე მსჯელობისათვის მეტი დრო ჰქონოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, უშედეგოდ.

ვერსალის სასახლეში თებერვლის ბოლოს საფრანგეთის პარლამენტის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებები იქნა შეტანილი, რომელიც გზას უხსნის ევროპის ახალ კონსტიტუციას.

ახალი კონსტიტუცია, ფაქტობრივად, ევროკავშირის ბუნებას მნიშვნელოვნად არ შეცვლის. იგი ძირითადად კავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისა და ჰარმონიული ერთობლივი საგარეო პოლიტიკის გატარებისკენაა მიმართული. პრეზიდენტ შირაკის თქმით, ევროპის ახალი კონსტიტუცია "ევროპას მსოფლიოში თავისი ინტერესების სრულად დაცვის საშუალებას მისცემს". ამ განცხადებით ჟაკ შირაკმა კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ "მულტიპოლარულ მსოფლიოში" იგი აშშ-ს დომინანტ ძალად არ განიხილავს.

რაც შეეხება ევროკავშირის სხვა წევრ-ქვეყნებს, ახალ კონსტიტუციას რატიფიცირება პარლამენტის მეშვეობით რეფერენდუმის ჩატარების გარეშე უკვე გაუკეთა ლიტვამ, სლოვენიამ და უნგრეთმა. ევროპის ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების თარიღი დაზუსტდა. იგი 27 სექტემბერს გაიმართება.

*24 საათი*

# მოლდოვა არჩევნებისთვის მზადაა

მოლდოვას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის პეტრ რაილიანის განცხადებით, მოსამზადებელი სამუშაოები საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელიც 6 მარტს გაიმართება, დასრულებულია. ქვეყანაში გაიხსნება 1938 საარჩევნო უბანი, ხოლო საზღვარგარეთ, საელჩოებში - 23. მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე გაიხსნება 9 საარჩევნო უბანი დნესტრისპირეთის მოქალაქეებისათვის. "საარჩევნო ხმის უფლების მქონე 2 მლნ 346 ათასი მოქალაქისათვის 2.5 მლნ ბიულეტენი დაიბეჭდა, აქედან, 1.8 მლნ მოლდოვურ ენაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი რუსულ ენაზე,"- განაცხადა ცსკო-ს წარმომადგენელმა. მისივე თქმით, ამჯერად მოსახლეობის აქტივობის ხარისხი 2001 წელთან შედარებით გაცილებით მაღალი უნდა იყოს. 2001 წელს 2.37 მლნ. ამომრჩევლიდან საარჩევნო უბნებზე მხოლოდ 1.6 მლნ. მოქალაქე გამოცხადდა.

# ქერჩი - ქართველთა გოლგოთა

*მეორე მსოფლიო ომს 300 ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. საქართველომ საბჭოთა ჯარებს 1941-1945 წლებში სულ 700 ათასი მეომარი შეჰმატა. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის მასშტაბებთან შედარებით, ეს მცირე რიცხვია, თუმცა პროცენტულად ფაშიზმთან ბრძოლამ ყველაზე მეტი ქართველი იმსხვერპლა. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებელში განსაკუთრებულად გამოიყურება ყირიმში, ქერჩში დაღუპულთა რიცხვი - დაახლოებით, 50 ათასი. მათ შესახებ ცოტა რამ ვიცით - ოფიციალური საბჭოეთი ინფორმაციის სიუხვით არასდროს გამოირჩეოდა, განსაკუთრებულად კი - ქერჩის შემთხვევაში. ტრადიციულად, დაღუპულთათვის პატივის მიგების საშუალება არც ეკლესიას მიეცა. დღეს ბორჯომ-ბაკურიანის ეპისკოპოსი სერაფიმე ქერჩში გამგზავრებასა და დაღუპულთა საფლავების მოლოცვას აპირებს.*

ოთარ ქირია

ექსპერტთა აზრით, ქერჩთან დაკავშირებით დღესაც ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. ზოგი მიიჩნევს, რომ კოლოსალური მასშტაბების მსხვერპლი არასწორად დაგეგმილმა სამხედრო ოპერაციამ განაპირობა, ნაწილი, ზოგადად, სტრატეგიას აკრიტიკებს, სხვები კი ამ ყველაფერს შეგნებულად ინსპირირებულს უწოდებენ. ერთი მხრივ, გაუგებარია, რაში დასჭირდებოდა საბჭოთა ჯარების სარდალს ასეთი რამ, მეორე მხრივ კი ნათელია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში, ფაშისტებზე არანაკლები ფაშიზმი თავად კომუნისტებმა გამოიჩინეს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველომ მსხვერპლი გაიღო. კომუნისტებმა გადარჩენილებს, როგორც ვეტერანებს, ხოლო დაღუპულთა ოჯახის წევრებს "შესაბამისი პატივი" მიაგო მწირი პენსიისა და მედლების სახით. თუმცა, რომ ვთქვათ, დღევანდელმა პოსტკომუნისტურმა ან დღევანდელმა მთავრობამ დაუფასა ვეტერანებსა და დაღუპულთა ოჯახებს ღვაწლიო - ნამდვილად მოვიტყუებით.

ბორჯომ-ბაკურიანის ეპისკოპოსი, მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა) ქართული მართმლადიდებლური ეკლესიის სხვა წარმომადგენლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და ვეტერანებთან ერთად ქერჩში გამგზავრებასა და ქართველთა საფლავების მოლოცვას აპირებს. მათთან ერთად გამგზავრება შეუძლია ნებისმიერს. განსაკუთებული მოწიწებით მეუფე სერაფიმე მათ გამოხმაურებას ელის, ვინც თავად გახლდათ ტრაგედიის თვითმხილველი, ან ახლობელი დაკარგა ქერჩთან ბრძოლაში. მეუფე სერაფიმემ კურთხვეა უწმინდესისგან რამდენიმე დღის წინათ მიიღო და ინფორმაციას ქერჩში გამგზავრების შესახებ პირველად "24 საათის" მეშვეობით ახმოვანებს.

ეს აზრი, დიდი ხანია, მაწუხებს. ბიძა დავკარგე ქერჩში 1943 წელს. მამაჩემიც ომობდა. ომის თემა ჩემს ოჯახში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო.

**- წასვლას როგორ აპირებთ?**

- ალბათ, ბორნით - ბათუმიდან.



ვახო ხაინდრავა ფოტო

*ბორჯომ-ბაკურიანის ეპისკოპოსი მეუფე სერაფიმე.*

ეს გზა იაფიც არის და მოხერხებულიც. ამასთან, უკრაინაში გამგზავრება დიდ ბარიერებთან დაკავშირებული არ არის და, მგონი, წასვლის სურვილი ბევრს გაუჩნდება. იქ უამრავი ქართველი დაიღუპა - ათიათასობით. კომუნისტების დროს, რა თქმა უნდა, მათთვის პანაშვიდის გადახდა წარმოუდგენელი იყო და დღეს ბედნიერი ვარ, რომ მე შევძლებ ამის განხორციელებას.

**- პატრიარქმა უკვე იცის?**

- რა თქმა უნდა. ასეთი რამ უწმინდესის კურთხევის გარეშე წარმოუდგენელია. პატრიარქს ისიც ვაცნობეთ, რომ საფლავის მოლოცვასთან ერთად ჯვრის დადგმას ვაპირებთ. ეს იქნება მოკრძალებული, მაგრამ ქართული ჯვარი დიდი მადლითა და ძალით.

**- კიდევ ვინ წავა?**

- წამოსვლა თქვენც შეგიძლიათ. წამოვლენ საეკლესიო პირები, ის ხალხი, ვინც თავად იყო ქერჩის ამბების თვითმხილველი, დაღუპულთა ოჯახის წევრები, საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლები, ჟურნალისტები; მოკლედ - ნებისმიერი, ვისაც ამის სურვილი გაუჩნდება. დღეს დათო ტურაშვილი შემხვდა და აღფრთოვანდა. ისიც აუცილებლად წამოვა. ჯერ ამის შესახებ საზოგადოებამ არც იცის და დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ მხარდაჭერისთვის.

**- ბიძა როგორ დაიღუპა?**

- დაბომბვისას. შეტყობინება მოვიდა, უფრო სწორედ, თვითმხილველმა გვიამბო მისი დაღუპვისა და იქაური ტრაგედიის შესახებ. მაშინვე არსებობდა ეჭვი, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა. თუმცა, ამის მტკიცება ნამდვილად არ შემიძლია.

**- რას გულისხმობთ?**

- რომ ეს იყო არასწორად დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია.

**- სასაფლაო მხოლოდ ქართველების არის?**

- მე არ ვყოფილვარ, თუმცა ვიცი, რომ ასეა. იქ ათიათასობით ქართველია დაკრძალული. საერთოდ, სამომავლოდ ვგეგმავთ, და ამის შესახებ, ზოგადად, პატრიარქსაც ვაუწყე უკვე, ამ სასაფლაოზე პატარა ქართული ეკლესიის აგებას. რამდენადაც ვიცი, უკრაინაში ბევრი მორწმუნე და შეძლებული ქართველი მოღვაწეობს.

**- იქაურმა ეკლესიამ უკვე იცის თქვენი განზრახვის შესახებ?**

- ჯერ აუცილებელია დღე დავადგინოთ. ეს იქნება, ალბათ, აპრილის ბოლო ან მაისის პირველი რიცხვები. ამ ეტაპზე მთავარია, ჯგუფი შეიკრას და ვილაცა ვიპოვოთ, ვინც ფინანსურად ამოგვიდგება მხარში. რა თქმა უნდა, უკრაინულ ეპარქიას აუცილებლად შევატყობინებთ ამ კეთილი საქმის შესახებ. მათაც იციან, რომ ამ ადგილზე ქართულ ეკლესიას ჯერ პანაშვიდი არ ჩაუტარებია. რა თქმა უნდა, ჩვენ საეკლესიო კალენდარში გვაქვს თარიღი, როცა ომში დაღუპულთა სულებს ვიხსენიებთ და მათთვის ყოველდღიურად ვლოცულობთ, მაგრამ უზარმაზარი მადლია, როცა იქ ჩავალთ და მოვილოცებთ. ეს საქართველოსთვის ძლიან მნიშვნელოვანი ადგილია. ქერჩი, პრაქტიკულად, ქართველთა გოლგოთაა. ეს არ იქნება მხოლოდ გახსენება. ამ ფაქტს უზარმაზარი საერო მნიშვნელობაც აქვს. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ამ ადამიანების, მათი გმირობისა და თავგანწირვის შესახებ. საქართველომ ისინი არ უნდა მიივიწყოს. მე ისტორიკოსებთანაც მქონია ამაზე არაერთხელ საუბარი და მათი ნაწილიც მოდის ჩვენთან ერთად.

**- თავად ვეტერანებს თუ ესაუბრეთ უკვე?**

- დღეს ვეტერანთა საბჭოსაც ვხვდები. რა თქმა უნდა, მათ გარეშე არ მინდა ამ მნიშვნელოვანმა დღემ ჩაიაროს. ეს ერის ღირსებაა და მხოლოდ იმისთვის არ ვგეგმავთ, რომ წასულები მოვიგონოთ. სწორედ ამიტომაც, ჩვენ, მარტო კი არა, უამრავ ადამიანთან ერთად გავემგზავრებით. ძალიან მახარებს ისიც, რომ სტუდენტებმა გამოთქვეს წამოსვლის სურვილი. ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, ვინ იცავდა მათ სიცოცხლეს და პატივი მიაგონ მათ სულებს.

**- ხალხმა როგორ უნდა მიიღოს ინფორმაცია გამგზავრების შესახებ?**

- როცა დღე დადგინდება, საჯარო განცხადებასაც გავაკეთებთ; შეუძლიათ ჩემგან შეიტყონ, საპატრიარქოსგან, თუნდაც - თქვენი გაზეთიდან და ა.შ. ეს ძალიან დიდი საქმეა.

# მაღალი ანტისანიტარიული შეგნება

*ჩვენს ქვეყანაში არც ისე ხშირია, რომ საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობამ სანიტარიულ სამსახურს შემოწმების მოთხოვნით მიმართოს. როგორც წესი, ნებისმიერ დაწესებულებაში მაკონტროლებლის გამოჩენა არავის სიამოვნებს. ამიტომაც ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის მეტროპოლიტენის უფროსობის ინიციატივამ ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია, ცოტა არ იყოს, გააოცა.*

ნანა ქადაგიშვილი

სანიტარიულმა ინსპექციამ ეროვნული ბიბლიოთეკა და თბილისის მეტროპოლიტენი სწორედ მათი ხელმძღვანელობის თხოვნით შეამოწმა. შემოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ ემზარ ჯგერენაიასა და გურამ გაბუნიას ინიციატივა დროული იყო. ინსპექციის სამრეწველო სანიტარიისა და შრომის ჰიგიენის სამმართველოს თანამშრომლებმა მეტროს თეთრთმეტივე სამსახური შეამოწმეს და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას ვენტილაციის სისტემის გაუმჯობესება ურჩიეს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში უფრო რთულად არის საქმე. **"შენობა ავარიულია, კონდიცირება-ვენტილაციის სისტემები - გამოსაცვლელი, წიგნის საცავებში საშინლად ცივა. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ბიბლიოთეკაში მომუშავე ადამიანების ჯანმრთელობაზეც იმოქმედებს და წიგნების მდგომარეობაზეც",** - გვითხრა სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა მედეა ჯოხაძემ.

აღნიშნული შემოწების შემდეგ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს სანიტარიული სამსახურისთვის ჰაერში სოკოს არსებობაზე გამოკვლევის ჩატარებაც მოუთხოვია. როგორც სანიტრიული სამსახურის თანამშრომლები აცხადებენ, მათი შრომა ამაოდ არ ჩაივლის. ეროვნული ბიბლიოთეკისა და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა მათ აღნიშნული პრობლემების მოგვარებას შეჰპირებია.

ჯგერენაიასა და გაბუნიასგან განსხვავებით, კვების ობიექტების, სილამაზის სალონების და სტომატოლოგიური დაწესებულებების ხელმძღვანელებს სანიტარიული სამსახურის თანამშრომელთა გამოჩენა დიდად არ გახარებიათ - მათი უმრავლესობა დაჯარიმდა.

გასული წლის ბოლოს შეშელიძის ქუჩაზე მდებარე 10 ოჯახური ტიპის სასადილოს შემოწმების შემდეგ სანიტარიულმა ინსპექციამ ათივეს ექსპლუატაციის შეჩერების გადაწყვეტილება გამოუტანა. სასადილოების უფროსობამ ეს გადაწყვეტილება არაფრად ჩააგდო, ამიტომაც სასამართლომ ათივე 1 500 ლარით დააჯარიმა.

ინსპექციის კომუნალური ჰიგიენის სამმართველომ გასული წლის პირველი სექტემბრიდან დღემდე 150-მდე სილამაზის სალონი და სტომატოლოგიური დაწესებულება შეამოწმა. მათგან 92 დაჯარიმდა, 30-ს კი ექსპლუატაცია შეუჩერდა.

აღნიშნული სტატისტიკიდან ნათელია, თბილისში მცხოვრებთა ჯანმრთელობას რამხელა საფრთხე ემუქრება. კვების ობიქტებში არანაირი სანიტარიული ნორმა დაცული არ არის, სილამაზის სალონი თუ სტომატოლოგიური დაწესებულება კი, სადაც იარაღებს არ ასტერილებენ, მოწამვლისა თუ შიდსითა და C ჰეპატიტით დაავადების "საუკეთესო" საშუალებაა. არანაკლებ სამწუხაროა ისიც, რომ თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ადამიანები, ვინც საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე ზრუნავს. უმრავლესობას თანამოქალაქეთა მოწამვლა-დაავადება არ ადარდებს. აღნიშნულ პრობლემას მხოლოდ სანიტარიული ინსპექციისა თუ სასამართლოს საჯარიმო სანქციები ვერ აგვარებს. დაჯარიმებული ობიექტი უმეტეს შემთხვევაში არხეინად განაგრძობს საქმიანობას, რადგან აღმასრულებელი ორგანო ჯარიმის ამოსაღებად ან საერთოდ არ მიდის, ან მიდის, მაგრამ საქმე, 1500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, როგორც წესი, აღმასრულებლის ჯიბეში 200-300 ლარის ჩაცურებით მთავრდება. თვით სანიტარიული ზედამხედველობის ხელმძღვანელი აღიარებს, რომ ხშირად სანიტარიული ექიმებიც სცოდავენ. ამისი მიზეზი კი მარტივია - დაბალი ხელფასი და ცდუნების დიდი შანსი. თუმცა, როგორც ინსპექციის ხელმძღვანელი კახა ნაჭყებია გვპირდება, ამიერიდან ეს პრობლემა მოგვარდება, რადგან სანიტარიულ ექიმს ხელფასი სამჯერ გაეზრდება -საშუალო ხელფასი 300 ლარი გახდება. რაც შეეხება აღმასრულებელ სამსახურებს, ამ მხრივ, რაიმე უკეთესობა, ჯერჯერობით, არ იგეგმება.




სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოს შიდა გზების რეაბილიტაცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

***ფოცხოს საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "ფოცხო-2002-ი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "ფოცხო-2002-ი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, სენაკის რაიონი,***
***სოფელ ფოცხოს, გამგეობის შენობა***
***საკონტაქტო პირი თენგიზ დემურია, სათემო კავშირი "ფოცხო-2002"-ის თავმჯდომარე***

***2005 წლის 7 მარტიდან*** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 700*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, სენაკის რაიონი***
***სოფელ ფოცხოს, გამგეობის შენობა***
***საკონტაქტო პირი თენგიზ დემურია, სათემო კავშირი "ფოცხო-2002"-ის თავმჯდომარე***

***2005 წლის 6 აპრილის 15:00 საათამდე.***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***15:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

## განცხადება

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნით ვაქვეყნებთ ოფიციალურ წერილს (N01-17-03/2122, 23.02.05), სადაც მოცემულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების 23-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტები, რომელიც ეხება თსსუ საუნივერსიტეტო კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვას; ტექსტი ქვეყნდება უცვლელად:**

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის
რექტორს პროფესორ **რ.ხეცურიანს**

**ბატონო რამაზ,**

ამა წლის 22 თებერვალს შემოსული თქვენი # 02.01.03/195 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენთან არსებული საუნივერსიტეტო კოლეჯის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა უნდა ხდებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების (რომლის პროექტი ამჟამად დამტკიცების სტადიაშია) 23-ე მუხლის მე-3 მე-6 პუნქტების შესაბამისად, კერძოდ:

3. 2005/2006 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული სამწლიანი კოლეჯის კურსდამთავრებულს ენიჭება უფლება ჩარიცხულ იქნეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეორე ან მესამე ჯურსზე, კოლეჯთან არსებული შეთანხმების/ხელშეკრულების შესაბამისად, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინსტიტუტციური აკრედიტაციის შედეგად დადგენილი მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. კურსდამთავრებულმა შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში უნდა წარმოადგინოს საშუალო განათლების სრული კურსის დასრულების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

4. 2005/2006 და 2006/2007 სასწავლო წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული სამწლიანი კოლეჯის მეორე კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ ჩარიცხულ იქნეს ის მიერ შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ფაკულტეტის (სპეციალობის) პირველ კურსზე. სტუდენტმა სარეგისტრაციო პუნქტში რეგისტრაციის გავლისას უნდა წარმოადგინოს საშუალო განათლების სრული კურსის დასრულების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

5. 2006/2007 და 2007/2008 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული სამწლიანი კოლეჯის კურსდამთავრებულს ენიჭება უფლება ჩარიცხულ იქნეს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეორე კურსზე მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ (თუ მან მოიპოვა ადგილი ფაკულტეტზე გაგზავნილ სიაში, ე.ი. პირველ კურსზე ბოლო ჩარიცხულზე არანაკლები ქულა დააგროვა) ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად დადგნილი სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში.

6. 2008/2009 სასწავლო წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული სამწლიანი კოლეჯის კურსდამთავრებულს ენიჭება უფლება ჩარიცხულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულეის მხოლოდ პირველ კურსზე ჩვეულებრივ საწყისებზე - ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ.

გთხოვთ შესაბამისი განცხადება გამოაქვეყნოთ პრესაში.

პატივისცემით,
ალექსანდრე დიდებულიძე,
მინისტრის პირველი მოადგილე.

*თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.*

# "ღონღაძის საქმის" ერთ-ერთი მთავარი მოწმე და შესაძლო ბრალდებული მკვდარია

პირველი გვერდიდან

უკვე გუშინ უკრაინულმა "მე-5 არხმა" გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, კრავჩენკოს სხეულზე ორი ნატყვიარია აღმოჩენილი, რაც მის მკვლელობაზე მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად კრავჩენკოს დაღუპვის ერთადერთ ვერსიად თვითმკვლელობა გამოცხადდა, არაოფიციალური წყაროების ცნობით, განიხილება სნაიპერის მიერ მკვლელობის ვერსიაც. ასევე, უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, კრავჩენკოს გვამთან ნაპოვნია წერილი, რომლის შინაარსიც მისთვის ცნობილი არ არის. უკრაინული საინფორმაციო საშუალებები კი ავრცელებენ დაუდასტურებელ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სიკვდილის წინ დაწერილ წერილში კრავჩენკო ბოდიშს უხდის თავის ახლობლებს და ბრალს სდებს ექს-პრეზიდენტ კუჩმას.

საქმე ის გახლავთ, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი - გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, და, სავარაუდოდ, ბრალდებულიც კი გახლდათ. გუშინ მას პასუხი უნდა გაეცა გამოძიების კითხვებზე ღონღაძის გატაცებასა და მკვლელობასთან მისი კავშირის თაობაზე. ასევე, შესაძლოა, ეს იყო ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტი იცოდა ღონღაძის მკვლელობის შემკვეთის ან შემკვეთების შესახებ. არ გამორიცხავდნენ დაკითხვის შემდეგ მის დაპატიმრებასაც.

უნდა ითქვას, რომ დაკითხვამდე მისი დაკავების მოთხოვნამ უკრაინის რადაში არაერთხელ გაიჟღერა. კერძოდ, ამის თაობაზე განაცხადა უკრაინის რადას განსაკუთრებული საქმეების საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ გრიგორი ომალჩენკომ. იგი კრავჩენკოს დაკავების მოთხოვნას, პირველ რიგში, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფით ამართლებდა და ამაში ვერაფერს ხედავდა განსაკუთრებულს, მით უმეტეს, რომ კრავჩენკო უკვე 2004 წლის 13 დეკემბრიდან მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მანამდე იგივე ომალჩენკო ექს-პრეზიდენტ კუჩმას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და მასზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადებასაც ითხოვდა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები კუჩმასთან დაკავშირებით, თუმცა, უკვე ფაქტია, რომ კრავჩენკოს დაკავებით უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება, კერძოდ კი, გენერალური პროკურორი ძალზე არასასიამოვნო ეჭვებსა და, მეტიც, ბრალდებებს აიცილებდა თავიდან.

როგორც ცნობილია, კრავჩენკოს კავშირი ღონღაძის მკვლელობის საქმესთან ლეონიდ კუჩმას დაცვის ყოფილი წევრის, ნიკოლაი მალნიჩენკოს მიერ გამოქვეყნებული საუბრების ჩანაწერებით დადგინდა. ამ ჩანაწერების თანახმად, კუჩმა კრავჩენკოს ღონღაძის მოშორებას სთხოვს, ეს უკანასკნელიც თანხმდება.

თუმცა, გენერალური პროკურატურა ირწმუნება, რომ ამ ჩანაწერების გარდა, ღონღაძის გატაცებასა და მკვლელობასთან კუჩმასა და იმავე კრავჩენკოს კავშირის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებიც მოეპოვებათ. როგორც ცნობილია, ღონღაძის საქმეზე უკვე დაკავებულია ორი ადამიანი, ერთი გათავისუფლებულია პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, ერთზე კი - თავის დროზე კრავჩენკოს უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ, კრიმინალური დაზვერვის ყოფილ შეფზე ალექსეი პუკაჩზე - საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. როგორც უკრაინელი სამართალდამცველები იუწყებიან, დაკავებულებმა აღიარეს დანაშაული და აქტიურად თანამშრომლობენ გამოძიებასთან. თუმცა, ვის ასახელებენ ისინი ღონღაძის გატაცებისა და მკვლელობის ორგანიზატორებად და შემკვეთებად, გამოძიება არ ამხელს, ამბობს მხოლოდ იმას, რომ ორგანიზატორებიც და დამკვეთებიც ცნობილი არიან და უახლოეს მომავალში მათი დაპატიმრების სანქციები გაიცემა. დაპატიმრებულთა შორის ველარ იქნება კრავჩენკო. ბევრი ეჭვობს, რომ ასეთი დასასრული უკრაინის გენერალური პროკურორის სვიატოსლავ პისკუნის ინტერესებში შედიოდა.


იური კრავჩენკო


სვიატოსლავ პისკუნი


გრიგორი ომელჩენკო

რადას არაერთი დეპუტატი მიიჩნევს, რომ პისკუნს არავითარ შემთხვევაში საჯაროდ არ უნდა გამოეცხადებინა კრავჩენკოს დაკითხვის თარიღი. **"ეს მის არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს... გენერალური პროკურორი უნდა გადადგეს,"** - განაცხადა გუშინ რადას ერთ-ერთმა დეპუტატმა სტრეტოვიჩმა.

სხვათა შორის, გენერალურ პროკურორს იმთავითვე უნდობლობას უცხადებდა "ღონღაძის საქმის" გახსნის ერთ-ერთი მთავარი გმირი, კუჩმას დაცვის ყოფილი წევრი ნიკოლაი მალნიჩენკო.

გასაგებია, ოპოზიციის, მაგალითად ვიქტორ იანუკოვიჩის საარჩევნო შტაბის უფროსის ტარას ჩორნოვილის პოზიცია, რომელსაც კრავჩენკოს სიკვდილი აეჭვებს და ამბობს, რომ კრავჩენკო ხელისუფლების იმ უმაღლეს ეშელონებში მყოფი პირი იყო, სადაც შესაძლოა, დაიგეგმა ღონღაძის მკვლელობა და მას შეეძლო, ღონღაძის მკვლელობის ნამდვილი შემკვეთები დაესახელებინა. უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციის მსგავსად, კრავჩენკოს თვითმკვლელობის ვერსიას არც გიორგი ღონღაძის დედის ადვოკატი ანდრეი ფედური იჯერებს: **"ეს მხოლოდ კვალის წაშლის მცდელობაა. მოცემულ სიტუაციაში კრავჩენკოს მთავარ მოქმედ პირად წარმოდგენამ შესაძლოა, თემის დახურულად გამოცხადებამდე მიგვიყვანოს. არადა, მას შეეძლო, პროკურატურაში მისვლიდან 15 წუთში საქმეში სინათლე შეეტანა."**

მიუხედავად გამოთქმული ეჭვებისა, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კრავჩენკოს თვითმკვლელობას ეჭვქვეშ თითქმის არ აყენებენ. მეტიც, თვითმკვლელობის მოტივად, ღონღაძის მკვლელობასთან კავშირის გარდა, ოფიციალურად სხვა ვერსიას არც კი განიხილავენ.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ გუშინ მხოლოდ ვარაუდი გამოთქვა იმის შესახებ, რომ კრავჩენკოს თვითმკვლელობა, შესაძლოა, ღონღაძის საქმესთან იყოს კავშირში და თვითმკვლელობის გარემოებების გამოძიებაზე იმავე გენერალურ პროკურორ პისკუნსა და შინაგან საქმეთა მინისტრს ლუცენკოს დაავალა.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო პრეზიდენტის შეფასებას ეთანხმება, თუმცა, გარკვეულ ეჭვებსაც გამოთქვამს: **"თუ ეს, მართლაც, თვითმკვლელობაა, ეს მოწმობს იმას, რომ კრავჩენკოს ეშინოდა პასუხისმგებლობისა იმ მოვლენებზე, რომლებიც ღონღაძის მკვლელობის ირგვლივ განვითარდა. მაგრამ, თუ ეს მკვლელობაა, მაშინ საქმე გვაქვს ღონღაძის მკვლელობასთან დაკავშირებული ჭეშმარიტი ინფორმაციის დამალვის მცდელობასთან."**

გამართლდება თუ არა იულია ტიმოშენკოს ყველაზე უარესი ვარაუდი, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ პრეზიდენტმა იუშენკომ გამოძიებას მოუწოდა, რომ ღონღაძის საქმის გახსნაზე პროფესიონალურად, ობიექტურად და გამჭვირვალედ იმუშაონ.

თუმცა, გენერალურ პროკურატურაზე გამჭვირვალედ უკრაინის რადას განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიების კომისია მუშაობს. **"ჩვენ უკრაინის უშიშროების სამსახურში ვიპოვეთ მტკიცებულებები იმისა, რომ პრეზიდენტ კუჩმასა და უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის დერკაჩის 2000 წლის 29 ივნისის საუბრის შემდეგ (ეს საუბარი მალნიჩენკოს ჩანაწერებში ფიგურირებს) დასრულდა ოპერატიული საქმე, რომელიც გიორგი ღონღაძის შემოწმებას ისახავდა მიზნად და რომელსაც კოდური სახელწოდება - "პროვოკატორი" ეწოდა. ამას გარდა, არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ ღონღაძეზე თვალთვალის ტექნიკური ღონისძიებების საწარმოებლად საქალაქო სასამართლოს სანქცია იყო გაცემული,"** - ამბობს კომისიის ხელმძღვანელი ომალჩენკო.

ომალჩენკოს თქმით, ამ საქმიანობას დერკაჩის მოადგილეები ედგნენ სათავეში.

შესაბამისად, ახლა გენერალურ პროკურატურაში დერკაჩი, შემდეგ მისი მოადგილეები უნდა გამოიძახონ და ალბათ, მხოლოდ ამის შემდეგ მიდგება ჯერი კუჩმაზე.

თუმცა, როგორც უკრაინის ვიცე-პრემიერი ნიკოლაი ტომენკო ამბობს, **"კუჩმა აშკარად არ ჩქარობს სამშობლოში დაბრუნებას, რადგან იცის, რომ ღონღაძის მკვლელობის კვალმა გამოძიება შესაძლოა, სწორედ მის პიროვნებამდე მიიყვანოს"**.

როგორც ცნობილია, უკრაინის ექს-პრეზიდენტი ცოტა ხნის წინათ კარლოვი-ვარში გაემგზავრა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, იგი იქ ყაზახეთის პრეზიდენტის ნაზარბაევის აგარაკზე ისვენებს.

# საპატრულო პოლიცია ზუგდიდში და ფოთშიც ამოქმედდება

ერთ თვეში ზუგდიდსა და ფოთში საპატრულო პოლიცია ამოქმედდება. გარდა ამისა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიცია აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს გალის აფხაზურ ხელისუფლებასთან, იმ პირთა გამოსავლენად და დასაკავებლად, რომლებიც სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებიან და აფხაზეთის ტერიტორიას აფარებენ თავს.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გიგი უგულავა და სამხარეო პოლიციის უფროსი მერაბ გერგაია აცხადებენ, გალის აფხაზურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესში ჩართული არიან, ასევე, გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის წარმომადგენლები და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

უგულავას განცხადებით, თებერვლის თვეში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მომხდარი ხუთი მკვლელობიდან სამი გახსნილია, დაკავებული არიან კონკრეტული ეჭვმიტანილები, რომლებსაც სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა, ხოლო ორ საქმეზე გამოკვეთილია ეჭვმიტანილები, რომლებსაც უახლოეს პერიოდში დააკავებენ. გარდა ამისა, მისი თქმით, დაკავებულია 30 ძებნილი, რომლებსაც სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მერაბ გერგაიას განცხადებით, სამეგრელოში გამოვლენილია რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფი, რომელიც ავტომანქანებს იტაცებდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაჰყავდა და ჰყიდდა.

გერგაიას თქმითვე, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ანტიკრიმინალური ოპერაციები ჩატარდა მარტვილში, ჩხოროწყუში და წალენჯიხაში, გამოვლინდნენ ჯგუფები, რომლებიც ეწეოდნენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქურდობას.

*ინტერ-პრესი*

# მკვლელობისთვის ძებნილები საქართველოს ფარგლებს გარეთ დააკავეს

ღონისძიება "ხაფანგი 2005"-ის პირველი ეტაპის გატარებისას, ძებნის სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ხაბაროვსკში დააკავეს რვა წლის წინ ძებნილად გამოცხადებული, ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდი კახაბერ ორაგველიძე. ორაგველიძეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა მკვლელობისა და ყაჩაღობისათვისთვის ეძებდა. გამოძიების ინფორმაციით, 1997 წლის 24 აგვისტოს კახაბერ ორაგველიძე თბილისში, რამდენიმეკაციან დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად, თავს დაესხა პუჩკალიდისის ოჯახს. თავდამსხმელებმა მოკლეს ოჯახის დასახმარებლად შემთხვევის ადგილზე მისული უშიშროების სამსახურის თანამშრომელი გიორგი ტალახაძე, რის შემდეგაც გაქცევა და მიმალვა მოახერხეს.

როგორც გაირკვა, ძებნილი კახაბერ ორაგველიძე ყალბი პასპორტით სარგებლობდა და, რუსეთის მოქალაქის სტატუსით, ზაზა რუსეიშვილად ასაღებდა თავს.

ღონისძიება "ხაფანგი 2005"-ის პირველი ეტაპის გატარებისასვე, ძებნის სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მოსკოვში, მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის, კიდევ ერთი ქართველი, ჯონდო ცნობილაზე დააკავეს. გამოძიების მასალებით, 2003 წლის 12 ნოემბერს ცნობილაძემ, რომელიც ორი წლის მანძილზე მოსკოვში კვარაცხელიას გვარით იმალებოდა, ტყიბულში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, შურისძიების მოტივით, მოკლა თამარ არსენიძე და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

*მედიანიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ ვარდნილჰესის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი დააკავა. მას სამართალდამცავები 2 მილიონამდე თანხის მითვისებას ედავებიან. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილის ლევან ხუხუას ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, ამ საქმეში ცნობილი კანონიერი ქურდის შაქრო კალოევის და სხვათა მონაწილეობა. ამოღებულია დოკუმენტაციის ნაწილი. დიმიტრი ყიფიანი გუშინ დილით თბილისიდან ზუგდიდში გადაიყვანეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსურმა პოლიციამ სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედთან საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში პოლიციამ 1000 ლიტრამდე კონტრაბანდული საწვავით დატვირთული მიკროავტობუსი დააკავა. ავზები მიკროავტობუსის სალონში იყო დამონტაჟებული. საწვავი სოფელ ერისიმედის მცხოვრებს მარიამ ნარინდიშვილს ეკუთვნის, რომელსაც კონტრაბანდული ტვირთი დაქირავებული მანქანით შემოჰქონდა. კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსის ზურაბ ბეჟანიშვილის ინფორმაციით, არ არის გამორიცხული კონტრაბანდისტებსა და მესაზღვრეებს შორის ალიანსი არსებობდეს. რადგან მათ საზღვარზე ტვირთი შეუფერხებლად გამოატარეს. ტვირთის მეპატრონის მარიამ ნარინდიშვილის განცხადებით კი, მას საწვავი საკუთარი მიწის ნაკვეთისთვის უნდოდა, თუმცა არ უარყოფს, რომ მისი ნაწილი გასაყიდად იყო განკუთვნილი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს მცხეთის რაიონის დაბა ქსანში მცხოვრები, 21 იმედა ბუთხუზი, რომელმაც 1 მარტს ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 9 აპრილის სახელობის ბაღში ჯუნა გაბრიჩიძეს დანის მუქარით გასტაცა ხელჩანთა 400 აშშ დოლარით, 160 ლარით და მობილური ტელეფონით. დადგინდა, რომ იმავე დღეს, იმავე ადგილზე ბუთხუზმა სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში მცხოვრებ მაია ფილაშვილს დანის მუქარით გასტაცა ხელჩანთა, 150 ლარი და ოქროს საყურეები. **მედიანიუსი**

# "სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაზე" მუშაობა დაწყებულია

საქართველოს ხელისუფლება, პრეზიდენტ სააკაშვილის მითითებით, "სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაზე" მუშაობას იწყებს. როგორც იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია აცხადებს, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და თავად იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია.

სამუშაო ჯგუფმა პროგრამა, სავარაუდოდ, გაზაფხულის ბოლოს უნდა დადოს. მასში სისხლის სამართლის სისტემის ძირეული რეფორმა იქნება წარმოდგენილი. კერძოდ, 9-დან 4 თვემდე შემცირდება წინასწარი პატიმრობის ვადა, მოქალაქეთათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება გახდება უკიდურესი ზომა, სახაზინო ადვოკატის სისტემის ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზრდება, მოხდება ჯერ კონკრეტული დანაშაულის გამოძიება და მერე ამ დანაშაულისთვის პირის დაკავება.

გარდა ამისა, როგორც იუსტიციის ახალი მინისტრი ამბობს, გათვალისწინებულია კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელთა შესახებ გაზაფხულის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

*ინტერ-პრესი*

# საზღვარზე კონტრაბანდული ტვირთი მოძრაობს

აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, მხოლოდ თებერვალში საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე კონტრაბანდული ტვირთის გადატანის მცდელობის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. კერძოდ, აზერბაიჯანიდან საქართველოში ცხრა ტონა დიზელის საწვავის, 100 კილოგრამი ფერადი ლითონის, 46 კილოგრამი ზუთხის გადატანის ფაქტი აღიკვეთა. საქართველოდან აზერბაიჯანში კი კონტრაბანდისტები 6 ტონა სპირტის, ორი ტონა ვაშლის, 20 ელექტროგენერატორის, 19 დასახელების თანამგზავრული ტელემიმღების ნაწილების და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების გადატანას ცდილობდნენ. ამოღებულია, აგრეთვე, 900 ლიტრამდე დიზელის საწვავი და 46 კილოგრამი ფერადი ლითონი. ცნობისთვის: 1 მარტიდან აზერბაიჯანმა საქართველოსთვის საზღვარზე გადასვლის წესები გაამკაცრა. საქართველოს მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ საზღვარგარეთის პასპორტით შეუძლიათ და არა ქართული პირადობის დამადასტურებელი მოწმობით, როგორც ეს 1 მარტამდე იყო.

*მედიანიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

ანკეტა

სახელი, გვარი.......................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი .......................................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# მივედი, ვნახე, დავიჯერე

პირველი გვერდიდან

### ოფიციალური ვერსია

როგორც ყველა ინფექციური დაავადების შემთხვევაში, ტუბერკულოზთან ბრძოლა სოციალური ფონის გაუმჯობესებით იწყება. მარტივად რომ ვთქვათ, ფულია საჭირო, თანაც ბევრი. ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედებს ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ ის თანხები, რაც ამ პროგრამისთვისაა გამოყოფილი, სამწუხაროდ, პრობლემის გადაჭრას ვერ უზრუნველყოფს და ჩვენც სავალალო რეალობის წინაშე დავდექით: ბოლო წლების განმავლობაში იმატა არა მხოლოდ ამ დაავადების შემთხვევებმა, არამედ ტუბერკულოზით დაავადებულთა სიკვდილიანობამაც. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების ჩამონათვალში სოლიდური თანხებია მითითებული (ამ თანხების ადრესატი, ეროვნულ ცენტრთან ერთად, სხვებიც არიან): Global Fund-ის ხუთწლიანი პროგრამით (2005-2010წ.წ.) 5 მილიონი დოლარი გვერგება; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (2002-2007წ.წ.) 2 045 000 ევროს გვპირდება; ამავე სტრუქტურამ ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამით 1 673 076 ლარით უკვე დაგვაფინანსა; "კავკასიური ინიციატივის პროგრამა" 1 მილიონი ევროთი გვეხმარება; GTZ - პროექტის ფარგლებში (1999-2001 წ.წ.) 350 852 ევრო მივიღეთ; WHO - 10 000 ევროთი გვაფინანსებს; USAID (2003-2006 წ.წ.) 2 500 000 აშშ. დოლარს გამოგვიყოფს. ამას ემატება ბიუჯეტით გათვალისწინებული 106 000 ლარი თვეში. ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია. ამ ციფრების შემყურეს, ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა: სად მიდის ეს დაფინანსება და რატომ გახდა ტუბერკულოზის მკურნალობა პრობლემატური?

დრო, როცა ტუბერკულოზს რომანტიკული ელფერი დაჰკრავდა და მერხსიერებაში მომაკვდავი შოპენი წამოგვიტივდებოდა, კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას ავად გახდომის უფლება არ ჰქონდათ და რეალური ციფრები საგულდაგულოდ იმალებოდა, გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელ მსოფლიოში, მათ შორის საბჭოთა საქართველოშიც, ამ დაავადებით დასნეულებულთა მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო. დღეს მსოფლიო ტუბერკულოზის გლობალურ ეპიდემიაზე ალაპარადა, რაც, უპირველესად, შიდსის პრობლემას უკავშირდება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დედამიწის ერთი მეექვსედიდან დიდი ნაწილი ევროპა-ამერიკისკენ დაიძრა და პოსტსაბჭოთა მიგრანტებმა დასავლეთს ამ მხრივაც გაუჩინეს საფიქრალი. თუ ამ კუთხით შევხედავთ პრობლემას, ბოლო თხუთმეტი წელი მხოლოდ დაკარგულ ტერიტორიებზე არ ჩაგვაფიქრებს.

ტუბერკულოზი იკურნება, ოღონდ დროული, სწორი და უწყვეტი მკურნალობის შემთხვევაში. მაგრამ იმ ქვეყანას, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას უკიდურესად უჭირს (რბილი ნათქვამია), საერთაშორისო სტანდარტებით ვერ მიუდგები. ექიმებმა მირჩიეს, ამ დაავადებაზე საუბრისას შემდეგი განმარტებით ვიხელმძღვანელო: ტუბერკულოზი, რომელიც იკურნება და ტუბერკულოზი, რომლის განკურნება შეუძლებელია. მაგრამ სხვაა განუკურნებელი ტუბერკულოზი ჩვენთან და სხვა - რომელიმე გავნითარებულ ქვეყანაში.

მაინც, რატომ არ იკურნება ეს დაავადება? არც მე ვარ ფთიზიატრი და არც "24 საათია" სამედიცინო გამოცემა, ამ პრობლემაზე ამომწურავი პასუხი რომ გავცეთ. საკითხავი უფრო ისაა, რამდენად დიდია ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებიდან ინფექციის გავრცელების ალბათობა. ფოლკლორის დონეზე ვიცით, რომ ამ ავადმყოფობამ სახე იცვალა და წლობით აპრობირებული მედიკემანტები აღარ ჭრის. სახე აშკარად იცვალა, ოღონ, როგორც ექიმები განმარტავენ, ეს პრობლემა თავად ავადმყოფებმა შექმნეს. რატომ გახდა დღევანდელი პაციენტი ასე დაუდევარი, ამაზე ქვემოთ. ერთი სიტყვით, უკიდურესად დამძიმებულმა სოციალურმა ფონმა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა: ადამიანი დაავადდა, ვერ იმკურნალა ან არასწორად იმკურნალა და ტუბერკულოზის ის ფორმა ჩამოუყალიბდა, რომელსაც I რიგის მედიკამენტები ვეღარ შველის. ამ ფორმას პირველი რიგის მედიკამენტების მიმართ რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზი ჰქვია; ის წამლები კი, რომლებიც ამ შემთხვევაში პაციენტს ენიშნება, II რიგის მედიკამენტებად მოიხსენიება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პირველი რიგის მედიკამენტები უფასოა, რაც შეეხება მეორე რიგის წამლებს, მათი შეძენის სახსრები ჩვენს ქვეყანას არა აქვს, ამდენად, რეზისტენტული ფორმით ინფიცირებული ავადმყოფების განკურნება საქართველოში, ჯერჯერობით, შეუძლებელია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ავადმყოფების მკურნალობა მხოლოდ საჭირო პრეპარატების ქონა-არქონით არ შემოიფარგლება. ასევე მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია კვალიფიციური პერსონალის მომზადება, ლაბორატორიაში II რიგის წამლებზე გამძლეობის განსაზღვრა, მედიკამენტების ფასებისა და ხარისხის კონტროლი. ჩვენთვის ამის თქმა იოლია. იმისთვის, ვინც თვეობით წევს გაუსაძლის პირობებში და წამლებს ელის, ამგვარი ინფორმაცია ვერეფერი შეღავათია და ავადმყოფებიც ჯავრს ექიმებზე იყრიან. სტატისტიკური მონაცემებით, 1997 წლიდან დღემდე ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებულთა რაოდენობა 6-8 ათასის ფარგლებში მერყეობს. ეს მაჩვენებელი, შეიძლება, არც ისე შემაშფოთებელია, ყოველი ინფიცირებული სათანადოდ რომ იყოს დაცული და ავადმყოფობის გავრცელების საშიშროებას არ ქმნიდეს.

### მიწისძვრამდე და მიწისძვრის შემდეგ

პრობლემები გზიდანვე იწყება. სამარშრუტო ტაქსი გაპარტახებული ქუჩებით აღმართს მიუყვება და მძღოლს მგზავრები სადგურიდან ხუდადოვზე ქირონივით 40 თეთრად აჰყავს. 1990 წლიდან სტაციონარი რვასართულიან შენობაში იყო განთავსებული. ჰიგიენური თვალსაზრისით, ეს ნაგებობაც დასავლურ სტანდარტებს საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა, მაგარამ საბჭოთა საავადმყოფოს მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა და ავადმყოფებსაც ხანგრძლივი მკურნალობა ნაკლებად უძნელდებოდათ. მიწისძვრის შემდეგ შენობა ამორტიზირებულად ჩაითვალა. ზურგზე პაციენტებმოკიდებული ექიმები (ხატოვანი ფრაზა არ გეგონოთ) იძულებული გახდნენ, 12 საათში ძველ სტაციონარში გადაბარგებულიყვნენ, სადაც 60-იანი წლების შემდეგ არც სარემონტო სამუშაოები ჩატარებულა და დეზინფექციაც არ გაკეთებულა. ნაპრალებიან კედლებში ყოფნა მართლა დაუშვებელია, მაგრამ ის შენობა, სადაც ამჟამად სტაციონარია განთავსებული, იმდენადაა გაპარტახებული, რომ ძნელი დასაჯერებელია, აქ პერსონალისთვისაც და პაციანტებისათვისაც უკეთესი პირობებია შექმნილი. ალბათ ამასვე გულისხმობს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი არჩილ სალაყაია, როცა ამბობს: **"ჩვენ, ფაქტობრივად, ქუჩაში ვცხოვრობთ."** ჭეშმარიტად! სწორედ ამიტომ საავადმყოფოს ხელმძღვანელობა იძულებულია, სოლიდურ დახმარებაზე, რომელიც სტაციონარში საჭირო აპარატურის დამონტაჟებას ითვალისწინს, უარი თქვას, რადგან ქუჩაში ლაბორატორიების გამართვას აზრი არა აქვს.

ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ფთიზიატრიის კოორდინატორი გია ხეჩინაშვილი ამ პროფილის სტაციონარისთვის შესაფერისი შენობის გამოყოფას, როგორც ჩანს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემად არ აღიქვამდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ მწირი დაფინანსების ფარგლებშიც კი, რასაც ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო სამედიცინო სფეროსთვის იმეტებდა, ერთი განყოფილების მოწესრიგებას, თუნდაც საჩვენებლად, მოახერხებდა. საჩვენებელი კი ეროვნულ ცენტრში მხოლოდ ბავშვთა განყოფილებაა, დამთბარი და სუფთა, ისიც იმიტომ, რომ აქაურობას საფრანგეთის საელჩო დაეხმარა. მაშინაც და დღესაც საერთაშორისო ორგანიზაციები იმ მარტივი მიზეზით გვიმართავენ ხელს, რომ ჩვენი დაუდევრობის გამო ეს საშიში დაავადება სხვაგანაც არ გავრცელდეს. იყო გაუთავებელი მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკსა და ცენტრს შორის, მაგრამ მხარეები ვერა და ვერ შეთანხმდნენ. შესათანხმებელი კი ის იყო, ქართველების დაჟინებით, სტაციონარისთვის ახალ შენობას ააგებდნენ თუ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს გაითვალისწინებდნენ და უკვე არსებულის შეკეთებას დასჯერდებოდნენ. ამასობაში თბილისში მიწა იძრა და პრობლემა თავისთავად "მოგვარდა": სტაციონარი ძველ შენობაში გადავიდა, რვასართულიან კორპუსში კი ლტოლვილებად შერაცხული ხალხი ჩასახლდა. დარწმუნებული ვარ, შესაბამის ინსტანციებში აუცილებლად იქნება ამ შენობის უვარგისობის დამადასტურებელი სათანადო დასკვნა. ამასობაში დეზერტირების ბაზრის კონტინგენტმა სტაციონარის პალატები იზოლირებულ ბინებად აქცია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რვასართულიანი კორპუსი საავადმყოფოს ბალანსზე აღარ ირიცხება. ასევე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, აქ ბინა, ანუ ყოფილი პალატები სველი წერტილებით, ათასიდან ორი ათას დოლარამდე ღირს (ბევრი ვივაჭრეთ). ფასის მერყეობა ოთახების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ვინც ამ "აპარტამენტებს" ვერ გასწვდება, შეუძლია 100 ლარად ერთოთახიანი "იზოლირებული" ბინა იქირაოს. რამდენად მიზანშეწონილია ყოფილ საავადმყოფოში ცხოვრება, ამაზე ხმამაღლა აღარ ლაპარაკობენ.


სტაციონარის ყოფილი შენობა. სადაც დღეს პალატები 1000-დან 2000 დოლარამდე ღირს.


ასეთ "ბინებში" ცხოვრობენ ლტოლვილები.


ვახტანგ ჯალაღანიას ფოტოები

დღევანდელი სტაციონარის პალატა.

### მძიმე მემკვიდრეობა

რაც შეეხება ყოფილ ხელმძღვანელს, აქაურ მედპერსონალს საყვედურო სხვაც ბევრი აქვს. მაშინ ხეჩინაშვილის გადაწყვეტილებებს ზურგს სამედიცინო სფეროში მიმდინარე პერმანენტული რეფორმა უმაგრებდა და... მანაც უკლებლივ ყველა გაათავისუფლა, ვინც 60 წელს იყო გადაცილებული - ექიმები, ექთნები, სანიტრები, ტექნიკური პერსონალი. როგორც ჩანს, 61 წლის გამოცდილ ფთიზიატრს ჭკუა აღარ მოეკითხება და ამავე ასაკის სანიტრებიც ვეღარ ასუფთავებენ ჩაბინძურებულ ტუალეტებს. მოგვიანებით ჯერი ახალგაზრდებზე მიდგა. საავადმყოფოში ვერ ნახავთ ვერც ერთ ექიმს, ექთანს თუ სანიტარს, ხეჩინაშვილს რომ მისტიროდეს. ყველა ერთ მეტად დამაფიქრებელ განცხადებას აკეთებს: არასწორი საკადრო პოლიტიკისა თუ მენეჯმენტის გამო, ფთიზიატრია, როგორც დარგი, საგრძნობლად დაზარალდა. იმასაც ამბობენ, რომ ფთიზიატრიის ალერგოლოგ კურატორს ტუბერკულოზის იმდენად ეშინოდა, სტაციონარს სათოფეზე არ ეკარებოდა. სამაგიეროდ, შენობაში, სადაც "წითელი ჯვრის" დახმარებით ბიოქიმიური ლაბორატორია დაბინავდა, საკუთარი ოფისი მოიწყო და ასე, შორიდან მართავდა ამ უმძიმეს დაავადებას. მოკლე დროში მდგომარეობის გაუმჯობესება არც ისე იოლია. სამაგიეროდ ადვილია უკვე არსებულის განადგურება.

სამედიცინო პერსონალს რომ საშიშ და მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, ეს არავის აინტერესებს. მათი ხელფასები 170-დან 200 ლარამდე მერყეობს (ექთნები 110 ლარს იღებენ), ისიც ხუთი დაწესებულების დიდი გაერთიანებისა და შტატების დიდი შემცირების ხარჯზე. ადვილი მისხვედრია, რატომაც აიცრუეს გული სტუდენტებმა ფთიზიატრიაზე. ამას დაუმატეთ პაციენტების სოციალური მდგომარეობა - ეს ის შემთხვევაა, როცა პატივისცემის ნიშნად ერთ ფილა შოკოლადსაც აღარავინ მოგართმევს.

### ქართული ჰოსპისი

ტუბერკულოზის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია და 6-8 თვე მაინც სჭირდება. მძიმე ფორმის შემთხვევაში, როცა საქმე გართულებებთან გვაქვს, ავადმყოფს ზოგჯერ მთელი ცხოვრება უხდება სტაციონარში ყოფნა. ვიღაცას ეს ესმის, ვიღაცას - არა, რაც, სამწუხაროდ, სავალალო შედეგით მთავრდება. ჩვენი კანონმდებლობა იძულებით მკურნალობას არ ითვალისწინებს, მაგრამ რომც ითვალისწინებდეს, რა სინდიდისთ უნდა მოსთხოვო ავადმყოფს ამ პირობებში გაჩერება? ამიტომ, ვინც შედარებით წელგამართულია, მაშინაც კი, როცა ამბულატორული მკურნალობა დაუშვებელია, სხვა პროფილის საავადმყოფოში წვება (რაც ასევე დაუშვებელია) ან სახლში მკურნალობს და ახლობლების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ვინც გაჭირვებულია, ის ხუდადოვზე ხვდება. მეტიც, ხშირად იმაზე მეტ ხანს რჩება საავადმყოფოში, ვიდრე საჭიროა. ისინი სახლებში სამჯერად კვებასაც (თუნდაც ცუდად კვებას) ვერ ახერხებენ. შედეგი მძიმეა: 110 კაცზე გათვლილ საავადმყოფოში 160-180 პაციენტი წევს, ისიც აივნების ხარჯზე. კიდევ ბევრი გამოთავისუფლებულ საწოლებს გარეთ ელოდება. არადა, ადრე სტაციონარული სიმძლავრე 500 საწოლზე იყო გათვლილი.

ისინი კი არ მიდიან - ან წასასვლელი არა აქვთ, ან ახლობლებს უფრთხილებიან და მძიმე პირობებით გაბოროტებულები საავადმყოფოს შინაგანაწესს უხეშად არღვევენ. ამ პირობებში შინაგანაწესზე ლაპარაკი იქნებ უხერხულიც კია, მაგრამ პაციენტმა რომ არ უნდა დალიოს, მოწიოს და დებოში არ ატეხოს, ეს ანბანაური ჭეშმარიტება აქაური ავდმყოფების დიდ ნაწილს არ ესმის. ექიმები ორმაგად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. ერთი მხრივ, ავადმყოფებისაგან ითმენენ სრულიად დაუმსახურებელ შეურაცხყოფას, მათ შორის - ფიზიკურსაც, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოსგან ელიან სათანადო ზომების გატარებას. სხვათა შორის, აქაური ექიმები გაიფიცნენ კიდეც, თუმცა მედიკოსების პროტესტს თვალშისაცემი შედეგი არ მოჰყოლია.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან. მათ მკურნალობას 18-24 თვე სჭირდება, აქედან დიდი ნაწილი სტაციონარში უნდა გაატარონ. საავადმყოფოში ვერ ხერხდება ავადმყოფების იზოლირება. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ვინც ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმით არის დაავადებული, სხვასაც ასევე რეზისტენტულ ტუბერკულოზს გადასდებს. ჰოსპისის ტიპის სამედიცინო დაწესებულება, სადაც ავადმყოფი ხანგრძლივად ან სამუდამოდ დარჩება, ოფიციალურად საქართველოში არ არსებობს, არაოფიცლალურად კი სწორედ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი ითავსებს ამ ფუნქციას, ოღონდ საქმე არა კეთილმოწყობილ, არამედ გაპარტახებულ ჰოსპისთან გვაქვს. საავადმყოფოში ისე შეხვალ, კაცი არ გაგაჩერებს და, შესაძლოა, მომაკვდავი პაციენტის პალატაშიც ამოყო თავი. რა პრობლემებს უქმნის დენის ხშირი გათიშვა და მუდმივი უწყლობა საავადმყოფოს, ადვილი მისახვედრია. აქა-იქ ტუალეტების შეკეთება ახლაღა მოხერხდა. პაციენტები იმედოვნებენ, კარგად თუ მოიქცევიან, საშხაპეში წყლის გამაცხელებელსაც ჩაურთავენ. შემოუღობავ ტერიტორიაზე თავისუფლად შედიან ბავშვები. აქაურობა კარგად რომ აღწერო, ეგნატე ნინოშვილის ნიჭით უნდა იყო დაჯილდოვებული.

სტატისტიკური მონაცემებით, ტუბერკულოზით დაავადებულთა ოჯახის წევრების დაახლოებით 30 პროცენტი აავადდება. რადგან ამათი ოჯახი აქ არის და დროის დიდ მონაკვეთს სამედიცინო პერსონალთან ატარებენ, ექიმების ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ექმნება. მარტო 2002 წელს მედპერსონალის ინფიცირების 10 შემთხვევა აღინიშნა. ჩემი მეგზურიც, ახალგაზრდა ექთანი, მშვიდად მიყვება, რომ ცოტა ხნის წინ მასაც აღმოაჩნდა ტუბერკულოზის ნიშნები. ამიტომ ვურჩევდი ჩემს კოლეგებს, სანამ ყველაფერს ექიმებს გადააბრალებენ, იქნებ ერთი-ორი სიტყვა აქ მომუშავე პერსონალის დასაცავადაც დასცდეთ და პასუხიც სამედიცინო სფეროში დასაქმებულ ყოფილ თუ დღევანდელ ჩინოვნიკებს მოსთხოვონ.

### ჯადოსნური მთა

ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კასტორფი ნათესავის მოსანახულებლად მთაში, ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმში მიდის. იქაურობა ისე მოეწონება, დარჩენას გადაწყვეტს და საბოლოოდ მასაც ჭლექი ემართება. ეს თომას მანის "ჯადოსნური მთის" სიუჟეტია. ხუდადოვიც ერთგვარი მოჯადოებული მთაა, ოღონდ აქ სიკვდილ-სიცოცხლეზე ფილოსოფიურად არ მსჯელობენ. იქ, ზემოთ, ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი სიდუხჭირით იწყება და სიდუხჭირითვე მთავრდება.

31 წლის დათო ჭიღლაძე ერთი მათგანია, ვინც ჟურნალისტებთან ურთიერთობას არ გაურბის. ის დღეს შიმშილობს და ექიმებს უყურადღებობაში ადანაშაულებს. მას არ აინტერესებს, რატომ არ მკურნალობენ საჭირო მედიკამენტებით, არც საავადმყოფოს შინაგანაწესს დაგიდევთ. მისი ახლობელი - და არა მომვლელი, საავადმყოფოში ღამითაც რჩებოდა. ისიც ინფიცირებული აღმოჩნდა და ახლა უკვე პაციენტის სტატუსით იმყოფება შეჩვეულ გარემოში. მშობლები არ აკითხვენ, როგორც თავად ამბობს - მისი დაჟინებული თხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის გაწერილია, დათო აქედან წასვლას არ აპირებს.

ახლობლები სხვებსაც იშვიათად აკითხავენ. აქვე წევს მამა-შვილი. მამა 80 წელს მიტანებული მოხუცია. როგორც ექიმები ირწმუნებიან, იგი უკვე განიკურნა, მაგრამ სახლში ვერც ის მიდის. შვილი რეზისტენტული ფორმითაა დაავადებული და სახლში წასვლის სურვილი საერთოდ დაეკარგა. სხვებისაგან განსხვავებით, ამ პატარა ოჯახს კარგად აქვს გაცნობიერებული, რა საშიშროების წინაშე დგას და გამოსავალს არა ექიმების შეურაცხყოფაში, არამედ პირობების გაუმჯობესებაში ხედავს. შინ არც მამა-შვილს მიეჩქარება.

ახალგაზრდა მამაკაცს ერთი წლის შვილი დაუავადდა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ავადმყოფობა მამამ გადასდო. შვილი გაწერეს, მამა მკურნალობას აგრძელებს. დროდადრო აკითხავს მოხუცი დედა, ისიც იმ შემთხვევაში, როცა გზის ფულს იშოვნის. სახლში წასვლაზე, ჯერჯერობით, ისიც არ ფიქრობს.

პაციენტების დიდმა ნაწილმა მხოლოდ ის იცის, რომ ჭლექი გადამდებია და ოჯახის წევრებს უნდა მოერიდონ. მკურნალობა რეჟიმის დაცვასაც რომ გულისხმობს, ამის გაგება არ სურთ. ამ მხრივ ქართველ პაციენტებთან გაცილებით რთულადაა საქმე. ტუბერკულოზთან გასამკლავებლად მრავალ ქვეყანაში აპრობირებული სტრატეგია (DOTS), რომელიც ერთდროულად რამდენიმე ეტაპს მოიცავს, ჩვენთან ძნელი განსახორციელებელია.

რეგიონებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა. სიმპტომატურია, რომ ციხეებში, სადაც იძულების მექნიზმი უკეთ მოქმედებს, ტუბერკულოზს გაცილებით ეფექტურად ებრძვიან, ვიდრე გარეთ. არადა, ამ პროგრამის ამოქმედება იმადაცაა აუცილებელი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უპირველესად კი "მწვანე შუქის კომიტეტმა", მწვანე შუქი აგვინთოს და რეზისტენტული ტუბერკუკლოზის მკურნალობა საქართველოშიც დანერგოს. მანამდე კი II რიგის წამლები ოფიციალურად გაყიდვითაც არ გაიყიდება, "შავ ბაზარზე" კი, საკმაოდ მაღალი ფასების მიუხედავად (სრული კურსი საშუალოდ 15 000 დოლარი ჯდება), ხშირად ფალსიფიცირებული წამალი ხვდება. გლობალური ფონდის პროგრამაში 2007 წლიდან II რიგის ძვირადღირებული მედიკამენტების შემოტანაა გათვალისწინებული. ასევე ნავარაუდევია მაისიდან ახალი სტაციონარის აშენება და ამჟამად არსებულის კეთილმოწყობილ ჰოსპისად გადაკეთება. მანამდე კი გაუმართავი სლოგანი - "ტუბერკულოზი განკურნებადია" - ცოტა არ იყოს, ცინიკურად ჟღერს. ექიმების ძალისხმევას მთლიანად ფარავს ის მძიმე პირობები, რომელიც დღეს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრშია შექმნილი.

■ ■ ■

უკვე კარგად ნაცნობ ქირონს 40 თეთრად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პაციენტები ხუდადოვზე აჰყავს. სტიქსის წყლებს ვიწრო ქუჩები ცვლის, ჰადესის უკუნეთს საავადმყოფოს პალატები აფერმკრთალებს.... ნუ შეშინდებით - ტუბერკულოზი განკურნებადია, ოღონდ დროზე იმკურნალეთ!

გუახიროები წვიმაში



B3

ჰკა მაგას!



B4

რა სასიამოვნო მოსასმენი, საყურებელია!



B6

წერილები ამერიკიდან

# ვისოცკი

ესკიზი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ჩემი დამოკიდებულება ვოლოდია ვისოცკისთან საკმაოდ უცნაურ ხასიათს ატარებდა. როდესაც ის ფხიზელი იყო, ჩვენ პოეზიაზე ვსაუბრობდით, როდესაც მთვრალი - მუშტებით მიმასპინძლდებოდა. საქმე ის იყო, რომ მის ალკოჰოლით დაბინდულ გონებაში მე, რალაც ფანტასტიკური სახით გარდავიქმნებოდი ანატოლი კურაგინად ტოლსტოის "ომი და მშვიდობიდან", რომელიც ცდილობდა ნატაშა როსტოვა მოეხიბლა და მოეტაცა თავადი ანდრეისთვის. ვოლოდიას თავად ანდრეის როლში მისი მეგობრები ელანდებოდა, რომელთა ცოლებსა და მეგობარ ქალებს მე თითქოსდა ვეარშიყებოდი. ასეთი იყო მისი წარმოსახვა და ის, როგორც პიერ ბეზუხოვი იცავდა მათ ღირსებას.

სპორტული ფორმისა და მუდმივი ტონუსის მიუხედავად, - ის ყოველთვის თავისი გიტარის სიმივით დაჭიმული იყო - ვოლოდია აშკარად ჩემ წონით კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. ამიტომ, მე მხოლოდ ვიგერიებდი ჩემზე მამალივით ჩაფრენილ უდიდეს ბარდს, სანამ მისი მეგობრები, ან თანამოსუფრეები არ დაგვაშორებდნენ. ბოლო ასეთი შეჯახება მოხდა მოსკოვში, კინოს სახლის რესტორანში. მე მივედი ვისოცკის მაგიდასთან, მივესალმე მამაკაცებს, ქალები კი გადავკოცნე. როდესაც ვბრუნდებოდი ჩემი მაგიდისკენ, ვიღაცა პირდაპირ მხრებზე შემომახტა. მოვტრიალდი - ვოლოდია. ეს სცენა ჩვენ მაგიდებს შორის მოხდა და ამიტომ ვერც მისმა და ვერც ჩემმა მეგობრებმა ვერ მოასწრეს ჩარევა. მე მომიწია ვისოცკის მაგრად ჩავბღაუჭებოდი მკლავებში და მისი ბეზუხოვისეული ალტკინება ჩამექრო. ჩვენ პირისპირ მძიმედ ვსუნთქავდით.

- ვოლოდია, - ვუთხარი მე, - რომ არ მეშინოდეს, რომ პუშკინის მკვლელად, დანტესად შემრაცხავენ, გაგლახავდი, რასაც იმსახურებ.

ვოლოდიას სახე რაღაცნაირად შეეცვალა ("ძვირფასი სახის ჯადოსნური ცვლილებების რიგი", - როგორც იტყოდა პოეტი). სახეზე სიბოროტე უცბად კეთილმა ღიმილმა შეცვალა. ჩემი მარყუჟებიდან გათავისუფლებულმა ვოლოდიამ ისევ ჩემსკენ წამოიწია, მაგრამ უკვე გადასახვევად.

- დანტეს, არ მოკლა პუშკინი1 - ყვიროდა ვისოცკი...

ამის შემდეგ ვისოცკის ეს პავლოვ-ბეზუხოვის რეფლექსი ჩემ მიმართ გაუქრა. ის აღარ მახტებოდა, მაშინაც კი, როდესაც რომელიმე ნატაშა როსტოვას მოტაცება ემუქრებოდა.

ვისოცკის ხიბლავდა, რომ მე მასში უპირველეს ყოვლისა ვხედავდი პოეტს კალმით და ფურცლით და მერე ბარდს გიტარით. მე სულაც არ ვპირფერობდი. ვისოცკი დიდი პოეტია, შეიძლება ბორის პასტერნაკის მერე ყველაზე დიდი რუსი პოეტი, ყოველ შემთხვევაში, სამოციანელების ტრიუმვირატზე - ევტუშენკოზე, ვოზნესენსკიზე და როჟდენსტვენსკიზე და უზომოდ განდიდებულ იოსიფ ბროდსკიზე უფრო დიდი.

როდესაც ვისოცკის ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა, სადაც მისი სიმღერები დუმდნენ შავით თეთრზე სტრიქონებით, ლექსებმა არათუ წააგეს მუსიკალური და ვიზუალური ფონის არარსებობით, პირიქით, ახალი პოეტური და ფილოსოფიური წონა შეიძინეს. დიახ, ასეთი, ბეჭდვითი სახით ისინი მიუწვდომელი გახდა ქუჩისა და ესტრადისთვის, გაუგებარი ქურდებისა და მეშჩანებისთვის, მაგრამ სამაგიეროდ მათ პუშკინის და ესენინისეული რუსული პოეზიის სუფთა ოქროთი დაიწყეს ბრჭყვიალი.



ვლადიმირ ვისოცკი



იური ნიკულინი

ვისოცკის აქვს ლექსები, სადაც პოეტური და სულიერი ენერგეტიკა უფრო მეტია, ვიდრე ბროდსკის ათასობით ანგლოფილურ სტროფებში, ან გადაპრანჭულ ვოზნესენსკის ლექსებში. ვისოცკის ლექსების პირველი წიგნის გამოსვლისას, ჟენია ევტუშენკო მას გულუხვად აქებდა, მაგარმ ავტორს მაინც აგრძნობინებდა, რომ ის მაინც ბარდია და არა პოეტი. არ მგონია, რომ ჟენიამ ვერ გაიგო ვისოცკის პოეზია, უბრალოდ, მას შეეშინდა. ვისოცკი არ იყო გამრითმავი. ის რუსული ლექსის შეუდარებელი ოსტატი იყო. არავის ისე არ გაუმდიდრებია მაიაკოვსკის და პასტერნაკის შემდეგ ლექსის რითმული შესაძლებლობები, როგორც მას. და მიუხედავად მრავალი ნოვაციისა, მისი პოეტური "მსხალი" პუშკინისეულად ხორციანი და საგრძნობი იყო, და არა სამკუთხა, როგორც ვოზნესენსკის.

და კიდევ ერთი ესკიზი.

ერთხელ კინორეჟისორმა მიტამ ცოლთან ერთად დამპატიჟა სტუმრად. ჩვენს გარდა იყვნენ მისი ცნობილი და პოპულარული ფილმების მთავარი როლების შემსრულებლები, ნიკულინი და ვისოცკი. ვისოცკი, მერამდენედ წაჩხუბებული მარინა ვლადისთან, უგუნებოდ იყო. ის გიტარასაც არ მიეკარა, და ჩვენც ტაქტიანად არ გვითხოვია. სამაგიეროდ ნიკულინი იყო კარგ ფორმაში, გვაყრიდა ანეკდოტებს, ექსპრომტი სკეტჩებით გვაცინებდა. ვოლოდია რომ გამემხიარულებინა და გამომეყვანა მდგომარეობიდან, პროვოკაციული შეკითხვა დავუსვი:

- ვინაა თქვენს შორის უფრო პოპულარული, შენ თუ ნიკულინი?

შეკითხვა ვისოცკის გულზე მოხვდა. ის უკვე კარგა შემთვრალი იყო. ნიკულინმაც აიტაცა ჩემი თამაში და დაიწყო წაქეზება.

დავიშალეთ დილისკენ. სახლში, თავის "ვოლგით", გვარიგებდა ნიკულინი, თუმც ის ჩვენზე ფხიზელი არ ყოფილა. რალაცნაირად ისევ ჩამოვარდა კამათი პოპულარობაზე.

- აი, შენ შეძლებ ამის გაკეთებას? - ჰკითხა ვისოცკის საჭესთან მჯდომმა ნიკულინმა. და ამ სიტყვებით დიდი რუსი ჯამბაზი თავისი "ვოლგით" დაეწია ავტოინსპექციის მანქანას და დაიწყო ბამპერით დაჯახება. ასეთი თავხედობისგან გამოვფხიზლდით.

- შენ რა, გაგიჟდი, - დავიყვირე მე.

ავტოინსპექციის ოფიცერი, მე მგონი, კაპიტანი, გადმოვიდა მანქანიდან და ჩვენთან მოვიდა. ნიკულინმა ფანჯარა ჩამოწია და კაპიტანს არაყი შეასუნთქა. ჩვენ გავისუსეთ. კაპიტანი, როგორც წესია, მოგვესალმა და ის-ის იყო დაიწყო სტანდარტული ფრაზის - "მოქალაქე, თქვენ..." - წარმოთქმა, რომ გაშეშდა. მან იცნო ნიკულინი, და მისი მრისხანე სახე ბავშვივით ბედნიერი გახდა.

- ამხანაგო ნიკულინ, ამხანაგო ნიკულინ! - აკაკანდა ის; მაგრამ აღფრთოვანებისგან იხრჩობოდა და უფრო აზრიანი ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა (ფილმის "მუხტარ, ჩემთან" გამოსვლის შემდეგ ნიკულინი საბჭოთა კავშირის ყველა მილიციონერის ღმერთი გახდა).

საბოლოოდ, კაპიტანმა საჯარიმო კვიტანციების წიგნაკი ამოიღო და ნიკულინს სთხოვა დაემშვენებინა იგი თავისი ავტოგრაფით. ნიკულინი დიდსულოვნად დათანხმდა.

- აი, მთვრალი ვისოცკი მიმყავს სახლში, - სხვათა შორის, თქვა მან და გააგრძელა კაპიტნის წიგნაკში წერა.

საცოდავმა კაპიტანმა თვალები გადმოკარკლა. ცხოვრებაში არასოდეს ენახა თავისი ორი კერპი ასე ახლოს, და თან ერთად. მან თავი შეყო "ვოლგის" კაბინაში და აღფრთოვანებით წაიბუტბუტა:

- ამხანაგო ვისოცკი, ამხანაგო ვისოცკი!...

დანარჩენი გზა, ჯერ კიდევ უკაცრიელ და გამოლვიძების პირას მყოფ მოსკოვის ქუჩებში ჩვენ გავიარეთ თითქმის როგორც პოლიტბიუროს წევრებმა. ნიკულინის "ვოლგის" წინ მოყვირალი სირენით ავტოინსპექციის მანქანა მიდიოდა.

ნიკულინი დამაჯერებლად ატრიალებდა საჭეს; ვისოცკის ასევე დამაჯერებლად ეძინა...

ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს. და იგი იცნობდა და უყვარდა ისინი...

# ოპერით დასჯა

ყველა გენიალური იდეა წამიერად იბადება. გავიხსენოთ, თუნდაც, აბაზანიდან გამოვარდნილი არქიმედეს "ევრიკა", ნიუტონის ვაშლი ან კოლუმბის კვერცხი. შეიძლება ითქვას, რომ არც მაიმელი მოსამართლე ჯეფრი შვარცია გამონაკლისი...

ერთი წლის წინ შვარცი ქალაქში მანქანით მოძრაობდა და საცობში გაიჭედა. მოულოდნელად მისი ლიმუზინის მინებმა საშინლად დაიწყო ვიბრირება, თავად მოსამართლეს კი ლამის ყურის აპკები დაუსკდა. ამ ბგერითი წამების წყარო კი მეზობლად მდგარ ღია ავტომობილში აღმოჩნდა, სადაც თინეიჯერების მხიარულ კომპანიას მთელი ხმით ჩაერთო მეტალისტების როკი და ირგვლივ მდგომ მანქანებში მსხდომთ აყრუებდნენ. როგორც ჩანს, ბიჭები უგულისყუროდ მოეკიდნენ საგზაო ნიშანს, რომელიც იუწყებოდა, რომ ჰაერის "ბგერითი დაბინძურება" 500 დოლარის ოდენობის ჯარიმით ისჯება.

**- ამ კაკაფონიისგან ლამის გავგიჟდი! არ მესმის, რატომ უსმენენ მუსიკას არანორმალური დეციბალებით,** - იხსენებს შვარცი, **- და სწორედ იმ მომენტში გონება გამინათა აზრმა, რომელიც სულ ორ სიტყვას იტევს - ლუჩანო პავაროტი. "აჰა, გავიფიქრე მე, თუ თქვენ თქვენს მუსიკას მახვევთ თავს, მე ჩემსას მოგახვევთ!"**

მას შემდეგ მოსამართლე შვარცი ქალაქ მაიამიში ბგერითი ორდონანსის დამრღვევებს ან წესისამებრ 500-დოლარიანი ჯარიმის გადახდას ან, ორსაათნახევარი საოპერო მუსიკის მოსმენას უსჯის! თუ "დამნაშავე" პირველად ჩავარდა, მას მოსამართლე თავისი საყვარელი, ვერდის "ტრავიატას" მოსმენას აიძულებს. მაგრამ თუ დამრღვევი გამოუსწორებელი რეციდივისტია - მას ვაგნერის ოპერების მოსმენა უწევს. ამასთან დაკავშირებით მაიამიში ხუმრობენ: **"წამება არ სრულდება, სანამ სქელი ქალი არ იმღერებსო"** (მინიშნებაა ვაგნერის ოპერების დასასრულს ქალის არიებზე, რომლებსაც, როგორც წესი, არა მხოლოდ შთამბეჭდავი ხმა, არამედ გაბარიტებიც შესაბამისი აქვთ).

საინტერესო ის გახლავთ, რომ მოსამართლე შვარცი ყოველთვის ასეთი ფანატიკური მელომანი სულაც არ ყოფილა. ექვსი წლის წინ ფლორიდის გრანდ-ოპერაში ცოლმა ძალით შეათრია. **"ყველანაირად ვცდილობდი, წინააღმდეგობა გამეწია, მაგრამ ცოლმა მაჯობა. მას შემდეგ ოპერის მონა ვარ. ის თავად სიცოცხლეა - სიყვარულით, ღალატით, სიკვდილით"**, - ამბობს მელომანი მოსამართლე. ახლა უკვე ის ოპერის სეზონური აბონემენტის მუდმივი მფლობელია.



ჯუზეპე ვერდი



რიჰარდ ვაგნერი

"ბგერითი ყაჩაღებისთვის" ოპერის მოსმენის იძულებისას, შვარცი არა მარტო სჯის მათ, არამედ ცდილობს აღზარდოს, კლასიკური მუსიკის სიყვარული ჩაუნერგოს, როგორც თავად ამბობს, "მათი ჰარმონიის ჰორიზონტი გააფართოოს". იმ ევრისტიკული დღის შემდეგ, როდესაც მოსამართლე საცობში მოყვა და უეცრად თავში ორმა სიტყვამ გაუელვა - ლუჩანო პავაროტი, მის ხელში ასამდე ისეთმა ბოროტმოქმედმა გამოიარა, რომლებმაც ხუთასი დოლარის გადახდას ოპერის მოსმენა ამჯობინეს. მაგრამ ისინი, ვინც თვლიდნენ, რომ ადვილად გამოძვრნენ, ძალიანაც ცდებოდნენ.

ოპერით დასჯა ასე გამოიყურება: ათ მისჯილს რადიომიმღების წინ სვამენ. ოპერატიული დისკ-ჯოკეის როლს სასამართლოს კლერკი ასრულებს. ის მიმინოსებრი მახვილი მზერით ადევნებს თვალს, რომ არც ერთმა ელექტროსკამზე, უკაცრავად, ოპერის სკამზე მჯდომმა, ყურადღება არ მოადუნოს, ჭამით, კითხვით ან მობილურ ტელეფონზე საუბრით არ გაერთოს, არ ჩამოეყვინთოს, ან სულაც ფანჯარაში არ გაიხედოს. ის, ვინც ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს, იძულებული ხდება მისჯილი ოპერა ხელახლა მოისმინოს. ზოგიერთ მისჯილზე ეგზეკუციის ეს სახე ისე მოქმედებს, რომ ისინი უარს ამბობენ ოპერის ბოლომდე მოსმენაზე და ისევ 500 დოლარის გადახდას ამჯობინებენ. **"ეს რაღაც მტვერზე ან ბრიუსელის კომბოსტოზე ალერგიის მაგვარია"**, - ხუმრობს ხოლმე მოსამართლე. თუმცა, განუკურნებელი მუსიკალური ალერგეტიკების გარდა, ისეთებიც არიან, რომლებსაც ერთი შეხედვით, უფრო სწორად, ერთი მოსმენით უყვარდებათ ოპერა და სიამოვნებას განიცდიან მისგან ფინალურ მომენტამდე ანუ იმ დრომდე, როდესაც რადიომიმღებიდან "სქელი ქალის" მძლავრი კოლორატურული სოპრანო გაიჟღერებს. მაგრამ მოსამართლე შვარცი გულწრფელად და მწუხარებით აღიარებს, რომ ასეთები ნამდვილად უმცირესობაში არიან.

# ოპერა "ნიქსონი ჩინეთში" სენტ ლუისში

როცა სენტ ლუისზე ვლაპარაკობთ, ჩვენს წარმოსახვაში ისახება ამერიკული ჯაზის დედაქალაქი და ცნობილი "სენტ ლუის ბლუზი" ჩაგვესმის.

ცოტა ხნის წინ, სენტ ლუისის საოპერო სცენაზე არა რობსონი და არმსტრონგი, არამედ მაო ძედუნი და ნიქსონი ამღერდნენ. ელა ფიცჯერალდისა და მაჰალია ჯექსონის ნაცვლად კი ქალბატონი მაო და პირველი ლედი პეტი აამღერეს.

დაუჯერებელი ფაქტია: ლიბრეტოს ოპერისა "ნიქსონი ჩინეთში" საფუძვლად აშშ-ს პრეზიდენტ ნიქსონის პეკინში 1972 წლის ის ისტორიული ვიზიტი დაედო, რომელიც ამერიკა-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით დასრულდა. დაუჯერებელია, მაგრამ, ამ ერთი შეხედვით, სრულიად არამუსიკალურმა ფაქტმა შესანიშნავი საოპერო ნაწარმოები შვა!

კომპოზიტორ ჯონ ადამსის ოპერა "ნიქსონი ჩინეთში" პირველად 17 წლის წინ დაიდგა, მაგრამ მალევე დასცინეს და სცენიდან ჩამოაგდეს. მაგრამ, ამ სეზონზე სენტ ლუისის ოპერის სცენაზე, ფენიქსი ფერფლიდან აღსდგა. ამის მიზეზი დირიჟორ მარინ ოლსოპის და რეჟისორების ჯეიმს რობინსონისა და ალენ მორიტის მიერ პარტიტურის ახლებური წაკითხვაა. როგორც ჩანს, დისტანცირების პათოსმა იმუშავა. მას შემდეგ, რაც მთავარმა მოქმედმა პირებმა დიდი ხანია, დაგვტოვეს, ისინი უფრო მეტად დაემსგავსნენ საოპერო იმპერატორებსა და "იმპერატრიცებს", მეფეებსა და დედოფლებს.

ოპერა რომ პოლიტიკის ბალასტისგან გაეთავისუფლებინათ, დამდგმელებმა მახვილგონივრული გადაწყვეტა იპოვეს - სცენაზე დადგმული 12 გიგანტური ტელევიზორი ნიქსონის პეკინში ვიზიტის ქრონიკას აჩვენებდა, რაც კაშკაშა წითელ ფერებში შესრულებულ დეკორაციებთან ერთად, შინაგან დრამატურგიულ დაძაბულობას ქმნის. ეს ყველაფერი კი მუსიკალურად ამძაფრებს "კულტურულ შოკზე" აგებულ ოპერას - ტოტალიტარულ ჩინეთთან "სენტიმენტალური დემოკრატების", ანუ ამერიკელების შერკინება. სცენას დაძაბულობას ჰმატებს ზოგიერთი დოკუმენტური კადრის დაჟინებული გამეორება. მაგალითად, პეკინის აეროპორტში დაშვებული თვითმფრინავიდან პრეზიდენტ ნიქსონის გადმოსვლა.



ნიქსონი პრესლისთან



მაო - ენდი უორჰოლის მიხედვით

ბრწყინვალეა მაოსა და ნიქსონის დუეტები (მარკ დაფინი და რობერტ ორტი). აღელვებული და "ადამიანური" ნიქსონი მრისხანე მაომ დათრგუნა. მაოს მაღალ ნოტებს მთარგმნელ ქალთა ტრიო იტაცებს და საორკესტრო ორმოში ექოდ კარგავს. ასე მოსდით ამერიკისა და ჩინეთის პირველ ქალბატონებსაც. ერთი მხრივ, ხალხის მასებისა და ღორების გარემოცვაში მოქცეული, სკოლებისა და ფერმების დათვალიერებით გართული პეტ ნიქსონი. მეორე მხრივ - მტაცებლური და "აუღელვებელი" ქალბატონი მაო, რომლის დამპყრობლურ ხასიათს მომღერალ ტრეისი დალის სტრატოსფერული სოპრანო უსვამს ხაზს (ქალბატონი ნიქსონის პარტია ბრწყინვალედ მიჰყავს მარია კანოვას). არაფერია ხელოვნული და მით უფრო, კომიკური ჯოუ ენლაისა და ჰენრი კისინჯერში, რომელთა პარტიას "გრანდოპერული" ხმების მქონე ჩენ იე იუანი და აიან ოპალახი ასრულებენ.

ბალეტმაისტერ შონ კარენის ქორეოგრაფია ერთგვარად ამაგრებს შინაგან პოლიტიკურ კონტრასტს და კონფლიქტს ორ საპირისპირო სამყაროსა და კულტურას შორის. (მაგალითად, "ქალთა წითელი ქვედანაყოფის" ცეკვა). საბოლოო ჯამში, გასაგები მუსიკალური ენის ოპერა გამოვიდა, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკის სიდიადეც ასახა და კომიკურობაც. თვალსაჩინო იყო აგრეთვე, ცალკეული ადამიანების სტრატეგიული ტრიუმფიც და პირადი დრამაც.

სენტ ლუისის საოპერო სცენაზე დადგმულმა "ნიქსონი ჩინეთში" მახინჯი საოპერო ბატის ჭუკი "დიდი ამერიკული ოპერის" მშვენიერ გედად აქცია - ასე წერენ საოპერო კრიტიკოსები. ოპერამ აშკარად მეორე სიცოცხლე შეიძინა, რადგან სპექტაკლის წარმატებით შთაგონებულმა კიდევ ოთხმა საოპერო დასმა გადაწყვიტა მისი დადგმა.

საინტერესოა, გაბედავს თუ არა რომელიმე ქართველი კომპოზიტორი ოპერის "სააკაშვილი მოლდოვაში" შექმნას, თუ ჩვენ ამერიკელები გაგვასწრებენ და დაწერენ ოპერას "ბუში სანკტ პეტერბურგში?"

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დარიო ფო
"თავისუფალი წყვილი"
დამდგმელი რეჟისორი: ქეთი დოლიძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ევრიპიდე, ჟან ანუი
"მედეა"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში"
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"სტალინი"
კოტე მახარაძის სპექტაკლი
(ვიდეოჩანაწერი)
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
გოგი დოლიძის ხსოვნის საღამო
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"წყევლა"
დას: 17:30; 19:30 სთ.

"სიახლოვე"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"ავიატორი"
დას: 15:30; 19:00; 22:00 სთ.

"უილბლობა"
დას: 13:00 სთ.

**ცირკი**
მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**TMS**
რუსუდან ბოლქვაძის ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
ლადო თევდორაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

## კლუბები

**ბერლინი**
ShadowCat წარმოადგენს:
დი-ჯეები: ქეში, ედგარ სებისი და ქრეიზი
დას: 22:00 სთ.
ფასი: 15 ლარი
გოგონებისთვის - 5 ლარი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ხმაური საგანძურის გამო

"საქართველოს ეროვნული საგანძურის აშშ-ში საგამოფენოდ გატანა არ იგეგმება", - აცნობა საზოგადოებას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. მინისტრის თქმით, ბოლო დღეებში ქართული საგანძურის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, - თითქოსდა მიმდინარეობს 1999 წელს ჩაშლილი გამოფენის ორგანიზება, უსაფუძვლოა და ტყუილი. "ჩვენს მუზეუმებში დაცული მთავარი ეროვნული საგანძური წლების განმავლობაში ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი. მუზეუმებში ურთულესი მდგომარეობაა, არ არსებობს თანამედროვე რეესტრები, ნივთების მდგომარეობა არ არის შეფასებული, წლების განმავლობაში მოძრავ ძეგლებს სათანადო სარესტავრაციო სამუშაოები არ უტარდებოდათ, რის გამოც დაფუძნდა ეროვნული მუზეუმი და დაიწყო სამუზეუმო რეფორმა" - განაცხადა გიორგი გაბაშვილმა, რომლის აზრით, ჯერჯერობით, საქართველო მზად არ არის ასეთი გამოფენის მოსაწყობად. თუმცა, როცა მზად იქნება, ექსპონატების გატანის საკითხი სამთავრობო დონეზე გადაწყდება. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ კი შესაძლებელი გახდება მომავალში საუბარი საქართველოს საერთაშორისო სამუზეუმო ცხოვრებაში ჩართვაზე. ამას გარდა, მომავალში გამოფენები ყოველმხრივი საექსპერტო შეფასებით, საპატრიარქოს თანამონაწილეობით მოეწყობა.

ეროვნულ მუზეუმში კი, პირველი გამოფენა 11 მარტს მოეწყობა. ახლად აღმოჩენილი ქართული საგანძურის გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 2004 წელს ვანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვირფასი ნივთები. აღმოჩენილი განძი ანტიკურ პერიოდს მიეკუთვნება.

# სამციხის ღამე

## სერიიდან - ქართული ნაციონალური მუსიკა

ვერა ნეფარიძე

*გუშინ "ფორაქიშვილების" განთქმულმა დარბაზმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა ქართული ფოლკლორის გულშემატკივრებს, მოყვარულებს, მომაგეებს... საზეიმო განწყობას ნამდვილად ჰქონდა საფუძველი - "ქართული ჩანაწერების" ინიციატივა და ფოლკლორი თათარაიძეებისგან ერთი სასიამოვნო საღამოს მიზეზი გახლდათ.*

ამიერიდან სტუდია "ქართული ჩანაწერების" ყოველ ფოლკლორულ, ხალხურ ჩანაწერს ექნება განსაზღვრება - ქართული ნაციონალური მუსიკა. ეს გადაწყვეტილება სტუდიის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, ანსამბლ "ლაშარის" კომპაქტ-დისკის გამოცემისას მიიღეს. ამავე სერიიდან სტუდიამ მორიგი ჩანაწერი - "სამციხის ღამე" შესთავაზა საზოგადოებას...

პირადად მე, ლელა თათარაიძის საავტორო ალბომს რამდენიმე თვეა ველოდი, მას შემდეგ, რაც "ქართული ჩანაწერების" ბატონპატრონებმა ბასა ჯანიკაშვილმა და გიორგი ასანიშვილმა მითხრეს, რომ ლელა და ეთერ თათარიძეების ლექსებისა და სიმღერების შეკრებას და გამოცემას აპირებდნენ. ის, რომ ალბომის გამოცემა ყოვნდებოდა, ერთადერთი მიზეზით იყო გამოწვეული. მაგრამ, ადრე თუ გვიან (ცოტა გვიან, მაგრამ მაინც არა უშავს), სპონსორები გამონახეს და დღეიდან მსმენელს აქვს შანსი, ყოველდღე მოისმინოს (თუკი, რასაკვირველია, "ქართული ჩანაწერების" ამ კომპაქტ-დისკს შეიძენს) ლელა თათარაიძის განუმეორებელი ხმა და ისიამოვნოს თუშური სასიმღერო ფოლკლორის ტრადიციებზე შექმნილი მისივე სიმღერებით.



ვახო ბასელიას ფოტო

*ქართული მთიანეთის ფოლკლორი ხინკალთან ერთად უკეთ აღიქმება.*

"სამციხის ღამე" - ასე ჰქვია "ქართული ნაციონალური მუსიკის" სერიის მორიგ ნამუშევარს, ლელა თათარაიძის საავტორო ჩანაწერს, რომელშიც 17 სიმღერაა თვმოყრილი. ალბომში შესულია მხოლოდ ხალხური (ლელა თათარაიძის მიერ დამუშავებული) და ლელა თათარაიძის სიმღერები; ხალხურის გარდა, ტექსტის ავტორებს შორის ვხვდებით: ეთერ თათარაიძეს, იოსებ ლონგიშვილს, მანანა ჩიტიშვილს, მიხა ხელაშვილს, ანა იმედაძეს, ხვარამზე სამუკაშვილს. "მუშაობისას ლელამ 50-მდე საკუთარი და ხალხური სიმღერა მოგვიტანა. ძალიან გაგვიჭირდა ამორჩევა. ამიტომ გადავწყვიტეთ, მეორე დისკიც გამოვცეთ", - გვითხრა "ქართული ჩანაწერების" წარმომადგენელმა ბასა ჯანიკაშვილმა, თუმცა, ზუსტი ვადების დასახელებისგან თავი შეიკავა. მანვე პრეზენტაციის პირველ ნაწილში საზოგადოებას გააცნო, თუ როგორ დაიწყო და დასრულდა ეს საქმე: "ქართულ ჩანაწერებს" ლელა თათარაიძის საავტორო ჩანაწერის გამოცემის იდეით ბესო ხაინდრავამ მიაკითხა. აქვე შეგახსენებთ, ამ ადამიანის (ბესო ხაინდრავას) დამსახურებაა ისეთი საინტერესო და უკვე პოპულარული ფოტომოყვარულთა კონკურსი, როგორიცაა "ქოლგა" (თუმცა, ამ ალბომის გამოსვლის შემდეგ ბესო ხაინდრავას მხოლოდ "ქოლგით" აღარ გაიხსენებენ).

პრეზენტაციის პირველ ნაწილს საფრთხე მაშინ შეექმნა, როდესაც გამოაცხადეს, გვერდით დარბაზში ხინკალი გაცივდებაო... თუმცა, ამის მიუხედავად, თათარაიძეების შემოქმედებისა და ქართული ფოლკლორის შესახებ საუბარი გამომსვლელებს მაინც არ გადაუფიქრებიათ. და ძალიანაც კარგი, იმიტომ, რომ იმაზე, რაც მეზობელ დარბაზში ხდებოდა, არანაკლებ საინტერესო იყო მწერლისა და ფოლკლორისტის გიორგი ცოცანიძის საუბარი თუში მეცხვარეების მარტო ცეკვაზე; თუშების "შორ მანძილზე მოსასმენ ლექსებსა და სიმღერებზე"; გიორგი ცოცანიძის გარდა, ისაუბრეს: ანზორ ერქომაიშვილმა, რეზო ესაძემ და დათო ტურაშვილმა. სხვათა შორის, სწორედ ამ უკანასკნელისგან შეიტყვეს "ფორაქიშვილების დარბაზის" სტუმრებმა, რომ ამ დღეებში ლელა თათარაიძეს გარმონი მოპარეს. თუ "გარმონის ქურდები" კითხულობენ გაზეთებსა და უყურებენ საინფორმაციო გადაცემებს, შევატყობინებთ გუშინდელი პრეზენტაციის ორგანიზატორთა გარიგებას: ისინი მზად არიან, გარმონში კომპაქტ-დისკები გადაცვალონ. მომგებიანი გარიგებაა, რადგან გარმონი ლელა თათარაიძის სპეცშეკვეთაა (რაზეც ოსტატმა წელიწადნახევარი იმუშავა) და მის გარდა ვერავინ გამოიყენებს დანიშნულებისამებრ. ასე რომ, იმედია, ინციდენტს კეთილი დასასრული ექნება. რაც შეეხება გუშინდელ საღამოს, მისი მეორე ნაწილიც (მას შემდეგ, რაც ქალბატონმა ლელამ ფანდურზე რამდენიმე სიმღერა შეასრულა) არაჩვეულებრივად გაგრძელდა, რაც ღვინო "თამადას" (შეხვედრის მასპინძლისა და ერთ-ერთი სპონსორის) უშუალო დამსახურება იყო; იდეის განხორციელებაში კი ავტორებს სხვა სპონსორებიც დაეხმარნენ. ამჯერად ქართული ფოლკლორის სამსახურში ჩადგა "ერსტ ენდ იანგი" და "თი-ბი-სი ტი-ვი სტუდიო", სადაც დამზადდა კლიპი სიმღერაზე "რა ლამაზია თუშეთი"; ვიდეორგოლი (რომლის ავტორიც არის ბესო ხაინდრავა) თან ახლავს კომპაქტ-დისკს. დაბოლოს, გუშინდელი პრეზენტაციით კმაყოფილები ჩანდნენ თავად თათარაიძეებიც. "მადლობა ყველას ამ სიხარულის გაზიარებისთვის. მრავალი ხალხური, ეროვნული ჩაეწეროთ ჩვენს ახალგაზრდებს. მადლობა უფალს, რომ გვყავს ახალგაზრდები, რომლებიც ეროვნული სულით არიან გამსჭვალულნი და მის გადარჩენას ემსახურებიან", - ასეთი იყო ლელა თათარაიძის სამადლობელი.

# წიგნი, რომელსაც ბედი აქვს

## ვირის მიერ დაწერილი სახარება და ქართული პოეზიის მესია

სოფო კილასონია

წაკითხული არ მაქვს და ამიტომ წერა მეუხერხულება. აზრის გამოთქმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. წერა მით უფრო მაშინაა რთული, როცა განსახილველი ობიექტის, ამ შემთხვევაში ზაზა ბურჭულაძის ახალი რომანის პრეზენტაციაზე იმდენმა ადამიანმა და ისეთმა განსწავლულ-განათლებულმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, რომლის მსგავსიც დიდი ხანია, არც ერთი სხვა წიგნის პრეზენტაციაზე არ მინახავს. იმდენი აზრი, ქება და შეფასება მოვისმინე, რამდენიც აქამდე არასდროს, ამიტომ, სიმართლე გითხრათ, საიდან დავიწყო, არ ვიცი. თუმცა, მაინც უნდა დავიწყო. სხვა გზა არ მაქვს. ისევ სტანდარტად ქცეულ დასაწყისს ავირჩევ: **გუშინ საღამოს "პარნასში" გაიმართა ზაზა ბურჭულაძის ახალი წიგნის პრეზენტაცია. "სახარება ვირისა" - ასე ჰქვია რომანს, რომელსაც გაგა ლომიძის კომენტარები ახლავს და რომელიც გამომცემლობა "ლოგოს-პრესმა" გამოსცა.** ჩავთვალოთ, რომ დასაწყისს თავი გავართვი და გავაგრძელოთ.

მაღაზია "პარნასმა" გუშინ წიგნის რიგით ოცდამეოთხე საღამო მოაწყო. ბესო ხვედელიძისთვის ოცდამეოთხე საპრეზენტაციო წიგნი ზაზა ბურჭულაძისთვის ("სულთათანას", "წერილი დედას," "სიმფსონებისა" და "მინერალური ჯაზის" შემდეგ) მეხუთე ლიტერატურული ქმნილებაა, ყოველ შემთხვევაში, უკვე გამოცემული.

ზაზა ბურჭულაძის ახალი რომანის მკითხველს მრავალი საინტერესო მოულოდნელობა ელის. პირველი ის, რომ წიგნში, რომელიც გარკვეულწილად გალაკტიონზე თუ "გალაკტიონითაა" დაწერილი, დიდი პოეტი სრულიად განსხვავებულადაა წარმოჩენილი. ავტორი შეეცადა, მოეხდინა იმ ხატის დემითოლოგიზაცია, რომელიც ქართველებს გალაკტიონზე გვაქვს შექმნილი. რომანის მთავარი პერსონაჟი და, ამავდროულად, მთხრობელია ვირი, მის მიერ დაწერილ სახარებაში კი მესია ანუ ქართული პოეზიის მესია გალაკტიონია.

**"ბევრს ვერაფერს გეტყვით. საერთოდ, არ მესმის, მე ახლა რა უნდა ვთქვა. ალბათ, მხოლოდ ის, რომ დიდ მადლობას გიხდით აქ მოსვლისთვის, ამ წვიმიან დღეს ასე რომ შეწუხდით." -** გვითხრა საკუთარი წიგნის პრეზენტაცია-განხილვაზე მწერალმა. თუმცა, სანამ ამ მოკრძალებულ სიტყვას წარმოთქვამდა, ბევრი ისეთი რამ ითქვა, რომლის ციტირება, ვფიქრობ, ამ შემთხვევისთვის, ამ ერთი შეხედვით უცნაურ და საინტერესო წიგნზე შთაბეჭდილების შესაქმნელად აუცილებელია.



*ბესო ხვედელიძე (მარცხნივ) წარადგენს ზაზა ბურჭულაძის (მარჯვნივ) ახალ წიგნს.*



*ლევან ბერძენიშვილი, რომელმაც წიგნი გამოსვლამდე წაიკითხა, იზა ორჯონიკიძესთან ერთად.*

იური ლობოდინის ფოტოები

ლევან ბერძენიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც რომანს "სახარება ვირისა" გამოცემამდე ბევრად ადრე გაეცნო, თუმცა, იგი არა მარტო ბოლო ნაწარმოებს, არამედ ზაზა ბურჭულაძის შემოქმედებასაც ძალიან კარგად იცნობს და არ მალავს, რომ ახალგაზრდა მწერალი ერთ-ერთი "მისი ავტორია": **"თავიდან ვიფიქრე, რომ ჩვეულებრივად ამ წიგნსაც ავიღებ, წავიკითხავ, შეიძლება აზრიც გამოვთქვა-მეთქი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა ჩვეულებრივი წიგნი. ეს წიგნი ჩემგან იმსახურებს რამდენიმე მადლობას, უპირველეს ყოვლისა, მადლობას ჩემგან, როგორც ლათინური ენის სპეციალისტისგან - ლათინურის კარგი ცოდნისთვის. ნებისმიერი ცოდნა, მით უფრო, ლათინურის მყარი ცოდნა, იმსახურებს მადლობას, მეორე იმიტომ მაქვს მადლობა სათქმელი, რომ წიგნი გალაკტიონზეა, თუმცა, ავტორი წერს, რომ არა გალაკტიონზე, არამედ გალაკტიონით არის დაწერილიო. ეს არ არის სიტყვათა თამაში. მე ძალიან კარგად მესმის, რას ნიშნავს ეს, - გალაკტიონით დაწერილი სახარება. და მესამე, ავტორსაც ის ცხოველი ჰყვარებია, რომელიც მეც მიყვარს - ვირი. ჩემი აზრით, ქართული ენა, ქართული წეს-ჩვეულება ვირებზე და ვირები ზოგადად უაღრესად განსხვავდებიან ერთმანეთისგან..."**

მას შემდეგ, რაც ბატონმა ლევანმა ისაუბრა ვირის როლსა და სახეზე ისტორიასა და ლიტერატურაში, ისევ განსახილველ რომანს დაუბრუნდა: **"ამ წიგნში ერთადაა ცოტა მეცნიერება და ბევრი პოეზია. აქ ორი ნაწილია. პირველი, რომელიც დაწერა გულმა და მეორე, რომელიც დაწერა ტვინმა. ორივე უნდა წაიკითხო, რათა ის დაინახო, რაც აქ არის მთავარი. მთავარი კი გალაკტიონის ერთი ლექსის "ლურჯა ცხენების" ანალიზია, სრულიად ახლებურად დანახული. ეს არის ნამდვილი წიგნი გალაკტიონზე, რომელიც საკმაოდ მოულოდნელი კუთხით წარმოაჩენს მას. არა როგორც გაღმერთების ობიექტს, არამედ გამაღმერთებელს, არა როგორც ადამიან-ლეგენდას, არამედ როგორც მასალას, რომლითაც ახალი, დიდი ლიტერატურა შენდება. გალაკტიონი დაეხმარა ჩვენს ავტორს, იგი გამოყენებულია, როგორც მელანი. ჩემი აზრით, ესაა ამ წიგნის გასაღები. ეს წიგნი ჩვენი საუკუნის წიგნია, დაწერილი ქართული ლიტერატურის სიყვარულითა და მსოფლიო ლიტერატურის ცოდნით. მინდა, მივულოცო ზაზას და ვუთხრა, ამ წიგნს თავისი ბედი აქვს..."**

აღმოჩნდა, რომ ბატონი ემზარ ჯგერენაია, წინა გამომსვლელთან შედარებით, უფრო მეტად გათვითცნობიერებული ყოფილა, როგორ იქმნებოდა "სახარება ვირისა", რა შემოქმედებით პროცესებს გადიოდა ავტორი, რომელიც, მისი თქმით, მუდმივად ხვეწს და მათემატიკური სიზუსტით სრულყოფს საკუთარ ენასა და წერის მანერას: **"მგონია, რომ ზაზას განზრახვა ასეთი იყო: მან დასცინა ადამიანებს, ინტელექტუალებს, რომლებიც სიტყვების თამაშით ერთობიან, ლათინურ სიტყვებს წარმოთქვამენ და ხშირად მათი მნიშვნელობა არ იციან. ზაზამ ლათინური არ იცის, მაგრამ ისე გააკეთა, რომ გარკვეულ წრეს უთხრა: მე თქვენსავით ჟონგლიორობა ვიციო. გაგა ლომიძის კომენტარები არის უზადო. მისი სახით მივიღეთ რომანის არაჩვეულებრივი შეჯამება..."**

ბატონ მერაბ ღაღანიძეს ბურჭულაძის რომანზე საუბრისას მოაგონდა ჰერმან ჰესეს რომანი "თამაში რიოში მარგალიტებით" და აღნიშნა, რომ ამ ახალ ქართულ რომანში მკითხველს კულტურული ფასეულობებით თამაში შეუძლია. ბატონმა ნოდარ ლადარიამ აღნიშნა, რომ კომენტარები ორგანული ნაწილია ტექსტისა და ესაა ამ წიგნის ორიგინალობა.

პრეზენტაციაზე კიდევ ბევრი საინტერესო ითქვა. ჩვენი საზოგადოების პრობლემური საკითხებიც წამოიჭრა, თუმცა, თითოეული მათგანი ცალკე საუბრის თემაა და ახლა მათ არ შევეჭიდები. მე ისევ ზაზა ბურჭულაძის რომანს დავუბრუნდები და წერასაც ამით დავასრულებ.

თუ ვენდობით სიტყვით გამომსვლელებს და მათ, ვინც ახალი რომანი უკვე წაიკითხეს, "სახარება ვირისა" არ არის ჩვეულებრივი წიგნი. ის მომზადებული მკითხველისთვისაა დაწერილი და ის წიგნია, რომელსაც ბედი ნამდვილად აქვს. ესაა რომანი, რომელიც ენის სივრცეში ცხოვრობს და კულტურული ფასეულობებით ოსტატურად და იუმორის დიდი გრძნობით თამაშობს. "სახარება ვირისა" ახალი მიმართულება, ახალი გზაა ზაზა ბურჭულაძის შემოქმედებაში. თუმცა, დამეთანხმებით, სხვათა კომენტარების მოსმენას ნამდვილად სჯობს წიგნის წაკითხვა. მით უფრო მაშინ, როცა გეუბნებიან, რომ ახალ რომანში დიდი ინტრიგაა ჩადებული.

# „შანელი" მარადიული ხიბლით






დაიან კრიუგერი ქერათმიანი მსახიობია, რომელიც "ტროაში" მშვენიერი ელენეს როლს ასრულებდა. თუ ძველ ბერძნულ გარემოში მას მითოლოგიური აურა ალამაზებდა, რეალურ ცხოვრებაში ისედაც მომხიბვლელი გერმანელი მსახიობის გალამაზებაზე "შანელი" და კარლ ლაგერფელდი ზრუნავენ.

დიდი ხანია, რაც ყველა პომპეზურ კინოღონისძიებაზე დაიან კრიუგერი "შანელის" კაბებში გამოპრანჭული ჩნდება. ასე იყო "ოსკარზე" და ასე იყო კანის ფესტივალზეც. ცხადია, გუშინ პარიზში გამართულ "შანელის" ჩვენებაზეც კრიუგერი "შანელისვე" სამოსში გამოწყობილი გამოცხადდა. თუმცა, იმ დღეს ის გამონაკლისი არ ყოფილა. პარიზის მოდის კვირეულის იმ კაშკაშა საღამოზე სტუმრებს ლამის სასკოლო ფორმასავით ეცვათ ლაგერფელდის საფირმო ტვიდი და მარგალიტებით გალამაზებული პატარა შავი კაბები.

ამ ერთსულოვან დახვეწილ გარემოში მოხვედრილი მოდის მიმომხილველები კი აღნიშნავდნენ, რომ "შანელის" შოუ პარიზული კვირეულის საუკეთესო საღამო გახლდათ.

გარემოს კი, პირველ რიგში, ხიბლს ნიკოლ კიდმანი ჰმატებდა. ის "შანელი №5"-ის სახეა და უკვე დიდი ხანია, დიდი ქალაქების, მათ შორის პარიზისაც მეტროპოლისებს უზარმაზარი ბილბორდებიდან და ლაითბოქსებიდან დაჰყურებს თავზე.

თუმცა, "შანელის" სუნთქვა მთელი თავისი ბრწყინვალებითა და სისავსით ერთადერთ ადგილზე - პარიზში თუ იგრძნობა. სწორედ იქ, ზემოთ ნახსენებ მოდის ჩვენებას 3 ათასამდე სტუმარი ესწრებოდა. ამხელა პუბლიკა კვირეულის ფარგლებში გამართულ არც ერთ შოუს არ ჰყოლია.

"შანელი - ელეგანტურობის, მარადიულობის, ქალურობის და გარკვეულწილად ახალგაზრდულობის სინონიმიც არის ჩემთვის. რომ იხსენებ იმ დიდებულ ქალებს, რომელთაც "შანელი" ემოსათ, თავს ძალიან კარგად გრძნობ", - უზიარებდა შთაბეჭდილებებს დაიან კრიუგერი ჟურნალისტებს.

გოგონები კი ვერცხლისფერ პოდიუმზე უზარმაზარ, ხელოვნურ წამწამებს დააფარფატებდნენ და ძალიან წააგავდნენ სუპერმოდელ ტვიგის 60-იანებიდან. ეცვათ ტვიდის ზოლებით გაწყობილი ცხვრის ბეწვის ქურთუკები. მოკლე შავ კაბებზე კი თეთრმაქმანებიანი პერანგები. გოფრირებულ სკოლის ფორმასავით კაბებზე კი თეთრი სახელოები და საყელოები იყო დამაგრებული - სრული სასკოლო ასოციაციისთვის.

თუმცა, ლაგერფელდმა პუბლიკას ალტერნატივაც შესთავაზა, თანაც ძალიან თანამედროვე - ტყავის მაღალყელიანი ჩექმა, შავი თხელი ქვედაბოლო და გრძელსახელოებიანი კრემისფერი ბლუზი.

შოუს ბოლოს ის 64-ივე მოდელთან ერთად პოდიუმზე გამოვიდა და მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. პუბლიკა ნასიამოვნები დარჩა და თან არა მხოლოდ ახალი კოლექციით. თითოეულმა სტუმარმა საჩუქრის სახით სუნამო Coco Mademoiselle მიიღო, რომელიც პარიზში 85.50 ევრო ღირს, დაახლოებით 113 დოლარი. ანუ, გამოდის, რომ "შანელმა" მხოლოდ პარასკევს გასაცემ საჩუქრებზე 339 ათასი დოლარი დახარჯა, მთლიანმა დანახარჯმა კი, ალბათ, მილიონ დოლარსაც გადააჭარბა. თუმცა, ეს თანხა კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც "შანელმა" კიდმანს რეკლამისთვის გადაუხადა. "შანელი №5"-ის სახე რომ გამხდარიყო, მსახიობმა 3.71 მილიონი დოლარი მიიღო. გინესის მსოფლიო რეკორდების 2005 წლის გამოცემის მიხედვით, ეს გახლავთ ყველაზე დიდი ჰონორარი, რაც მსახიობს რეკლამაში მონაწილეობისთვის მიუღია.

"შანელის" სახლში კი სხვა სიახლეებიცაა. გარდა იმისა, რომ პარიზული შოუ სრული ტრიუმფით დასრულდა, კარლ ლაგერფელდი დამოუკიდებლადაც დიდ წარმატებებს აღწევს. დიზაინერი, რომელმაც სულ ახლახან ცნობილ შვედურ ბრენდს H&M-ს შეუქმნა კოლექცია (მისგან, შეიძლება ითქვას, რომ წამებში აღარაფერი დარჩა) ახლა საკუთარი სახელის კიდევ უფრო მეტად განდიდებაზე ზრუნავს. მიზანი ასეთია: მისი საკუთარი ბრენდი "ლაგერფელდ გალერი" 2005 წლიდან სუპერპოპულარული უნდა გახდეს.

"მომწონს, როცა ყველგან ვარ, როცა კოლექციებს ყველასთვის ვქმნი. ეს გრძნობა აბსოლუტურად ყველა გაგებით უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს", - აცხადებს დიზაინერი. თუმცა, ამას მარტო მაინც ვერ ახერხებს. "ლაგერფელდ გალერი" დეკემბერში მან ამერიკულ ტომი ჰილფიგერის კორპორაციას მიჰყიდა. სწორედ ეს უკანასკნელი იზრუნებს იმაზე, რომ "გალერის" პროდუქცია ამერიკულ მაღაზიებში ფართოდ იყოს წარმოდგენილი.

პარიზში კი ამ პროდუქციის თვალსაჩინო ნიმუშებიც აჩვენეს პუბლიკას. თხელი ბლუზები, რომელთაც ბეწვის ფართო ზოლები ამშვენებთ, ბეწვის დიდი კაპიუშონები, ასტრახანული ბეწვისვე საყელოები, ჯინსის ტრაპეციად აჭრილი ქვედაბოლოები, თხელი საღამოს კაბები - ასევე ბეწვით...

ერთი სიტყვით, მაღალი მოდის სამყარომ არ უნდა იდარდოს. კარლ ლაგერფელდი მასობრივი წარმოების H&M-ზე არაფერს არ ცვლის. ის, როგორც თვითონ ამბობს, ყველგან არის - მასაშიც და ექსკლუზიური გემოვნების მაღალ საზოგადოებაშიც.

არადა, ტელერეკლამა, რომელიც H&M-ის ლაგერფერდისეული კოლექციისთვის გადაიღეს, ძალიან ეფექტური იყო: კადრები შავ-თეთრია. მდიდრულ სახლში მაღალ ქუსლებზე შემდგარი, ლამაზფეხება, ელეგანტურად გამოწყობილი ქალი განერვიულებული შერბის, თან ხმამაღლა გაჰკივის. მოახლე შეშინებული დაჰყვება აქეთ-იქით. ქალი შერბის ბუდუარში, აღებს გარდერობის კარს და ძირს ყრის ძვირფას ტანსაცმელს (სავარაუდოდ, ლაგერფელდის მაღალი მოდის კოლექციებიდან), მერე კი ფეხით თელავს იშვიათ ქსოვილებს. ეკრანზე კი ეწერება: "ნუთუ, მართალია?"

მაგრამ ეს მხოლოდ რეკლამა იყო. სინამდვილეში ლაგერფელდი ყველგან არის. პრინციპში ეს უფრო მომგებიანია - საზოგადოებისთვისაც და თვითონ დიზაინერისთვისაც.

**P.S.** კიდევ ერთი არგუმენტი იმის დასტურად, რომ ლაგერფელდი და თვითონ "შანელიც" ყველგან კომფორტულად გრძნობენ თავს: ახლახან ტოკიოში "შანელის" ახალი, უზარმაზარი მაღაზია გაიხსნა. 10-სართულიანი შენობის მთელი ფასადი კიდევ უფრო გრანდიოზული ჩანს და ახლებური დიზაინის წყალობით ლამის გრანდიოზულ ტელეეკრანს ემსგავსება...

"შანელი" მართლაც მარადიულია. ის ახერხებს ყველა დროში ახალგაზრდად დარჩეს, თანაც ისე, რომ ძველის ხიბლიც შეინარჩუნოს.

ისარგებლეთ ლაი·ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შემოქმედის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ღუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედრო №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 1
ლაი·ლაი

აქცია გრძელდება: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ამოჭერი

## ლაშა ბუღაძის სვეტი



ნესტან კვინიკაძის სვეტისმაგვარი

### გუახიროები წვიმაში

ციკლიდან "24 საათის" მესვეტენი და მესტატიენი

ცოტა უცნაური ვარ.

რაღაცნაირი ხედვა მაქვს.

ადრე გრამატიკული შეცდომები მეპარებოდა, ახლა ნაკლებად.

თუმცა, თავისებური შეცდომები იყო.

იმიტომ რომ თავისებური თაობის წარმომადგენელი ვარ.

გემოვნებიანები ვართ.

რაღაცნაირად ვიცვამთ.

მახსენდება ბერლინი. ფრიდრიხ-შტრასე. ის სადგური, სადაც ყოველდღე იკრიბებიან ნარკომანები.

ფასბინდერიც იქ დადიოდა.

წვიმა... ბერლინი... კაფე "SCHNUP-SCHNUP"-დან გამომავალი გუახიროების სიმღერა...

ქოლგები... ქოლგები... ქოლგები...

ვერნერ ჰერცოგი...

ჰერცოგი - ცოცხალია, ფასბინდერი - მკვდარი.

ზაფხულში - ცხელა; ზამთარში - ცივა. ძაღლები ყეფენ; კატები კნავიან; როცა თოვს - თოვლი მოდის, როცა წვიმს - წვიმა...

რა მარტივია, არა?

"SCHNUP-SCHNUP"-ში ფასბინდერიც ხშირად დადიოდა და, როგორც ამბობენ, ყველაფერს კადრულობდა...

ის მეტრაკე იყო.

მაგრამ ესთეტი.

ეხლა ქართული საზოგადოება უნდა გავაგიჟო!

ჭორი მომივიდა, რომ ნილ ჯორდანიც პეჩნიკი ყოფილა. აი, ის, "დავით აღმაშენებელზე" რომ უნდა გადაიღოს ფილმი.

და, როგორ, ხალხო, ეს ამხელა ამბავი ვიღაც პეჩნიკს უნდა მივანდოთ?!

ხო გაგიჟდით?!

მე კი მეცინება.

იმიტომ რომ მოგატყუეთ... არ არის ნილ ჯორდანი პეჩნიკი.

მე მატყუარა ვარ...

მე ფენტეზი ვარ...

პაოლო კოელიო, შენ მოგმართავ, მე, ნესტან კვინიკაძე! ოდესმე, მეც დავწერ შენს წიგნებზე უფრო პოპულარულ წიგნს...

ისევ წვიმა...

ამჯერად, პარიზი...

მიშა კობახიძე - ქოლგით ხელში...

ფასბინდერი - ბადრიჯნით...

ბადრიჯანი უყვარდაო ცხონებულს...

ჩვენ რატომ არ გვიყვარს ერთმანეთი?

უნდა გვიყვარდეს!

ძალიან სადა თაობა ვართ.

## ათეული

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 8.8 |
| ამერი | "კონკა" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 2.8 |
| დავით აბაკელია | "საქართველოს ატლასი მოსწავლეებისთვის" | "დიოგენე" | 2.8 |
| აკა მორჩილაძე | "ვეშაპი მაგიდაზე" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| ჯონათან სვიფტის მიხედვით | "გულივერის მოგზაურობა" | "ლიტერა" | 2.4 |
| მზია სურგულაძე | "საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის" | "ლიტერა" | 2.4 |
| რეი გიბსონი | "მე შემიძლია ცხოველების ხატვა" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 2 |
| რეი გიბსონი | "მე შემიძლია ადამიანების ხატვა" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 2 |
| პაულო კოელიო | "თერთმეტი წუთი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| აკა მორჩილაძე | "მოგზაურობა ყარაბაღში" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |



ინფორმაცია

### ჭაბუკებმა ხარკოვის "დინამოც" დაამარცხეს

კიევში, უკრაინის ჩემპიონატში მოასპარეზე საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა გუშინ მესამე, დასკვნითი ტურის მატჩი ხარკოვის "დინამოსთან" გამართა და, წინა დღეებში კიევის "დინამოსა" და ლვოვის "დინამოს" მსგავსად, ისიც დაამარცხა. ხარკოველებთან შედარებით გაუჭირდათ. თუ კიეველებს მოუგეს 12:7, ხოლო ლვოველებს - 11:7, ხარკოველებზე უპირატესობა მხოლოდ ორბურთიანია - 6:4.

გოლები გაიტანეს ზურაბ რურუამ (ორი), გალაკტიონ ლაითაძემ, მიხეილ ბაღათურიამ, ილია ბუტიკაშვილმა და ესტატე ნიკოლაიშვილმა (თითო).

იმის გამო, რომ ქართველმა წყალბურთელებმა მესამე ტურის სამივე მატჩი მოიგეს, 27 მარტს მეოთხე ტურის ასპარეზობები ელით ასევე კიევში.

რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას, მარიუპოლის გუნდი ისევ პირველ ადგილზეა, ხოლო საქართველო - მეორეზე.

### ნადალი ფეხბურთიდან მიდის

ესპანეთის ეროვნული ნაკრებისა და "ბარსელონას" ყოფილმა ფეხბურთელმა მიგელ ანხელ ნადალმა, რომელიც ექვსი სეზონის განმავლობაში "მალიორკაში" თამაშობდა, ფეხბურთიდან წასვლის ოფიციალური განცხადება გააკეთა.

ნადალმა თავისი კარიერა "მალიორკაში" დაიწყო. 1991 წელს "ბარსელონაში" გადავიდა. კატალონიური კლუბის შემადგენლობაში ხუთჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ორჯერ მოიგო ქვეყნის თასი, ასევე მოიპოვა უეფას თასი.

### ინგლისის ეროვნულ ნაკრებს რაით-ფილიპსის გარეშე მოუწევს თამაში

"მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელი შონ რაით-ფილიპსი ჩრდილოეთ ირლანდიისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურის მატჩებს გამოტოვებს. ამის მიზეზი ის არის, რომ 23 წლის ფეხბურთელმა ორშაბათს, "ნორვიჩთან" მატჩის დროს, ტრავმა მიიღო.

"მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელის კევინ კიგანის თქმით, რაით-ფილიპსი მოედანზე დაახლოებით ორი თვე ველარ გამოვა.

### "ასტონ ვილა" კიდევ ერთი ფორვარდის გარეშე დარჩა

გუშინ "ასტონ ვილას" თავდამსხმელმა ხუან პაბლო ანხელმა ვარჯიშის დროს მიიღო კოჭის ტრავმა, რომელიც შეიძლება სერიოზული აღმოჩნდეს. მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში ფეხბურთელს რენტგენს გადაუღებენ. მხოლოდ ამის შემდეგ დაისმევა ზუსტი დიაგნოზი.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ბირმინგემის კლუბმა მუხლის ტრავმის გამო კიდევ ერთი ფორვარდი - კარლტონ კოული დაკარგა.

"დანამდვილებით ვიცი, რომ ანხელი შაბათს, "მიდლსბოროსთან" მატჩში ვერ დაგვეხმარება. თუმცა, შეიძლება მან კიდევ რამდენიმე მატჩი გამოტოვოს," - განაცხადა "ასტონ ვილას" მთავარმა მწვრთნელმა დევიდ ო`ლირიმ.

ანხელის ტრავმა ძირითად შემადგენლობაში თამაშის შესაძლებლობას მისცემს ინგლისის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელს დარიუს ვესელს.

### ძებინას რომში დაბრუნების არ ეშინია

"იუვენტუსის" მცველმა ჯონათან ძებინამ განაცხადა, რომ ოდნავადაც არ ღელავს იმის გამო, რომ შაბათს რომის სტადიონ "ოლიმპიკოზე" თავისი ყოფილი გუნდის "რომას" წინააღმდეგ უწევს თამაში.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს იტალიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველ ემერსონთან და მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან ერთად "რომადან" "იუვენტუსში" გადავიდა.

ძებინა "რომას" გულშემატკივრებისგან მტრულ დახვედრას არ მოელის. პირიქით, იმედი აქვს, რომ "ოლიმპიკოზე" გატარებული ძველი მოგონებები "რომას" წინააღმდეგ თამაშში დაეხმარება.

"შეიძლება რომი მაინცდამაინც გულთბილად არ დაგვხვდეს. თუმცა, შევეცდებით ამას ყურადღება არ მოვაქციოთ, იმიტომ რომ ჩვენ პროფესიონალები ვართ. "რომასთან" უამრავი მოგონება მაკავშირებს. დიდი სიამოვნებით ჩამოვართმევ ხელს ძველ ნაცნობებს, რომლებიც, ამ შემთხვევაში, ჩემი მოწინააღმდეგეები იქნებიან", - განაცხადა ძებინამ.

### ბენიტესი ბაროშთან დასამშვიდობებლად მზადაა

ინგლისური კლუბის "ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ მზადაა სხვა კლუბს დაუთმოს ფორვარდი მილან ბაროში, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ უკმაყოფილება გამოხატა, რადგან გამოტოვა ინგლისის ლიგის თასის ფინალური მატჩი "ჩელსის" წინააღმდეგ. გარდა ამისა, სათადარიგოთა რიგებში ყოფნის მიზეზით "ლივერპულის" დატოვების სურვილიც გამოთქვა.

ფეხბურთი

# "დინამოდან" სალუქვაძეც მიდის

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ჩემპიონატის 22-ე ტურია. ქუთაისის "ტორპედო" თბილისის "დინამოს" უმასპინძლებს. თუმცა, სიტყვა "უმასპინძლებს" ცოტა უადგილოა. მე-20 ტურის მატჩი "ტორპედოსა" და "ზესტაფონს" შორის, რომელიც ქუთაისში გაიმართა, მაყურებლების მხრიდან ხულიგნური გამოხდომებით გამოირჩა. ამის გამო სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა ქუთაისელთა სტადიონი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და. ამის გამო "ტორპედო" "დინამოს" ლანჩხუთის სტადიონზე უმასპინძლებს.

ეს თამაში ყველა პარამეტრით საკვანძო და მთელი ჩემპიონატის მასშტაბით ცენტრალურია. ამჟამად "დინამო" 42 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, თუმცა, "ტორპედო" სულ ორი ქულით ჩამორჩება. ამ გუნდებს დანარჩენებთან შედარებით სოლიდური ჰანდიკაპი ჰქონდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ბოლო ორ ტურში ქულაც ვერ აიღეს, მათ უკვე წამოეწიათ "თბილისი" (40 ქულით). აღარც "ვიტ ჯორჯიაა" ძალიან შორს (35 ქულა). გამარჯვება არა მხოლოდ სატურნირო, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება როგორც ერთი, ისე მეორე გუნდისთვის.

სწორედ ასეთი პრინციპული თამაშის წინ თბილისის "დინამო" ამ გუნდის კიდევ ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მცველი ლაშა სალუქვაძე გუშინ გაემგზავრა ყაზანში. ამ ქალაქის კლუბის, რუსეთის პრემიერლიგის ბინადარი "რუბინისა" და "დინამოს" ხელმძღვანელები სიტყვიერად უკვე შეთანხმდნენ, ხოლო როდესაც გაზეთის ეს ნომერი გამოვა, შესაძლოა, სალუქვაძე უკვე "რუბინის" წევრი იყოს.

შეგახსენებთ იმ ფეხბურთელების ვინაობას, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ დატოვეს "დინამო". ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია და ლადო ბურდული ვლადიკავკაზის "ალანიაში" გადაბარგდნენ, ლადო ახალაია "ციურიხშია", ალექსანდრე გოგობერიშვილი - აზერბაიჯანის "ბაკიში", სანდრო იაშვილი - თბილისის "თბილისში". აქვე გავიხსენოთ კიევის "დინამოში" გადასული ალექსანდრე ამისულაშვილიც.

თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სამწლიანი პროგრამა აქვს შედგენილი და ამ ვადის გასვლის შემდეგ გუნდი საგრძნობ, რაც მთავარია, სტაბილურ წარმატებებს მიაღწევს საერთაშორისო სარბიელზე. ამ ფონზე კლუბის მიერ გატარებული სატრანსფერო პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი და აბსურდულია. ძალიან მინდა, ვცდებოდე, მაგრამ უკვე არსებული შედეგები საწინააღმდეგოზე მეტყველებს. სეზონის დაწყებიდან 4 ოფიციალურ მატჩში "დინამომ" სამი მარცხი განიცადა. მხოლოდ აუტსაიდერი "სიონი" დაამარცხა მინიმალური ანგარიშით. თასის ტურნირსაც პირველივე ეტაპზე დაემშვიდობა ("დინამო" მერვედფინალიდან ჩაება გათამაშებაში და ამ ეტაპს ვერ გასცდა - "ზესტაფონთან" ორრაუნდიან დაპირისპირებაში დამარცხდა).

რა თქმა უნდა, შეიძლება საუბარი იმაზეც, რომ "დინამომ" შევსებაც სოლიდური მიიღო, მაგრამ სანამ ეს ფეხბურთელები შეთამაშდებიან, სანამ ახალი გუნდი "შეიკვრება" და გზა გამოჩნდება, შესაძლოა, ურემიც გადაბრუნდეს.

თავისუფალი თემა

# ჰკა მაგას!

## გვჭირდება თუ არა მეთორმეტე ფეხბურთელი?

მიხეილ აბაიშვილი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლერი სიხარულიძე: "ქართულად ქომაგობა ვისწავლოთ".

2003 წლის 11 ივნისი. დუბლინი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. ეს თამაში, რომელიც მასპინძლების გამარჯვებით (2:0) დასრულდა, ფეხბურთის ყველა ქართველ ქომაგს კარგად ემახსოვრება. მე ამ მატჩს დავესწარი. მან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. თამაშის სანახაობრივ მხარეს არ ვგულისხმობ - ირლანდიისა და საქართველოს ნაკრების დაპირისპირება ესთეტიკური თვალსაზრისით მართლაც არაფრით გამოირჩა. მასპინძლებმა ეგრეთ წოდებული "მუშა ფეხბურთით", თავდაუზოგავი თამაშითა და მოედნის ყოველ გოჯზე გამართული ბრძოლით ქართველები აიძულეს, კაპიტულაცია გამოეცხადებინათ. შთაბეჭდილება კი მოახდინა გულშემატკივრობის ფანტასტიკურმა დონემ. უცხოეთში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით არაერთ თამაშს დავსწრებივარ. მინახავს დირიჟორს აყოლილი გერმანელი ფანების ქომაგობა, იტალიელი ტიფოზების მიერ ტრიბუნებზე მოწყობილი ფოიერვერკები, ძველ "უემბლიზე" ინგლისელი ფანების სიგიჟის თვითმხილველიც გახლავართ, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ: გულშემატკივრობის ირლანდიური კულტურა ყველა დანარჩენისგან გამორჩეული, აღმატებული და საუკეთესო გახლავთ. ძნელია სიტყვებით გადმოვცე ის ემოცია, რომელიც ირლანდიელთა გულშემატკივრობის გამო დამეუფლა, თუმცა, მაინც შევეცდები. თამაში დაიწყო თუ არა, სტადიონზე მოსული 45 ათასი გულშემატკივრისგან შემდგარმა არმიამ, რომელმაც ჯერ ორკესტრთან ერთად იმღერა ეროვნული ჰიმნი, უნისონში ეროვნული შეძახილების სკანდირება დაიწყო. შეძახილები ჰარმონიულად გადადიოდა სიმღერაში, ტაქტი და ტემპი ხან იკლებდა, ხან იმატებდა, მაგრამ ეს ცვლილებები სულაც არ იყო ქაოსური და უნებლიე. როგორც კი მოედანზე ვითარება სტუმრების სასარგებლოდ შეიცვლებოდა ან მცირე სათამაშო უპირატესობას ქართველი ფეხბურთელები დაეუფლებოდნენ, სკანდირება და სიმღერები აგრესიულ ხასიათს იძენდა, რომლის დამთრგუნველ ძალას ჩემს თავზე ვგრძნობდი. ეს აგრესია მასპინძელ ფეხბურთელებს აიძულებდა, დაღლილობის მიუხედავად, საკუთარ თავში ძალების დამატებითი რეზერვი გამოენახათ და მეტი თავდადებით ებრძოლათ. მეორე ტაიმში, როდესაც უკვე 2:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ, სიმღერებში საკარნავალო მოტივებიც გამოერია, თუმცა, ეს უფრო ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და ისევ ქომაგობის ისეთ მანერაში გადაიზრდებოდა, მკვდარსაც რომ გამოაცოცხლებდა და ხელახალ სიკვდილამდე ენერგიის გაღებას აიძულებდა. მსაჯის საფინალო სასტვენმა პირდაპირ იხსნა ირლანდიის ნაკრები - მინდვრის ათივე მოთამაშე იქვე დაჯდა თუ დაწვა, სადაც სასტვენმა მიუსწრო. თუმცა, ნახევარწუთიანი პაუზის შემდეგ მთელი გუნდი შეიკრიბა, რიგრიგობით მივიდა ოთხივე ტრიბუნასთან და გულწრფელი მადლობა გადაუხადა. სამადლობელი კი ნამდვილად იყო - საქართველოს ნაკრებზე გამარჯვებაში, მერწმუნეთ, ირლანდიელმა გულშემატკივრებმა არანაკლები წვლილი შეიტანეს, ვიდრე თავად ფეხბურთელებმა. იმის თქმაც დანამდვილებით შემიძლია, რომ 45-ათასიანი არმიის თითოეულმა წევრმა 90 წუთის განმავლობაში არანაკლები ენერგია და ემოცია დახარჯა, ვიდრე მოთამაშეებმა. აი ასე, სტრადიონის, გულშემატკივრებისა და ეროვნული ნაკრებისგან შემდგარმა ერთიანმა ორგანიზმმა ერთობლივი ძალებით გამოჭედა 3 ქულა.

სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით საქართველო ნამდვილი ბანანის რესპუბლიკაა. ჩვენთან გულშემატკივრობის უმაღლეს გამოვლინებად მეტოქე გუნდის გალანძღვა, ტრიბუნებიდან სხვადასხვა საგნების სროლა და ხშირად საკუთარი გუნდის სიტყვიერი შეურაცხყოფაა. გვქონია გამონაკლისებიც, მაგალითად, თუ საქართველო-რუსეთის მატჩს გავიხსენებთ, მაგრამ თუნდაც იმ შეხვედრაში ოდნავაც ვერ მივუახლოვდით გულშემატკივრობის იმ კულტურას, რომელიც, ვთქვათ, ბორისოვოს "ბატეს" გულშემატკივრებს გააჩნიათ. არადა, კარგი გულშემატკივრობა ფეხბურთის განვითარებისთვის ძალზე აუცილებელი კომპონენტია. გულშემატკივრობის მაღალი, ეროვნული კულტურის ჩამოყალიბების გარეშე ჩვენს საქომაგო გუნდებს, ეროვნული ნაკრები იქნება ის თუ თბილისის "დინამო" (ან რომელიმე სხვა კლუბი), ვაკლებთ იმ მთავარი, მეთორმეტე ფეხბურთელის მხარდაჭერას, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ გუნდზე მოქმედებს ყველაზე ძლიერი დოპინგივით, არამედ მეტოქესაც თრგუნავს და მსაჯებზეც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს. მაგრამ ეს კეთდება არა ტრიბუნებიდან დანებისა და ბოთლების სროლით, არამედ ცივილიზებული ფორმით.

იმისთვის, რომ ასეთი გულშემატკივრობა შევძლოთ, ბევრი უნდა ვისწავლოთ. სამწუხაროდ, გულშემატკივრობის დიდი ტრადიციებითაც ვერ დავიკვეხნით. ამიტომ, ნულიდან უნდა დავიწყოთ. თუმცა, რომ ვისწავლოთ, გვჭირდება კვალიფიციური მასწავლებელი. "24 საათი" დაინტერესებულ საზოგადოებას ამ თემაზე დისკუსიას სთავაზობს. პირველი, ვინც დისკუსიაში მონაწილეობის და, ერთგვარად, მასწავლებლის ფუნქციის შეთავსების სურვილი გამოთქვა, ცნობილი კინორეჟისორი და ქართული ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი, ბატონი ლერი სიხარულიძეა. იგი "24 საათის" რედაქციას ესტუმრა და ამ საკითხთან დაკავშირებით არა მხოლოდ თავისი მოსაზრება გამოთქვა, არამედ იმ პირველ ნაბიჯებზეც ისაუბრა, რომელიც ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას.

"ქომაგობა თანამედროვე რეალობაში სპორტის პარალელურ სახეობად გადაიქცა. დღევანდელი სპორტი და ფეხბურთი ორგანიზებული ქომაგობის გარეშე არა მხოლოდ წარმოუდგენელი, შეუძლებელიცაა. სადაც ეს კომპონენტი არ არსებობს ან არადამაკმაყოფილებელ დონეზეა, იქ სპორტული შედეგებიც შესაბამისია. პატარა მაგალითს გავიხსენებ. იტალიის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა "რომამ" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რის გამოც ლიგის საშინაო თამაშები მაყურებლების გარეშე ჩაატარა. ამის გამო "რომამ" არათუ ქულა ვერ აიღო ლიგაში, არამედ ეროვნულ ჩემპიონატშიც წარუმატებლად გამოდის და, პრაქტიკულად, მთელი სეზონი ჩაუვარდა", - მიაჩნია სიხარულიძეს.

"მთავარი, სტრატეგიული საკითხია ორგანიზებული ქომაგობა, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ეროვნულ კულტურაზე და ტრადიციებზე. რა თქმა უნდა, დროს არ უნდა ჩამოვრჩეთ - რაც პროგრესული იქნება, ჩვენც უნდა გადმოვიღოთ, მაგრამ ყველაფერ ეროვნულზე უარის თქმა და მხოლოდ უცხოელების მიბაძვა-თუთიყუშობა არ შეიძლება.

ქომაგობა დაფუძნებული უნდა იყოს აგრესიულ შეძახილებსა და სიმღერებზე, რომელთა ერთ ხმაში გაჟღერება შეიძლება. ავიღოთ შეძახილი "სა ქარ თვე ლო", რომელიც ყოველთვის გაისმის ჩვენს სტადიონზე ეროვნული ნაკრების თამაშის დროს. პირდაპირ გეტყვით - შეძახილის ასეთი დანაწევრება ძალიან ცუდია. ქართველებმა ისიც კი ვერ გავიგეთ, რომ შეძახილის ასე დანაწევრებით ეფექტს ოთხჯერ ვასუსტებთ. როგორ ფიქრობთ, პორტუგალიელი გულშემატკივრები შეძახილ "პორ ტუ გალ"-ს სამჯერ მარცვლავენ? თუ ახლახან ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე დააკვირდებოდით, იყო ერთიანი, დაუნაწევრებელი შეძახილი - "პორტუგალ", რომელიც დანაწევრებულზე გაცილებით აგრესიულია და მასპინძელ ფეხბურთელებსაც მუხლებში გაცილებით მეტ ძალას მატებდა. იგივე იქნება, თუ ჩვენც არ დავანაწევრებთ და ერთიანად ამოვიძახებთ "საქართველოს". იგივე შეიძლება ითქვას "დინამოზეც".

თუმცა, მარტო ამ შეძახილებით ფონს ვერ გავალთ. შესაძლოა, ვილაცას ამ სტრიქონების წაკითხვისას გაეცინოს კიდეც, მაგრამ ვინც ამ საქმეს ხელს მოკიდებს, დაცინვის არ უნდა შეეშინდეს. ქართველებს გვქონდა საბრძოლო შეძახილი "ჰკა მაგას". რატომ არ უნდა ავაღორძინოთ ეს მარტივი და დიდი აგრესიის შემცველი შეძახილი, რატომ არ უნდა გავაჟღეროთ სტადიონზე? ამ მუხტით, ერთი მხრივ, სტადიონი, ხოლო, მეორე მხრივ, შენი თერთმეტი ფეხბურთელი უნდა დამუხტო. წარმოიდგინეთ 30 ათასი გულშემატკივრის ამოძახებული "ჰკამაგას", რომელიც დიდ ენერგეტიკულ იმპულსს, დიდ აგრესიას შეიცავს და ორმხრივი ეფექტი ექნება - დამთრგუნველად იმოქმედებს მეტოქეზე, ხოლო შენს საქომაგო გუნდს ბრძოლის სურვილს, ენერგიას შემატებს. ეს იქნება ნამდვილი საბრძოლო ყიჟინა, ჩვენს სტადიონზე კი, სამწუხაროდ, ყიჟინის ნაცვლად ჟრიამულს ვისმენთ", - მიაჩნია სიხარულიძეს.

"ცალკე საუბრის თემაა სიმღერები. არსად იმდენი ლაშქრული და ნადური არ არსებობს, რამდენიც საქართველოში. ფოლკლორში, რამდენიც გნებავთ, იმდენი ისეთი სიმღერა გვაქვს, საქომაგოდ რომ ზედგამოჭრილია. მხოლოდ ერთი პრობლემაა - ქართული სიმღერა სამხმიანია, სტადიონზე კი ისეთი სიმღერებია საჭირო, რომელთა გაჟღერებაც უნისონში იქნება შესაძლებელი. თუმცა, არის გამოსავალიც. შესაძლებელია, პირველი და მეორე ხმა მუსიკალურმა ინსტრუმენტებმა იტვირთონ. მაგალითად, ლაშქრული "ქართველო, ხელი ხმალს იკარ". მე ეს სიმღერა ჩაწერილი მაქვს უნისონში, სადაც პირველ და მეორე ხმას სასულე საკრავები - ტრომბონი და საყვირი ცვლიან. მერწმუნეთ, ძალიან კარგი ეფექტი მიიღება და ზედგამოჭრილია სტადიონისთვის. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, მესმის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, გულშემატკივრები მიიყვანო ამ სიმღერებისა და შეძახილების შემსწავლელ კურსებზე, დასვა და რეპეტიციები ჩაატარო. ამიტომ, ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ "ბრძოლის ველზე" - სტადიონზე მოხერხდეს "აი იას" შესწავლა. ამაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა დამეხმაროს და შესაბამის სამსახურთან მიშუამდგომლოს. პირველი ნაბიჯის გადასადგმელად საკმარისი იქნება 500 სამხედრო მოსამსახურე, რომლებთანაც რეპეტიციების ჩატარების საშუალება მომეცემა. აგრეთვე, ორი ტრომბონისტი და ორიც საყვირი. მერწმუნეთ, სულ ორი კვირა იქნება საკმარისი, რათა ამ ხალხმა შეისწავლოს ეს სიმღერები და შეძახილები, რისი წყალობითაც ქართველი გულშემატკივარი აბსოლუტურად განსხვავებულ და თანამედროვე მოთხოვნების გულშემატკივრობის კულტურას იხილავს. ამ 500 ნასწავლ გულშემატკივარზე აყოლა და ახალი სტილის დაუფლება კი თავისთავად, ძალდაუტენებლად მოხდება", - ასეთი გახლავთ ბატონ სიხარულიძის რეცეპტი, რისი განხორციელებაც, წესით, დიდ სირთულეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ბატონმა ლერიმ გამიმხილა, რომ ამ თემაზე ესაუბრა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას, რომელსაც მოსწონებია იდეა. ამ წამოწყებაში დახმარებას შეჰპირებია კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი.

თქვენ რას ფიქრობთ? თითქოს მართლაც ცუდად არ ჟღერს - "ჰკა მაგას!".

ინფორმაცია

### ლიუ ჩხუბისთვის დასაჯეს

ამას წინათ "ატლანტა ჰოქსმა" "გოლდენ სტეიტთან" შეხვედრაში იმაზე მეტი განიცადა, ვიდრე უბრალოდ წაგებაა. გუნდმა თავისი ძირითადი გამთამაშებელი ტაირონ ლიუ დაკარგა. გუშინ კი NBA-ის ვიცე-პრეზიდენტმა საკალათბურთო ოპერაციების საკითხებში სტიუ ჯექსონმა განაცხადა, რომ მოთამაშე ედუარდო ნახერას დარტყმისთვის მომდევნო მატჩს გამოტოვებს.

მატჩის დამთავრებამდე დაახლოებით ექვსი წუთით ადრე 183 სანტიმეტრი სიმაღლის ლიუმ დაარტყა მასზე 20 სანტიმეტრით მაღალ მეტოქეს. ნახერამ "ატლანტას" კალათბურთელს ბურთი წაართვა. ეს კი ლიუს არ მოეწონა. მცველმა ორჯერ დაარტყა მეტოქეს და მყისვე მოედნიდან მიაბრძანეს. ლიუს გუნდი ანგარიშში მეტოქეს უკვე ძალიან ჩამორჩებოდა და ამ ინციდენტმა თამაშის მსვლელობაზე გავლენა ვერ მოახდინა - 97:74.

"ამ პატარასთან ჩხუბში ხომ არ ჩავერეოდი? - უთხრა ჟურნალისტებს მექსიკელმა ფორვარდმა. - ეს ხომ უსამართლობა იქნებოდა".

ლიუმ კი თამაშის შემდეგ კომენტარისგან თავი შეიკავა. ამ გამოხდომამ "ატლანტა" "იუტელ ჯაზმენებთან" მატჩში თავისი ძირითადი გამთამაშებლის გარეშე დატოვა.

### ფიშერი ისლანდიაში მომავალ კვირაში გაემგზავრება

მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი ჭადრაკში ბობი ფიშერი, რომელიც ამჟამად იაპონიაში არალეგალური ემიგრანტებისთვის განკუთვნილ ციხეში იმყოფება, შეიძლება უკვე მომავალ კვირაში გათავისუფლდეს და ისლანდიაში გამგზავრების უფლება მიიღოს. ამ ქვეყნის მოქალაქეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ფიშერს მოქალაქეობა უბოძონ. ასეთი განცხადება გააკეთეს რეიკიავიკიდან იაპონიაში პარასკევს ჩასულმა დელეგაციის წევრებმა.

ფიშერის უახლოესი მეგობარი ქალი მიოკო ვატაი იმედოვნებს, რომ თავის დაბადების დღეს - 9 მარტს ფიშერი იაპონიის ფარგლებს გარეთ შეხვდება. მან განაცხადა, რომ პატიმრობის პერიოდში ფიშერმა 10 კგ. დაიკლო.

შეგახსენებთ, რომ დიდოსტატი იაპონიის ნარიტას აეროპორტში შარშან ივლისში დააკავეს. ფიშერის გადაცემას აშშ მოითხოვს, სადაც დიდოსტატს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის. 1992 წელს ფიშერმა იუგოსლავიის წინააღმდეგ მიმართული აშშ-ის სანქციები დაარღვია და ბელგრადში ბორის სპასკისთან მატჩი გამართა.

### დელ ნერის "პორტუს" მცველის ყიდვა სურს

"რომას" მთავარ მწვრთნელს ლუიჯი დელ ნერის "პორტუს" 22 წლის ბრაზილიელი მცველის პეპეს შეძენა უნდა.

"რომა" ტრაიანოს დელასის შემცვლელს ეძებს. მას კლუბში თამაშის გაგრძელება აღარ უნდა. კონტრაქტი ივნისში იწურება.

### "იუვენტუსი" შეიძლება ტიტულებს გამოემშვიდობოს

მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაამტკიცა, რომ 1994-1998 წლებში იტალიური გუნდის "იუვენტუსის" ექიმი ფეხბურთელებს აკრძალული პრეპარატებით ამხნევებდა, შესაძლოა, კლუბი ამ წლებში მოპოვებულ ტიტულებს გამოემშვიდობოს.

გასულ წელს ექიმმა რიკარდო აგრიკოლამ ამ საქმის გამო ორწლიანი პირობითი სასჯელი მიიღო.

მიმდინარე კვირის დასაწყისში გამოქვეყნდა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც საქმის დეტალები იყო განხილული. სასამართლო იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ აგრიკოლა ფეხბურთელების კონდიციის ასამაღლებლად ყველაფერს აკეთებდა.

1994-1998 წლებში "იუვენტუსი" სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თითოჯერ - ჩემპიონთა ლიგის, ევროპის სუპერლიგისა და იტალიის თასის მფლობელი.

იტალიის ფეხბურთის ასოციაციამ განაცხადა, რომ ამ საქმეს ქვეყნის დოპინგსაწინააღმდეგო კამპანიასთან ერთად განიხილავს. უეფას წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს, რომ საბოლოო დასკვნის გაკეთებამდე "იუვენტუსის" წინააღმდეგ არც ერთი ნაბიჯის გადადგმას არ აპირებს.

არც 1996 წელს ჩემპიონთა ფინალში "იუვენტუსის" მიერ დამარცხებული და არც იტალიის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში "სადავო პერიოდში" ორჯერ დამარცხებული "პარმა" ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

აგრიკოლას ადვოკატებმა სასამართლოს გადაწყვეტილება გააპროტესტეს, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კი განაცხადა: "ჩვენ არაფრის გვეშინია, რადგან საკუთარ უდანაშაულობაში ვართ დარწმუნებულები".

მიშელ პლატინი, რომელმაც "იუვენტუსის" შემადგენლობაში ხუთი წელი გაატარა, ვარაუდობს, რომ 1990-იან წლებში კლუბში დოპინგის მიღების პრაქტიკა რომ ყოფილიყო დანერგილი, ფეხბურთელებს აუცილებლად ეცოდინებოდათ.

"ეს სალეჭი რეზინი არაა. დოპინგი სექსივითაა - მის მისაღებად ექიმი და ათლეტია საჭიროა," - განაცხადა პლატინიმ.

ფეხბურთი

# გაბრიელ ბატისტუტა: „დასასრულამდე ჯერ ადრეა„

**გაბრიელ ბატისტუტა**
**დაიბადა:** 1969 წლის 1 თებერვალს
**თავდამსხმელი**
**სიმაღლე:** 185სმ
**წონა:** 73კგ
**კლუბები:** "ნიუელს ოლდ ბოიზი" (როსარიო, არგენტინა, 1988-89), "რივერ პლეიტი" (ბუენოს აირესი, არგენტინა, 1989-90), "ბოკა ხუნიორსი" (ბუენოს აირესი, არგენტინა, 1990-91), "ფიორენტინა" (ფლორენცია, იტალია, 1991-2000), "რომა" (რომი, იტალია, 2001-2003), "ინტერი" (მილანი, იტალია, 2003), "ალ არაბი" (დოჰა, ყატარი, 2004-)
**ტიტულები:** არგენტინის ჩემპიონი - 1990, იტალიის ჩემპიონი - 2001, იტალიის სერია ბ-ს ჩემპიონი - 1996, იტალიის თასი - 1996, იტალიის სუპერთასი - 1996, 2001, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი - 1991, 1993, ფიფას კონფედერაციათა თასი - 1992, არტემიო ფრანკის თასი - 1993, არგენტინის საუკეთესო ფეხბურთელი (ჟურნალისტთა ასოციაცია) - 1998, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი ("ელ მუნდო") - 1991, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი - 1991, იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 1995 (26 გოლი), იტალიის თასის გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი - 1996 (8 გოლი), ყატარის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 2004 (25 გოლი), სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 1991 (6 გოლი), 1995 (4 გოლი), ფიფას კონფედერაციათა თასის საუკეთესო ბომბარდირი - 1992 (2 გოლი), არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი - 56 გოლი. არგენტინის ნაკრებში ჩატარებულ 78 მატჩში გაიტანა 56 გოლი.

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა გაბრიელ ბატისტუტამ კარიერის დიდი ნაწილი იტალიის სერია ა-ში გაატარა, სადაც სამი კლუბის: "ფიორენტინას", "რომას" და "ინტერის" ღირსებას იცავდა.

არგენტინელმა ბომბარდირმა გულშემატკივრებს ლამაზი და შედეგიანი თამაშით დაამახსოვრა თავი, თუმცა, ბოლო წლებში ის ქომაგთა თვალთახედვიდან გაქრა - ბატისტუტა ყატარის ჩემპიონატში თამაშობს, ამ ქვეყნის პირველობას კი, გასაგები მიზეზების გამო, დიდი ყურადღება ვერ ექცევა.

გასული წლის ზაფხულში "ალ არაბის" ფორვარდმა ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვე გაუცდა, თუმცა, ორიოდე კვირის წინ თამაში განაახლა.

პოპულარული იტალიური ჟურნალის "გუერინ სპორტივოს" ჟურნალისტები არგენტინელს ერთ-ერთი ბოლო თამაშის შემდეგ გაესაუბრნენ.

**- მტკივანი მუხლის გამო რამდენიმე თვე გაგიცდათ, თუმცა, ფეხბურთს მაინც დაუბრუნდით. ტრავმამოშუშებულმა ბოლო შეხვედრებში არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეთ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ორი პენალტი გააფუჭეთ. როგორ ფიქრობთ, როგორც ბომბარდირმა შესაძლებლობები ამოწურეთ?**

- არა, ვერ დაგეთანხმებით. უბრალოდ, ტრავმამ და უსაშველოდ გაწელილმა სარეაბილიტაციო პერიოდმა ჩემს თამაშს დაღი დაასვა. მინდორთან ხელახლა მიწევს შეჩვევა და, ცხადია, დაკარგულს უცებ ვერ დავიბრუნებ. ვიმედოვნებ, მცირე ხნის შემდეგ ძველებურად ავთამაშდები. მთავარია, რომ საგოლე ალღო არ დამიკარგავს. გოლები კი აუცილებლად მოვა!

**- მას შემდეგ, რაც ოპერაცია გაიკეთეთ, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ყატარს ტოვებდით...**

- არა, არ ვაპირებ. "ალ არაბისთან" კონტრაქტი ჯერ არ მეწურება და არათუ ქვეყნის, კლუბის გამოცვლასაც არ ვგეგმავ.

**- სარეაბილიტაციო პერიოდის დიდი ნაწილი სამშობლოში გაატარეთ, თანაც, "სან ლორენსოს" პირველ გუნდთან ერთად. გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ აპირებთ, კარიერა სამშობლოში დაასრულოთ. ამაზე რას იტყვით?**

- "სან ლორენსოში" ვარჯიში ჩემს მომავალ გეგმებს ნამდვილად არ უკავშირდება. სამშობლოში "ალ არაბის" ხელმძღვანელთა ნებართვით გავემგზავრე - ყატარში მაინც ვერ ვითამაშებდი და არგენტინაში ყოფნა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის უკეთესი იქნებოდა. რაც შეეხება იმას, თუ სად დავასრულებ კარიერას, ამაზე ჯერ არ ვფიქრობ, მაგრამ არც არგენტინის ვარიანტს გამოვრიცხავ. თუმცა, ჯობს, არ ვიჩქარო. დასასრულამდე ჯერ ადრეა!

**- ალბათ, შეიტყობდით, რომ "ფიორენტინას" ხელმძღვანელობას სურდა თქვენი მიწვევა...**

- მართალია, მაგრამ ტრანსფერი ვერ შედგა. ერთი მხრივ, არ მაკმაყოფილებდა კლუბის მიერ შემოთავაზებული პირობა, მეორეც - ყატარში თავს კარგად ვგრძნობ, ჩემი ოჯახიც ბედნიერია და, თანაც, მგონი უადგილო იქნებოდა სერია ა-ში ჩემი დაბრუნება. სხვათა შორის, ჩემი მესამე შვილი ყატარში დაიბადა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ამ ქვეყნის დატოვება ჩემი ოჯახის უახლოეს გეგმებში არ შედის!

**- გეშინიათ, რომ ფლორენციელ გულშემატკივართა იმედს ვერ გაამართლებთ?**

- არა, ეს არაფერ შუაშია. მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ჩემი ასაკის ფეხბურთელი რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ სერია ა-ს არ უნდა უბრუნდებოდეს. იტალიის ჩემპიონატი ჯან-ღონით სავსე ბიჭების პირველობაა და იქ ბებრუხანებს არაფერი ესაქმებათ.

**- მაგრამ პაოლო მალდინი? 36 წლისაა და უმაღლეს დონეზე ჩინებულად თამაშობს!**

- მერე ვინ ამბობს, რომ პაოლო ბებერია? თუ ფიზიკურად თავს კარგად გრძნობ და თამაშის სურვილიც გაქვს, ესე იგი, ახალგაზრდა ხარ. ასაკს რა მნიშვნელობა აქვს? გულახდილად მითხარით, რომელი ახალგაზრდა მცველი სჯობს მალდინის? ცხადია, არც ერთი! პაოლო გამონაკლისია. ის მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიმაჩნია. თანაც, ჩემგან განსხვავებით, მას სერია ა-ში თამაში არასდროს შეუწყვეტია.

**- "ფიორენტინაში" არაერთი ბრწყინვალე წელიწადი გაატარეთ. არ გენატრებათ ფლორენცია?**

- ძალიან! იქაურობა უზომოდ მიყვარს: ულამაზესი ქალაქი, ერთგული გულშემატკივარი, საყვარელი კლუბი, მშვენიერი სტადიონი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაუვიწყარი წლები, რომელიც მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება! მოდი და ამის შემდეგ თქვი, რომ ფლორენცია არ გენატრება! თუ მე დღეს ცნობილი ფეხბურთელი ვარ და რაიმეს წარმოვადგენ, ამაში უდიდესი წვლილი "ფიორენტინას" მიუძღვის, კლუბს, რომელმაც ყველაფერი მომცა!

**- თავის დროზე "ფიორენტინას" სერია ბ-შიც გადაჰყევით. თქვენს ნაბიჯს ტიფოზებმა გმირული უწოდეს...**

- სხვანაირად არ შემეძლო - კლუბი უზომოდ მიყვარდა და ვგრძნობდი, რომ თუ გუნდს გამოვიცვლიდი, ათიათასობით ადამიანს ვუღალატებდი. ასე არაფრით არ მოვიქცეოდი.

**- მაგრამ წლების შემდეგ ფლორენციას მაინც უგანეთ - "რომას" წინადადებაზე უარი ვერ თქვით?**

- ვფიქრობ, "ფიორენტინას" გულშემატკივრებმა გამიგეს - ძალიან მსურდა სკუდეტოს მოგება. იმედი მქონდა, რომ ამას საყვარელ კლუბთან ერთად შევძლებდი, მაგრამ საშველი არ დაადგა. თანაც, თუ გახსოვთ, ჩემს წასვლამდე კლუბი ფინანსურ სკანდალში გაეხვა და მივხვდი, რომ ფლორენციაში ოცნებას ვერ ავისრულებდი. "რომამ" კი მართლაც შესანიშნავი პირობებით მომმართა და, ცხადია, უარი ვერ ვთქვი. მიხარია, რომ ამ კლუბთან ერთად მაინც მოვიგე იტალიის ჩემპიონატი!

**- მერე იყო "ინტერი"...**

- ახლა რომ ვიხსენებ, მილანში გადასვლა შეცდომა იყო. ჯობდა, "რომადან" პირდაპირ ყატარში წავსულიყავი - აქაურები ჯერ კიდევ მაშინ შემეხმიანნენ, მაგრამ არ ავჩქარდი...

**- თქვენთვის ყატარის ჩემპიონატი ბოლო გამოწვევაა?**

- ალბათ, არა. აკი გითხარით, კარიერის დასრულებაზე არ ვფიქრობ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ყატარში ძირითადად ასაკოვანი ვარსკვლავები თამაშობენ, აქ კარიერა მხოლოდ შტეფან ეფენბერგმა და მარიო ბასლერმა დაასრულეს. დე ბურები, დესაი, კანიჯა, გვარდიოლა, ფერერი, ლებეფი, მე და კიდევ არაერთი ცნობილი ვეტერანი ისევ აგრძელებს თამაშს. ფერნანდო იეროს მაგალითი ავიღოთ - ერთი წელიწადი ითამაშა ყატარში და ახლა ინგლისის პრემიერლიგაშია! ასე რომ, აქაურობას ბოლო ნავსაყუდლად ნუ ჩავთვლით.

**- ეფენბერგი ახსენეთ და აქვე გკითხავთ - ხომ არ გიჭირთ მის გარეშე? გასულ სეზონში მასთან ერთად შესანიშნავად თამაშობდით, გოლების დიდი ნაწილი სწორედ შტეფანის პასებით შეაგდეთ...**

- მისი წასვლა კლუბს აშკარად დაეტყო - შუა ხაზში ძალიან გაგვიჭირდა. ეფენბერგი დიდებული გამთამაშებელი იყო და ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ. მასთან ერთად ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ვთამაშობდი "ფიორენტინაში" და იმთავითვე აღფრთოვანებული ვიყავი მისით! ყატარში თამაშს ძალიან მიადვილებდა, თუმცა, რა გაეწყობა? ცხოვრება გრძელდება!

**- ევროპიდან წამოსულმა პროფესიონალებმა საერთო ენა ადვილად გამონახეთ?**

- რა თქმა უნდა! ბებერ კონტინენტზე, ასე თუ ისე, ვიცნობდით ერთმანეთს. აქ კი ხშირად ერთად ვართ, გოლფს ვთამაშობთ. მაგალითად მე, ხოსეპ გვარდიოლა და ფრანკ ლებეფი თავისუფალ დღეებს თითქმის სულ ერთად ვატარებთ - ამინდი ხელ გვიწყობს და თანაც, სამივეს ძალიან გვიყვარს გოლფის თამაში!

**- როგორ ფიქრობთ, ყატარის კლუბებმა ბებერი ვარსკვლავები მხოლოდ ფულით მოხიბლეს?**

- მომგებიანმა ფინანსურმა წინადადებამ რომ დიდი როლი ითამაშა, ვფიქრობ, ეს აშკარაა. აქაური კლუბები გვარიან თანხას იხდიან, რათა ვარსკვლავები მიიზიდონ. ევროპაში ორ-ორნახევარ მილიონ დოლარს ჩვენი ასაკის მოთამაშეებს არავინ გადაუხდის. აქ კი სხვანაირად ფიქრობენ. კაცმა რომ თქვას, გასაკვირი არაფერია - სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებისთვის ყოველწლიურად ას მილიონ დოლარს ხარჯავს! გარდა იმისა, რომ ფინანსურად შესანიშნავი წინადადებები შემოგვთავაზეს, იყო კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი - ყველა ჩვენგანს კარიერის გაგრძელება სურდა, ყატარის ჩემპიონატი კი საამისოდ მისწრება იყო. ევროპული პირველობებისგან განსხვავებით, ნაკლებ ძალას ითხოვს და ჩვენთვის ნამდვილად მისაღებია.

**- "ალ არაბის" გერმანელი მწვრთნელი ვოლფგანგ სიდკა წვრთნის. როგორი ურთიერთობა გაქვთ მასთან?**

- შესანიშნავი! ბრწყინვალედ გვესმის ერთმანეთის. მან კარგად იცის, რა შემიძლია. ერთი სიტყვით, ჩვენს შორის სრული ჰარმონიაა!

**- დაბოლოს: გასულ სეზონში 25 გოლი გაიტანეთ და ყატარის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიგეთ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ჯილდო?**

- ყველა პრიზი და ტიტული, რომელიც ოდესმე მომიგია, ჩემთვის ღირებულია, მაგრამ ინდივიდუალურზე მეტად გუნდური ჯილდოები მახარებს. ამიტომაც სიამოვნებით გავცვლიდი ბომბარდირის ტიტულს ჩემპიონისაზე. თუმცა, იმედია, ამ სეზონში ბომბარდირობას შევინარჩუნებ და ჩემპიონიც გავხდები!

*მოამზადა ლაშა გოდუაძემ*



ფორმულა 1

# ავსტრალიაში საჭვავის სუნი ტრიალებს

*სამეფო რბოლები დაიწყო. სპორტის უსწრაფესი და სულისშემძვრელი სახეობა საქმეს შეუდგა, ხვალ კი "ავსტრალიის დიდი პრიზი" გახურდება - ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ოთხშაბათს მელბურნის ქუჩებში "დიდი პრიზების" მონაწილეთა ერთგვარი აღლუმიც შედგა, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე დღეები, საათები რჩებოდა. თუმცა, იგივე აღლუმს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. საჯინიბოთა აღლუმი ავსტრალიური ეტაპის 10 წლის იუბილეს აღმნიშვნელიც იყო. სანახაობამ 150 ათასი ცნობისმოყვარე მიიზიდა, ხვალ კი მათ ბევრად უფრო საინტერესო რამ ელით. მისი ხილვის საშუალება ტელეეთერით ფორმულა 1-ის ყველა მოყვარულს ექნება.*

გიგა გურასაშვილი

როგორი იქნება 2005 წლის სამეფო რბოლები? ესაა უმთავრესი კითხვა, რომელიც, ალბათ, ყველაზე ხშირად გაისმის. ხომ არ იქნება ერთფეროვანი? - ესეც საინტერესოა. მსგავსი კითხვები მას შემდეგ დაისმის, რაც "ფერარის" გერმანელი მრბოლი მიხაელ შუმახერი უმთავრეს ტიტულთან არავის აჭაჭანებს და ასპარეზობებს სპორტის მთავარ ღირსებას - ინტრიგას ართმევს. მიხაელის დასამუხრუჭებლად არაერთი ნაბიჯი გადაიდგა - თავდაყირა დაყენებული კვალიფიკაციებითა თუ ბოლიდთა პარამეტრების შეცვლით, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. სკუდერიელებმა შარშან კონსტრუქტორთა ჩათვლა მოიგეს და პირად პირველობაშიც პირველი-მეორე საფეხურები მათ მრბოლებს - შუმახერსა და რუბენს ბარიკელოს დარჩათ.

ახალი სეზონი ახალი წესებით იწყება. ამჯერად ცვლილებები ეხება არამარტო სიჩქარის დაგდებასა და უსაფრთხოების ნორმების გაზრდას, არამედ ფინანსური ხარჯების შემცირებასაც. სარბოლო სეზონზე ტესტების შემცირება ერთ-ერთი პოპულარული საკითხია, რომლის იდეაც ფორმულა 1-ის იმპრესარიოს ბერნი ეკლსტოუნს გაუჩნდა. კერძოდ, ეკლსტოუნს სურს, რომ საჯინიბოებმა ტესტები ორშაბათობით - სარბოლო უიკ-ენდის შემდეგ ჩაატარონ. მიზეზი კი ისაა, რომ ფინანსურად შეჭირვებულ საჯინიბოებს აღარ დასჭირდებათ ყოველ კვირას 50 ადამიანის გაგზავნა ბარსელონაში და კიდევ ვინ იცის, სად არა. რბოლის დამთავრების შემდეგ იქვე ჩაატარებენ ტესტებს და გაერკვევიან, კვირის რბოლაში რეალურად შეეძლოთ თუ არა უკეთ ასპარეზობა.

თანხების დაზოგვისკენაა მიმართული ისიც, რომ ბოლიდთა ძრავები ყოველ მეორე რბოლაში შეიცვლება. მას, ვინც ახალ წესებს არ დაემორჩილება, რეგლამენტის თანახმად, სასტარტო ხაზზე ათი საფეხურით ჩამოაქვეითებენ. თითოეულ მრბოლს ერთ სარბოლო უიკ-ენდზე მხოლოდ სამი წყვილი საბურავი ექნება, რომელთა გამოცვლა დიდი პრიზის მიმდინარეობისას მხოლოდ საბურავის გასკდომის შემთხვევაში იქნება დასაშვები. ცვლილებები ეხება აეროდინამიკასაც. ბოლიდთა სიჩქარე დაიკლებს, რაც უსაფრთხოების ნორმებს გაზრდის.

სიახლეებმა თავსატეხი გაუჩინა იტალიურ საჯინიბოს "მინარდის", რომელმაც, 2005 წლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, ბოლიდის აღკაზმვა ვერ მოასწრო და, შესაძლოა, "ავსტრალიის დიდი პრიზის" მიღმაც აღმოჩნდეს.

"მინარდის" ხელმძღვანელობამ ფორმულა 1-ის მონაწილე გუნდებს სთხოვა, ახალ სეზონში ძველი კონფიგურაციის ბოლიდით ასპარეზობის საშუალება მოგვეცითო. იტალიური საჯინიბოსთვის მწვანე შუქის ასანთებად ცხრავე გუნდის თანხმობა იყო საჭირო, მაგრამ... მათ წინააღმდეგ თანამემამულე გუნდი - "ფერარი" წავიდა. ეს მაშინ, როცა "მინარდი" ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა სკუდერიას. თუმცა, მოგვიანებით "ფერარიც" დაყაბულდა აუტსაიდერთა თხოვნას.

მართალია, "მინარდის" ბოლიდს დღეს ანუ შაბათის კვალიფიკაციაში ასპარეზობის უფლება მიეცა, მაგრამ ბოლომდე მაინც არაა გარკვეული, ხელმოკლე იტალიელები გავლენ თუ არა სტარტზე მეორე კვალიფიკაციაზე, მერე კი - "დიდ პრიზზე".

ყოველ შემთხვევაში, "მინარდის" საკითხი დღეს უნდა გაირკვეს. განაჩენიც დღესვე გახდება ცნობილი.

რაც შეეხება გუშინდელ ორ სავარჯიშო სესიას, მასში არ უასპარეზია "მინარდის", ხოლო უკეთესი შედეგი მაკლარენელებს აღმოაჩნდათ. "მაკლარენ-მერსედესის" სამივე მრბოლმა ხუთ საუკეთესოს შორის დაიკავა ადგილი. მიხაელ შუმახერმა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის მერვე ტიტულს უწინასწარმეტყველებენ, 15 წრე გააკეთა და მეოთხე შედეგი აჩვენა.

საინტერესოა თავად მიხაელის წინასასეზონო პროგნოზიც: "დიახ ჩვენ კონკურენტუნარიანები ვიქნებით, მაგრამ დომინანტები - ალბათ არა...

შარშან ახალი და ძალიან სწრაფი მანქანა გვყავდა. წლეულს ძველი მანქანით ვიასპარეზებთ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, ბევრი ისურვებდა ასეთ მანქანასთან მუშაობას. გვეყოლება ახალი ბოლიდიც, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ასევე სწრაფი იქნება".

მიუხედავად იმისა, რომ "ფერარი" ზამთრის ტესტებზე შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სკუდერიამ პოზიციები დათმოს. რაც შეეხება იტალიელთა მეტოქეებს, ასეთად BAR, "უილიამსი", "რენო" და "მაკლარენი" უნდა მივიჩნიოთ, რაც თავად მიხაელსაც არაერთხელ აღუნიშნავს.

და კიდევ, 2005 წელი სადებიუტო იქნება თურქეთისთვის, რომელიც "დიდ პრიზს" 21 აგვისტოს უმასპინძლებს. 19 ეტაპისგან შემდგარი მსოფლიო ჩემპიონატი კი შარშანდელი დებიუტანტით - "შანხაის დიდ პრიზით" (16 ოქტომბერი) დამთავრდება.

ბოულინგი

# ქართული ბოულინგი 6 წლისაა

მაკო ჭაოშვილი
სპეციალურად 24 საათისთვის

რა ხანია, აღარ გვისაუბრია ბოულინგის შესახებ. არადა, თქვენ კარგად იცით, რომ ნამდვილად კეგლის დროა. მით უმეტეს, როცა გადაღლილი ხართ სამსახურის თუ პირადი საქმეებით, ფიზიკურ-ემოციური განტვირთვა კი ასე ძალიან მოუხდება თქვენს სულიერ განწყობას. ისიც გემახსოვრებათ, რომ ბოულინგცენტრი ოჯახურ-მეგობრულ ატმოსფეროში გართობის საოცარი საშუალებაა; ამასთან, წვეულებებისა თუ კორპორაციული შეხვედრებისთვისაც ზედგამოჭრილია, თუკი გადაწყვეტთ, რომ გემრიელ სადილს ან ვახშამს აქტიური დასვენება შეუხამოთ. მოკლედ, ბოულინგის დემოკრატიული ბუნება ასეთი შესაძლებლობებით განებივრებთ. თანაც, ასაკს, სქესსა თუ ფიზიკური მომზადების დონეს მნიშვნელობა არა აქვს. ბოულინგით ყველა თანაბრად ერთობა, ერთნაირად ხალისობს დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი. ერთი სიტყვით, სპორტული მონაცემები არაფერ შუაშია. მთავარია, თქვენი მონდომება და ბოულინგის თამაშის სურვილი. იმასაც შეგახსენებთ, რომ რეიტინგის ასამაღლებლად გამოცდილი ინსტრუქტორები დაგეხმარებიან.

ეს ყველაფერი ზოგადად, რაც შეიძლებოდა გვეთქვა. უფრო კონკრეტულად კი დავამატებდი, რომ უკვე ექვსი წელიწადია, ბოულინგცენტრი სასიამოვნო დროსტარებისთვის გიხმობთ, ანუ 5 მარტს ქართული ბოულინგი 6 წლის გახდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კლუბის ხელმძღვანელობამ ჯი ემ სი ჯგუფის ინიციატივით გადაწყვიტა სხვადასხვა ღონისძიებები გამართოს.

პირველ რიგში ეს იქნება სარვამარტო საჩუქარი ქალბატონებისთვის. ამ დღეს მათ განახევრებული ტარიფით შეეძლებათ ბოულინგით გართობა. იმედია, მამაკაცები არ გაგვიბრაზდებიან და რაინდული ჟესტით გამოხატავენ თავიანთ მოწიწებას ასეთი გადაწყვეტილების მიმართ.



ბოულინგ-ცენტრი 6 წლის იუბილეს ზეიმობს.

ვფიქრობ, მომდევნო ინფორმაცია გაცილებით საინტერესოა. მარტის ბოლოს იგეგმება კოკა-კოლას ტურნირი უამრავი პრიზით და სიურპრიზით. ტურნირის ანონსი გაზეთ "24 საათის" გარდა რადიო "იმედისა" და "ევროპა-პლუსის" ეთერით გაკეთდება. ამიტომ ყურადღებით მიადევნეთ თვალი გაზეთ "24 საათს" და მოუსმინეთ რადიორეკლამებს. ტურნირში მონაწილეობის დეტალებს და სხვა დამატებით ცნობებს ამ სპორტული ასპარეზობის შესახებ უშუალოდ კლუბშიც შეიტყობთ. წინასწარ კი გაგიმხელთ, რომ თავისი მასშტაბურობით ეს ტურნირი არ ჩამოუვარდება ადრინდელებს. თავდადებულ ბოულერებს დღესაც ახსოვთ კომპანია ბრითიშ ემერიქენ თობაქოს მიერ მოწყობილი გრანდიოზული შეჯიბრება LUCKY STRIKE OPEN საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდით. ასევე კლუბის ისტორიას შემორჩა პროფესიონალთა დონეზე გამართული საქართველოს ღია ჩემპიონატი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქოლგეით-პალმოლივის ეგიდით გამართულ ბოულინგის სამოყვარულო შეჯიბრებებზე.

ასე იყო და ასე გაგრძელდება. ბოულინგცენტრი ტრადიციას არც ამჯერად უღალატებს და კიდევ მრავალი სპორტული აქციით გაგვახარებს. მე კი გპირდებით, რომ ბოულინგის მიმდინარე მოვლენებს საგულდაგულოდ გავაშუქებ საგანგებოდ თქვენთვის.

ალბათ თქვენც ჩაერთვებით ამ ასპარეზობებში. ჩვენი მხრიდან გულშემატკივრობა "24 საათის" ერთგული მკითხველებისთვის უდავოდ გარანტირებულია. თუმცა, ოვაციებსა და ომახიან შეძახილებს არც სხვა მოთამაშეებს მოვაკლებთ, თუ მათი შედეგი სარეკორდო იქნება. ბოულინგი ხომ სპორტის ერთ-ერთი სახეობაა და, ნებისმიერი სახეობის მსგავსად, მასაც ღირსეული მხარდაჭერა სჭირდება. აბა სხვანაირად როგორ იქნება?!

დაელოდეთ შემდგომ პუბლიკაციას ბოულინგური ამბების შესახებ.

ინფოთეკა

### უოკერი რვა ნომრით ითამაშებს

ანტუან უოკერი, რომელიც "ბოსტონ სელტიკსს" ახლახან დაუბრუნდა, კვლავ თავისი საყვარელი მერვე ნომრით ითამაშებს. გუნდის ახალბედა ელ ჯეფერსონმა კი, რომელმაც გუნდში მისვლისას მერვე ნომერი აირჩია, ექსკაპიტან უოკერს "რვიანი" ნებაყოფლობით დაუთმო. უოკერმა ბოსტონში შვიდი სეზონი გაატარა, მაგრამ 2003-2004 წლებში ის "დალასში" გაცვალეს. 2004 ზაფხულში კი "ატლანტაში" აღმოჩნდა.

NBA-ში დამკვიდრებულია მოთამაშეების მიერ ნომრების გაყიდვის პრაქტიკა, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი არაკომერციულ ჩარჩოებში მოხდა. "მე მას ვუთხარი: ფული საჭირო არ არის. უბრალოდ, შენი მეურვეობის ქვეშ ამიყვანე. მე ხომ კარგი ბიჭი ვარ," - გაიხუმრა ჯეფერსონმა.

### ფერგიუსონი რონალდოსა და რუნის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს

"როიტერსის" ცნობით, ინგლისური კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ მისი ბიჭები უეინ რუნი და კრიშტიანუ რონალდო უახლოეს მომავალში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები გახდებიან.

"ისინი შეუდარებლად თამაშობენ. დრო გავა და მაღალი კლასის ფეხბურთელები გახდებიან," - განაცხადა ფერგიუსონმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**შაბათი. 5 მარტი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ბეტისი"
13:55 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. ცსკა - "მოსკოვი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:55 უეფას თასის 1/16 ფინალური მატჩების მიმოხილვა
16:25 თავისუფალი დარტყმა
16:40 "საფეხბურთო კლუბი"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ვერდერი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. "ნორვიჩი" - "ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
22:25 იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "იუვენტუსი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:20 თავისუფალი დარტყმა
00:35 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. ცსკა - "მოსკოვი". საპასუხო მატჩი

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 12:30, 18:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 20:50 "ქრონიკა"
10:25 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "PHILADELPHIA 76ERS" - "CLEVELAND CAVALIERS"
12:45 "სარკის წინ"
13:25 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ვაჟები. დაშვება. პირდაპირი ტრანსლაცია
14:40 ჩოგბურთი. დევისის თასი. პირველი წრე. რუსეთი - ჩილე. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
18:20 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. "აკ ბარსი" - ცსკა. პირდაპირი ტრანსლაცია
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 წყალში ხტომა. გერმანიის დიდი პრიზი. ქალები. სინქრონული ხტომები. კოშკურა. ქალები. ტრამპლინი 3 მ. ვაჟები. სინქრონული ხტომები. კოშკურა. ფინალები
22:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
23:15 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ვაჟები. დაშვება
00:15 ახალი ამბები
00:30 ბადმინტონი. გერმანიის დიდი პრიზი

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 თავგადასავალი
11:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
12:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში. სპრინტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
13:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი ფინეთში. გუნდური სპრინტი
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში. სპრინტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი ფინეთში
17:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
18:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 მძლეოსნობა. ევროპის სადარბაზო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 მებრძოლთა კლუბი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. ფინალი
02:30 ახალი ამბები
02:45 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის თამაშები აშშ-ში
03:45 ახალი ამბები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

საქართველო, მაინც, პარადოქსებით არის სავსე. მარტო ჩვენში გაიგონებ გინებას „ჩემი დედა მო...„ და მხოლოდ ჩვენ აღვნიშნავთ დედის დღეს!

## რა სასიამოვნო მოსასმენი, საყურებელია!

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი ნაწილი პოლიტიკას, პოლიტიკოსებს, ხელისუფლებას და მათ მოსმენას უკავია, სამწუხაროდ, გასაგები, მარტივი, აზრიანი და შინაარსიანი საუბრით დიდად განებივრებულები ნამდვილად არ გახლავართ. როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების, ოპოზიციური თუ მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ნაწილი თუ გაგაგებინებს, რისი თქმა უნდა. ზოგიერთმა მათგანმა ლაპარაკი საერთოდ არ იცის, აზრს ვერ აყალიბებს, რაღაცას მიედ-მოედება. ზოგიერთი საათობით, შეუჩერებლად, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით, მოგონილი სიტყვებითა და გულწრფელობის ნატამალის გარეშე გაუთავებელ დემაგოგიას ავითარებს. ზოგიერთი, პირიქით, მოკლედ სიტყვაძუნწად, მოჭრილი, დაუსრულებელი ფრაზებით და შესაბამისად, ასევე გაუგებრად ლაპარაკობს. ზოგიერთი ცდილობს, ძალიან ჭკვიან ადამიანად, პოლიტიკოსად მოგაჩვენოს თავი, რომლის თითო სიტყვას ოქროს ფასი აქვს და ამითი კიდევ უფრო სულელურად გამოიყურება. ზოგიერთს კი, პირიქით, სულელები ჩვენ ვგონივართ და პრიმიტიულად, ადვილად გასაშიფრად ტყუის და ვერ ტყუის. ტელეეკრანზე ცალკეული პოლიტიკოსი ან მთავრობის წევრი როგორც კი გამოჩნდება, საზოგადოებამ უკვე წინასწარ ზეპირად იცის, რას უნდა ელოდოს - ტყუილს, მართალს, დემაგოგიას თუ სრულიად გაუგებარ პოზიორობას. ხელისუფალთა საუბარი კიდევ უფრო მძიმე სახეს იღებს, თუ მათ ვინმე ოპონირებს, იქნება ეს ჟურნალისტი, რომელიმე ტელედებატის წამყვანი თუ განსაკუთრებით უცხო, რუსულ ენაზე მოსაუბრე.

სწორედ აქედან გამომდინარე, მოულოდნელად სასიამოვნო, საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ აღნიშნულ და დაფასებულ იქნა "რუსთავი 2"-ის გასული კვირის ეთერში ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი წევრის, ივლიანე ხაინდრავას და რუსეთის პრეზიდენტის მრჩევლის (გვარი არ მახსოვს. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს) პოლემიკა, რომელიც საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის უმნიშვნელოვანეს, ურთულეს საკითხებს ეხებოდა.

ვინ ღვთისნიერმა მოიფიქრა და რუს პოლიტიკოსთან საკამათოდ სწორედ ივლიანე ხაინდრავა მოიწვია? ჩვენი ტელეეთერით ასეთი გამართული, ზომიერი, ინტელიგენტური, მაგრამ ამავე დროს მკვეთრი, ლაკონური, კონკრეტული და, რაც მთავარია, იდეალური რუსულით საუბარი დიდი ხანია, არ მოგვისმენია. რუსებთან სასაუბროდ რატომღაც უმეტესად ისეთ პიროვნებებს იწვევენ, რომლებიც შეიძლება სწორად ფიქრობენ, ხედავენ, მაგრამ, ენის არასაკმარისი ცოდნის გამო აზრს ვერ აყალიბებენ, პოზიციას ვერ ინარჩუნებენ და პირველივე შეკამათებისას უსუსურ ბლუყუნ-ბურდღუნზე გადადიან. არ გეგონოთ, რომ მე რუსულის ცოდნას აუცილებლად მივიჩნევ. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ რუსულენოვან ოპონენტს რუსულის მცოდნე ქართველი პოლიტიკოსი უნდა დაუპირისპირდეს, ინგლისურენოვანს კი ინგლისურენოვანი, რაც დღევანდელ ხელისუფლებაში ბევრად უფრო იოლი მოსაძიებელია. პოლემიკის, დიალოგის, კამათის დროს ენის ცოდნა ის აუცილებელი ფაქტორია, რომელიც საუბრის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადმოცემის თავისუფალ, ოპტიმალურ პირობებს იძლევა.



ვინ ღვთისნიერმა მოიფიქრა და რუს პოლიტიკოსთან შესახვედრად ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი მოიწვია. ამით ხომ ქართული მხარის არგუმენტაცია კიდევ უფრო დამაჯერებელი, ობიექტური გახდა. თურმე, შესაძლებელია, რომ თან ოპოზიციონერი იყო და თანაც უცხო ქვეყნის აგრესიული პოლიტიკის წარმომადგენელთან საუბრისას მხოლოდ შენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობდე. თურმე, შესაძლებელია, რომ უამრავ სხვადასხვა საკითხზე განსხვავებული აზრის მიუხედავად, ქვეყნის გლობალურ პრობლემებს მიუკერძოებლად, პირადი ინტერესების, ამბიციებისა და ელემენტარული ღალატის გარეშე იცავდე. ნუთუ ახლაც ვინმე იტყვის, რომ ლეიბორისტებიც და რესპუბლიკელებიც ოპოზიციაა? ჩემდა საუბედუროდ, რუსული ტელევიზიისთვის ჩაწერილი შალვა ნათელაშვილის ერთ-ერთი გამოსვლა მაქვს მოსმენილი და ჩემზე პირადად, პატარა მოღალატის, პავლიკა მოროზოვის შთაბეჭდილება დატოვა. ერთი განსხვავებით - პავლიკამ რუსული მაინც იცოდა.

უცხოენოვან ოპონენტებთან საუბრის უუნარობა, კამათის ხელოვნების არცოდნა, საკუთარი პოზიციის დაცვის უსუსურობა, სამწუხაროდ, როგორც პოლიტიკოსების, ისე მასმედიის წარმომადგენლების შემთხვევაში, საკმაოდ ხშირი და უმეტესად მძიმე სურათია, რომელიც, ჩემი აზრით, ნაწილობრივ მაინც ენის არასრული ცოდნითაც არის განპირობებული. მხოლოდ ერთ-ორ შემთხვევას თუ გავიხსენებ, როდესაც ქართული მხარის პასუხებით, სიმტკიცით, ლოგიკით, ენის ცოდნით და, აქედან გამომდინარე, საუბრის სითამამითა და თავისუფლებით კმაყოფილი, ამაყი დავრჩენილვარ. კარგად მახსოვს, როდესაც წინა შეკრების პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მოთმინების ფიალა აევსო და "რუსთავი 2"-ის ეთერში ემოციურად ჩართვა მოითხოვა, რათა ერთ-ერთ ქართველ პოლიტიკოსს დახმარებოდა და მე მგონი, თუ არ მეშლება, ზატულინისთვის პასუხები გაეცა. და გასცა კიდეც, თანაც ისე, თითქოს თითოეული ჩვენგანის სათქმელს ეუბნებოდა. ასევე, ძალიან დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთ წამყვან გადაცემაში მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი ჩართვა, სადაც მას ამ ქვეყნის ყველაზე აგრესიული პოლიტიკოსები ოპონირებდნენ. სააკაშვილმა შესანიშნავად შეძლო ამომწურავი, გასაგები, მკვეთრი პასუხების გაცემა და განსაკუთრებით აქტიურ-აგრესიული ოპონენტების ადგილზე დაყენება. სწორედ ამ გადაცემაში გაჟღერდა სააკაშვილის ჟირინოვსკისადმი მიმართული ცნობილი პასუხი - "придурков всюду хватает". ასევე, ალბათ, ყველას გემახსოვრებათ რუსი ბიუროკრატიისადმი გოგა ხაინდრავას მიერ დასმული, დაჟინებით რამდენჯერმე გამეორებული და უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვა - "какие две страны соединяет Рокский тунель?" მგონი, ეს არის და ეს, რაც მახსენდება, დანარჩენი კი ტელეწამყვანებიდან დაწყებული, ქვეყნის უმაღლესი პირებით დამთავრებული, რას ბლუყუნებენ, თვითონაც არ იციან. რაც მთავარია, ამ ბლუყუნ-ბორძიკში, წინადადების სწორად დაწყობის, ზუსტი სიტყვის ძიებაზე ფიქრში და სრულიად გაუგებარი, არასაჭირო ზერუსული აქცენტის დაყენებაში აზრი, საწყისი იკარგება. რისი თქმა, რისი კითხვა, რაზე პასუხი უნდოდათ, კაცი ვერ გაიგებს.

არ იცი კარგად რუსული? მერე რა! რა პრობლემაა! მაგრამ მაშინ დემაგოგ, გატლეკილ, ენაწყლიან რუს პოლიტიკოსებთან უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კამათისგან ეგებ ჯობს, თავი შეიკავო, რომ ამით შენი ქვეყნის პოზიციის სისწორეს, მის ინტერესებს რაიმე არ დააკლო, რამე ვერთქმული, ვერგადმოცემული ან ვერგაგებული არ დაგრჩეს.

რუსი პოლიტიკოსი დაიბნა, წაბორძიკდა, გაბრაზდა და საბოლოოდ, ჩემი აზრით, კამათში დამარცხდა. რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავას გამოსვლით კი სწორედ იმიტომ ვისიამოვნე, რომ ქართველი ოპოზიციონერი დეპუტატი არც ზედმეტად რუსობდა, არც არაბუნებრივ აქცენტზე წვალობდა, არც პოზიორობდა და არც იბუტებოდა (ეს განსაკუთრებით ქართველ ჟურნალისტებს სჩვევიათ, როდესაც მათი დამტვრეული, "აქცენტიანი" რუსული რესპონდენტებს არ ესმით), არამედ აუღელვებლად, მეთოდურად, ჩამოყალიბებულად, დინჯად, ღიმილით სახეზე, სრულიად თავისუფლად, ლიტერატურული, განათლებული რუსულით ამბობდა იმას, რასაც ფიქრობს, რაც ქართული პოლიტიკის ინტერესს წარმოადგენს და რასაც, მარტივად, სამშობლოს გააზრებული, ცნობიერი, ერთგული სიყვარული ჰქვია.

იცით, ეს მართლაც ძალიან სასიამოვნო საყურებელია!

## ჩემი სადარდებელი მინისტრი

გახსოვთ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხალხში ასეთი მოარული ხუმრობა დადიოდა: "ვისი დედაა საქართველოში დღეს ყველაზე პოპულარული, ხშირად ხსენებული?" და პასუხად პერმანენტულად ცვალებადი ენერგეტიკის სხვადასხვა მინისტრის გვარები სახელდებოდა.

საზოგადოების მხრიდან მთავრობისადმი, განსაკუთრებით კი აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი წვრილმანის შეუნდობლობის, პატარა შეცდომის უპატიებლობის, გაუთავებელი კრიტიკის ტენდენცია მყარად არის დამკვიდრებული. პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ცუდი ამაში თავისთავად არაფერია. იყვნენ ცოტა მობილიზებულები და იცოდნენ, რომ თითქმის არაფერი ეპატიებათ. მეორე კი ის არის, რომ თვითონ ხელისუფლებაც მოდუნების, კმაყოფილების, განცხრომის საშუალებას ჯერ ნამდვილად ვერ გვაძლევს. ყველა ჩვენგანს ხელისუფლებაში ისეთი პირები გვყავს, რომელთა მიმართ სიმპათიით ან პირიქით, ანტიპათიით ვართ განწყობილნი. პირადად მე ჩემს დამოკიდებულებებს არ დაგიკონკრეტებთ და უბრალოდ გეტყვით, რომ თუ, მაგალითად, განათლების მინისტრ კახა ლომაიას, ფაქტობრივად, ყველაფერში ვეთანხმები, ზოგიერთს პირიქით, არაფერში. ერთადერთი მინისტრი, რომელიც ჩემში არც გაღიზიანებას, არც სიბრაზეს, არც გაკიცხვისა და კრიტიკის სურვილს რატომღაც არ იწვევს, ეს დღევანდელი ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაურია. გარდა იმისა, რომ გილაური მესიმპათიურება, უბრალოდ, ადამიანურად, მინისტრისთვის სრულიად შეუფერებლად მეცოდება. ეტყობა, საკმაოდ ემოციური პიროვნებაა და მისი სახის გამომეტყველებით, სასოწარკვეთილი თვალებით ენერგოსისტემაში მომხდარი რიგითი ავარიის თუ დივერსიის სიძლიერეზე, სერიოზულობაზე თავისუფლად შეიძლება იმსჯელო. ელემენტარული ადამიანური ემოციებით გამორჩეული მინისტრი ჩემში სიბრალულის, თანადგომისა და ჩვენი გაჭირვების ასეთი გულწრფელი, დაუმალავი გაზიარების გამო, მადლიერების გრძნობას იწვევს. კი ვზივარ პერიოდულად ნახევარი საქართველოს მსგავსად სიბნელეში, უწყლობაში, მაგრამ რატომღაც ამჟამინდელ ენერგეტიკის მინისტრზე არა და არ ვბრაზობ. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზე მეტად თუ არა, ნაკლებად მაინც არ წუხს.

მეორე, წლების განმავლობაში ასევე მოარული ხუმრობა თუ გახსოვთ: ვაკეს სინათლე კიდევ ერთი კვირით გაუთიშეთ! - ბრძანა ენერგეტიკის მინისტრმა. ერთი კვირის თავზე სინათლის მოსვლას ბედნიერი ვაკელები სიხარულის შეძახილებით ხვდებიან - ეგენი რა, კიდევ ცოცხლები არიან? - კითხულობს გაბრაზებული მინისტრი.

ამ ბოლო პერიოდში რაღაცა არც ერთი ეს ხუმრობა აღარ გამიგია. ეტყობა, დაკარგა აქტუალობა. ხალხში კი გილაური ჩემსავით მწარე ხუმრობების მოგონების კი არა, თანადგომის სურვილს უფრო იწვევს.

აი, ახლა სწორედ, როდესაც ამ წერილს ვწერდი, სინათლე ისევ წავიდა, მე სიბნელეში ვზივარ და გიჟივით გილაურზე ვდარდობ.

ალბათ, უბრალოდ, კარგი ადამიანი ვარ, არა?

## "ისტორია ნანგრევებია"

ხალხი ხუმრობს, "გორგასალი უკვე ნანობს, თბილისი რომ გააშენაო". ჩვენი ქვეყნის ერთ დროს ულამაზესი დედაქალაქი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უამრავ დარბევა-შემოტევას გადაურჩა, ასე დაჟინებით რატომ გვინდა, რომ ჩინოვნიკებისა და არქიტექტორების ამბიციებს საბოლოოდ შევწიროთ? დღეს, სამწუხაროდ, არც ნაპოლეონი მეგულება ვინმე, არც ოსმანი და თბილისიც პარიზი არ არის. თუმცა, არც დისნეილენდია. მის უძველეს, ერთადერთ მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულ და ჯერ საბოლოოდ გაუნადგურებელ ნაწილში მოგონილი, თითიდან გამოწოვილი, თეატრალური დეკორაციასავით თითქოს პაპიემაშესგან აშენებული, ცისფერ-ყვითელ-ნარინჯისფრად შეღებილი შენობების მტკვარზე აშენების სურვილი, გაფიქრებაც კი გაუმართლებელი, აბსურდული და, რბილად რომ ვთქვა, თამამი მგონია. ქალაქის ყველაზე კოლორიტული ნაწილის ხელოვნურად გაშენება-აღდგენა, გაყალბება, სრული ნიველირება უკვე იმ მასშტაბის დანაშაული იქნება, რომელიც არც ერთ წინამორბედ მშენებლობას არ შეედრება.

ამბიციები გაწუხებთ? კი ბატონო! საგანგაშო მდგომარეობაშია სოლოლაკი, მთაწმინდა, მეიდანი და უამრავი სხვა ძალიან ღირებული უბანი. მიხედეთ და ამბიციებსაც დაიკმაყოფილებთ და კეთილ საქმესაც გააკეთებთ. აღადგინეთ, შეინარჩუნეთ, მოუარეთ იმას, რაც გვაქვს და რაც მოვლას ითხოვს. უსაფუძვლო ამბიციების შედეგები კი თბილისში საკმარისად გაგვაჩნია: კანცელარიის შენობა, რესპუბლიკის მოედანი, დანგრეული რიყე, აბანოთუბანში აშენებული უზარმაზარი კორპუსი და სხვა მრავალი.



ან ამ ეტაპზე ქართველი ბიზნესმენების პომპეზური შეკრება და მათთვის პროექტის გაცნობა რა შუაში იყო? ნუთუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს, რომ რომელიმე მათგანი სამასმილიონიანი პროექტის დამფინანსებელია? ან რომ იყოს, ნუთუ მართლა გგონიათ, რომ დღეს საზოგადოება გაუკონტროლებლად მათ ამის უფლებას მისცემს? ტელევიზიით ვერ ნახეთ, როგორ ინიციალებიან სავარძლებში, როგორ დეკორირებულ დარბაზში ისხდნენ. ეს ხომ გემოვნების ელემენტარული მაჩვენებელია. ვისაც ეს სავარძლები მოსწონს, სპეციალურად უკვეთავს, იმას უნდა ვანდოთ ჩვენი დედაქალაქის უძველესი უბნის "აღდგენა", რომ სახლებზეც ინიციალები ამოგვიტვიფრონ?

მტკვარი მთელ თბილისს ჭრის და უამრავი ისეთი ადგილი არსებობს, რომელსაც ახალი შენობანაგებობების, "ვირის ხიდების" მშენებლობა მოუხდებოდა. ხიდებიც ფუნქციური და არა ბუტაფორულ-დეკორატიული იქნებოდა, მტკვრის სანაპირო კი გაცოცხლდებოდა. არა, მათ ამბიციებს მაინცდამაინც გორგასლის სიახლოვე აკმაყოფილებს. მერწმუნეთ, დღეს ახალი "ბერიკონის", "ქალაქურის", "ამბასადორის" მსგავსი, ხელოვნურად აივნებმიწებებული ფსევდოთბილისური კიტჩის აშენება გაგიჭირდებათ. შეეგუეთ ამ, თქვენთვის შეიძლება მძიმე, მაგრამ რეალურ აზრს. შეელიეთ ამბიციებს. მოეშვით სიყალბეს.

## უკრაინული ამბები

### მოგვეკითხა მაინც!

უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო ჩაცმულობის შიკით, სიმდიდრითა და გემოვნებით მსოფლიოს პოლიტიკურ ელიტაშიც კი გამოირჩევა და მისი ბოლო მოდის დახვეწილი კოსტიუმები მსოფლიო ყვითელი პრესის აღფრთოვანებული განსჯისა და გარჩევის თემად იქცა. მაგრამ, ბუნება ისეა მოწყობილი, რომ პრემიერ-მინისტრობაშიც კი ქალი მაინც ქალი რჩება და საკუთარი გარდერობის განახლებაზე მუდამ ფიქრობს. ალბათ ყველა ქალი დამეთანხმება, რაოდენ გულდასაწყვეტია, როდესაც რაღაცა ძალიან მოგწონს, გინდა და ვერ ყიდულობ. ან კიდევ უარესი, ყიდვით კი ყიდულობ, მაგრამ ზომაში არ გერგება. საქართველოს სავაჭრო პალატის მიერ უკრაინაში მოწყობილი გამოფენის ერთ-ერთ სტენდზე წარმოდგენილი ენით აუწერელი ფეხსაცმელები ვისზე ვისზე და, ტიმოშენკოზე არ იყო განსაზღვრული. ამიტომაც, უკრაინის საბრალო პრემიერ-მინისტრს კონკიას დებივით არც ერთი ფეხსაცმელი არ მოერგო. არადა, როგორ უნდოდა! ვარდისფერქუსლიან ბუკლეს ნაჭრიდან შეკერილ ფეხსაცმელებს ხელიდან ვერ უშვებდა და გარშემომყოფთ თვალებში ვედრებით შესცქეროდა. ეგება, ვინმეს ეშველა. ქალი მაინც ქალია!

თუ ზღაპარია, ბოლომდე ზღაპარი იყოს და როგორც ნამდვილ ზღაპარში, უეცრად პრემიერ-მინისტრის გვერდით ყველა ბავშვისთვის საოცნებო ბრჭყვიალა კაბაში გამოწყობილი მშვენიერი ფერია გაჩნდა. ზღაპრის ფერიები, როგორც წესი, კეთილები არიან, მაგრამ თუ ფერია საქართველოს დელეგაციას წარმოადგენს და, შესაბამისად, მხოლოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის დამახასიათებელი ხელგაშლილობით გამოირჩევა და თანაც ფეხსაცმელებს კერავს, მეწაღეა, მაშინ ეს ფერია აუცილებლად თათა ვარდანაშვილი იქნება!

ფეხსაცმელების მკერავი ქართველი კეთილი ფერია თათა გამოჩნდა და ერთ წამში, დაუფიქრებლად, უკრაინის პრემიერ-მინისტრს, არც მეტი არც ნაკლები, სპეციალურად თავისთვის, ინდივიდუალური, საავტორო და შესაბამისად, განუმეორებელი დიზაინით, საკუთარი ხელით შექმნილი ფეხსაცმელები აჩუქა! რა არის მაინც სიკეთე და ქალური თანადგომა, ურთიერთგაგება! მართალია, ფერია თათამ ფეხსაცმელები თავისთვის შეიკერა, მერე არ მოეწონა (თვითკრიტიკაც ჰქონია!) და აღარ ჩაიცვა, მაგრამ დიზაინის ამგვარ შედევრს უქმად ხომ არ გააფუჭებდა და დიდსულოვნად ტიმოშენკოს მისცა.

წესით, ზღაპარი აქ მთავრდება, მაგრამ მე ეჭვი მაქვს, რომ ამ კონკრეტულ ზღაპარს ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს. მოგვეკითხა მაინც უკრაინის პრემიერ-მინისტრი, თავს როგორ გრძნობს, ხომ არ კოჭლობს? მერე რა, რომ ფერია თათას და პრემიერ-მინისტრ იულიას ერთი ზომის ფეხი აქვთ, ფეხსაცმელი ხომ მაინც ვარდანაშვილის შეკერილია და შესაბამისად, დაზღვეულები არაფრისგან არ ვართ.

### ვერაფრით წარმოვიდგენდი!

ნამდვილად არ ვიცოდი, რომ საქართველოს კულტურის მინისტრი ასე მღერის! არც ის მეგონა, რომ ლილიკო ნემსაძე თუ რუსა მორჩილაძე (მერევიან) მისი საყვარელი ქართველი კომპოზიტორები არიან. არაფრით წარმომედგინა, რომ ჩვენი მთავრობის, ერთი შეხედვით, ყველაზე დინჯი, დარბაისელი მინისტრი ასეთი უშუალო, ადამიანური, გულგადაღერებული და დარდიმანდი ყოფილა!

ქართული კულტურისადმი მიძღვნილი საღამოს აზერბაიჯანულ სიმღერაზე ჩატარება თუ შესაძლებელი იყო და თანაც ასე მხიარულად, თავდავიწყებით, ვერც ამას წარმოვიდგენდი, არადა, "вилка, рюмка - черная икра" მისამღერი მთელმა დარბაზმა როგორი ხალისით აიტაცა!

მეგონა, რომ გიო ხუციშვილს მთელი ცხოვრება ვიცნობდი, მაგრამ ეს რა ცეკვა სცოდნია! შთაბეჭდილების ქვეშ ვარ! რა ხელების გაშლა! რა მუხლებზე დაჩოქება! რა ცეცხლოვანება!

და მუსკომედიის თეატრის ახლახან დანიშნული დირექტორის თიკა რუხაძის ცეკვა?! დარწმუნებული ვარ, რომ დირექტორობასთან ერთად სცენური მოღვაწეობაც უნდა შეითავსოს. აბა, ასეთი მიხვრა-მოხვრის, კოლორიტის დაკარგვა საცოდაობა არ არის?!

რა ბედნიერებაა, მაღალფეხებიანი, ქერა, ლამაზი უკრაინელი გოგონები ასეთი კმაყოფილები რომ დარჩნენ! ალბათ, ამ დაუვიწყარი საღამოს შემდეგ, საქართველოს ხსენებაზე მუხლებზე დაჩოქილი გიო ხუციშვილი, ლილიკოს თუ რუსას ფანი, დარდიმანდი კულტურის მინისტრი და ხელებგაშლილი თიკა წარმოუდგებათ თვალწინ. ლაიტმოტივად კი "вилка, рюмка - черная икра" მოესმებათ. აბა, როგორ?! ასე უნდა შენი ქვეყნის პოპულარიზაცია!

ისე, ამ "თელიანი ველის" ღვინოებს რამხელა გრადუსი ჰქონია! არ გათიშა ყველა?

## TV პროგრამა

## 5 მარტი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "როცა ბნუება გიხმობს" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** მხ. ფილმი "სხვისი შვილები" (გ) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "ბუნიაობის ყვავილი" (გ) რეჟ. იასუძირო ოძუ. **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" (18)

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.35(შვეიცარია), 02.00(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ღია ბარათი "გურმანი" **08.00** საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა. "ბიდუმ-ბიდუმ" **09.30** გადაცემა: აღმოჩენა. ხელები და საოცრებები. **14.00** მედიჩის ბიბლიოთეკა. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** კაპიტოლი. ნიკოლა ჟოელი. **20.25** დამნაშავენი. ტელესერიალი. **24.25** მაშველები. ტელესერიალი.

### 1

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "შუქურა სოლტი" **08.45** საბავშვო სერიალი "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "ჯაყოს ხიზნები" **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "მკვლელი ჭიანჭველები" **13.20** მხ. ფილმი "უკვდავების თეთრი ვარდი" **15.00** მუსიკა **16.00** "ჰოლმარკი"-"მერლინი" **17.00** "ზამთრის ფანტაზიები" **17.25** რაგბი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაკრები გუნდები. საქველმოქმედო მატჩი. (ინგლისი). შესვენებისას "მთავარი". **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი"-ბერლინი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **21.30** "რაციო" - გაგა ნიჟარაძე **22.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - ჩერჩილი. მე-2ს. **23.30** "ჩვენ" **00.45** მხ. ფილმი "დიდოსტატის მარჯვენა" 1-ლი ს. **01.00** საინფ. გამოშვება **02.00** ფორმულა-1.

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ბედის ბორბალი" (გ) **13.00** ტუწ-ემ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** საწინდარი **20.10** საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **21.00** მხ. ფილმი "მარადიული ბრძოლა" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.50** მუსიკა მზეზე **09.00** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **09.30** ანიმაციური ფილმი "იასამნისფერი სასახლე" **10.00** კონცერტი **11.00** კრიმ. სერიალი "სთშ" **11.30** კრიმ. სერიალი "პატარა დიდი ბობი" **12.00** სერიალი "ვუპი" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** სერიალი "კარაბინერები" **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "მილიონზე მონადირენი" (გ) **16.15** მუსიკა მზეზე **16.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** სერიალი "კარაბინერები" **17.50** ქართ. მხ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ტელეჟურნალი "სცენა" **22.00** კრიმ. სერიალი "სთშ" **00.00** მხ. ფილმი "წყლის წონა". (12) (შონ პენი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** ტელეზღაპარი **20.05** სერიალი "ცეკვის ენა" **20.30** დოკ. ფილმი "ჯინსის ბლუზი" **21.20** სპექტაკლი "ოდელია, ოდელია" **22.35** კინოსეანსი "ერთი ბედის ანოტაცია"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.35** ქრონიკა **09.10, 13.15, 02.20** იმედის მელოდიები **09.30** ანიმ. ფილმი "კუ-ნინძების ახალი თავგადასავალი" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "დილის ფოსტა" **12.40, 16.15, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "როუზების ოჯახი" (გ) (კ. ბუკე) **15.15** უცნობი საქართველო **15.45** წუთისოფელში **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.00** სერიალი "შეხვედრის ადგილი უცვლელია" 1-ლი ს. **21.15** ტვ-ლოტო **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" -"იუვენტუსი". მე-2 ტაიმი. **00.20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "ატალანტა" -"მილანი".

### აჭარა

**08.00** მუსიკა **09.00** საინფ. დაიჯესტი **09.15** კომედია "მე ცეზარი ვარ" **11.00** მხ. ფილმი "საზღვაო თავგადასავალი" **12.30** მულტფილმი **14.50** დოკუმენტური ფილმი "ალექსანდრე" მე-2ნ. **15.50** ბოევიკი "ცეცხლოვანი ბრძოლა" **17.30** საინფ. გამოშვება **17.55** "ჭიტა-ჭიტა" **18.15** მელოდრამა "ესპანური სამიზნე" **20.00** "ზ.თ" **20.30** "დიალოგი" **21.05** "ფერისცვალება" **21.25** თრილერი "გავლენის ქვეშ" **23.00** მუსიკა **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** მელოდრამა "სიცილი და სასჯელი" **02.00** მუსიკა

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ПОТЕРЯВШИЕ СОЛНЦЕ"**. Закл. с. **10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Алексей Гуськов в многосерийном детективе **"ПОДОЗРЕНИЕ"**. Закл. с. **13.30** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. Закл. с. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Валерия Заклунная в фильме **"В НЕБЕ "НОЧНЫЕ ВЕДЬМЫ" 16.50** "Пять вечеров". **18.10** Криминальная Россия. "Осторожно, квартирант!". **2**-я серия. **18.40** "Основной инстинкт". Ток-шоу **19.40** "Поле чудес" **21.00** Время. **21.25** Большая премьера. **23.10** Рис Уизерспун в комедии **"СТИЛЬНАЯ ШТУЧКА". 01.10** Брэд Питт в фильме **"ЛЕГЕНДЫ ОСЕНИ"**. После войны с индейцами полковник Уильям Ладлоу вышел в отставку и поселился вместе с семьей - женой и тремя сыновьями - в глухом, но очень живописном месте штата Монтана. С детства трое братьев были неразлучны. Старший Альфред вырос юношей серьезным и рассудительным, Тристан - замкнутым и немного диковатым, а младший Самюэль - жизнерадостным, ласковым, восторженным романтиком. Именно он привел в дом невесту - Сюзанну, роковым образом изменившую жизнь всей семьи... **03.50** Тирс Гибсон в фильме **"МАЛЫШ"**. Джоди - молодой чернокожий парень всю жизнь живет под "крылом у мамочки". Он постоянно терзается своей зависимостью, но ничего не собирается менять. У Джоди нет работы, зато есть сын и дочь от двух разных женщин. Но, даже несмотря на это, никакая сила не может заставить его покинуть материнское гнездо и начать жить самостоятельно...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: НЕ СУДИТЕ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Военное дело. **10.50** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5". 11.50** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 13.40** Ирина Купченко в фильме **"ОДИНОКАЯ ЖЕНЩИНА ЖЕЛАЕТ ПОЗНАКОМИТЬСЯ"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.35** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Профессия - репортер. **20.10** Дмитрий Харатьян в комедии **"УБЕЙ МЕНЯ! НУ, ПОЖАЛУЙСТА"**. Чемпионка мира по стрельбе Валерия Новикова невольно оказывается в роли наемного убийцы - ей приказано "убрать" президента компании Вадима Перепелкина. Она не хочет нажимать на спусковой крючок, но... жертва сама просит ее об этом. Пытаясь избежать грядущего позора, Вадим даже делает попытку покончить с жизнью. Но безуспешно - все против него! И тогда несостоявшаяся убийца приглашает свою "жертву" в кафе - поужинать... **22.30** "Мировой бокс". **23.15** Сильвия Кристель в фильме **"ЛЮБОВНИК ЛЕДИ ЧАТТЕРЛЕЙ"**. Прикованный к инвалидной коляске герой войны сэр Клиффорд Чаттерлей не может исполнять супружеский долг по отношению к своей красавице-жене Констанс. Он разрешает ей найти любовника. Но происходит непредвиденное - Конни влюбляется в лесника Мэллорса и готова родить от него, навсегда связав с ним свою судьбу... **01.30** "2:1". Ток-шоу **02.20** Уильям Херт в остросюжетном фильме **"ДРУГИЕ ИПОСТАСИ"**. Молодой профессор медицины Эдди Джесси проводит оригинальные опыты по взыванию необычных видений. Он отправляется в Мексику, где пробует у местных индейцев галлюциногенные грибы и становится оборотнем. И только благодаря любви его жены Эмили, ученому удастся вернуться из потустороннего хаоса... **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II". 05.40** Чрезвычайное происшествие.

---

სახელი ____________ მისამართი ____________

გვარი ____________

ასაკი ____________ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ____________

სიმაღლე ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი____________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

[illegible]

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:
[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

[illegible]

## სკანვორდი



ქართული ხალხური [illegible]
ნიკარაგუის დედაქალაქი
ალალბედზე მოქმედება
უკრაინელი ანარქისტი
წინასწარი განცხადება
*** კეპვერნი
დამუხტული ატომი
*** ლაჟღერი
ტროპიკული [illegible]
მსახიობი *** ბრანდო
6 და 2 ნარდში
ჯუჯა კამეჩი
ზანდუკი

წინა სკანვორდის პასუხები: [illegible]

ათეულები

## თანამედროვე როკის ცხელი ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| "გრინ დეი" | Boulevard of Broken Dreams | 1 | 22 კვირა |
| [illegible] | Little Sister | 3 | 7 კვირა |
| [illegible] | Pro-Beck | 7 | 4 კვირა |
| [illegible] | Mr. Brightside | 4 | 22 კვირა |
| [illegible] | Scars | 2 | 17 კვირა |
| [illegible] | Save Me | 5 | 13 კვირა |
| [illegible] | Work | 9 | 12 კვირა |
| [illegible] | Home | 8 | 20 კვირა |
| [illegible] | The Widow | 12 | 8 კვირა |
| [illegible] | Hysteria (I Want It Now) | 10 | 27 კვირა |



## ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 21,905,089 | 21,905,089 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 20,420,799 | 121,429,017 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 12,046,452 | 60,977,992 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 9,633,085 | 9,633,085 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 8,917,251 | 8,917,251 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 7,344,390 | 64,851,738 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 6,823,980 | 22,275,661 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,111,030 | 76,477,479 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,822,241 | 14,018,767 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,739,037 | 93,643,789 |



# გზა ვარსკვლავობისკენ პეტერბურგზე გადის

ვერა ნეფარიძე

*სანქტ-პეტერბურგში მეორედ გამართულ საესტრადო სიმღერის კონკურსს კიდევ ერთი თბილისელი გამარჯვებული ჰყავს. გზა ვარსკვლავებისკენ* **(Путь к Звездам** *- ასე ჰქვია კონკურსს) ამჯერად წარმატებით გაიარა 14 წლის ანი დადუნაშვილმა.*

საერთაშორისო კონკურსი წელს რუსეთის "ჩრდილოეთ დედაქალაქში" 22-28 თებერვალს მიმდინარეობდა და მასში 15 ქვეყნის წარმომადგენელი, 21 წლამდე ასაკის მომღერლები მონაწილეობდნენ. კონკურსი ორ წელიწადში ერთხელ იმართება; რიგით მეორე, როგორც ქართველი მონაწილეები ამბობენ, შედარებით დახვეწილი ჩანდა და ორგანიზებულობითაც გამოირჩეოდა. მათივე თქმით, მონაწილეებიც საკმაოდ მაღალი დონის იყვნენ. თუმცა, რამდენიმე მათგანი კონკურსის დიპლომანტიც ვერ გახდა.

კონკურსს რამდენიმე ორგანიზატორი ჰყავს სანქტ-პეტერბურგის კულტურის კომიტეტის, პეტროგრადის რაიონის ადმინისტრაციის, შემოქმედებითი გაერთიანება "პეტროგრადის მხარის", საბავშვო ორგანიზაცია "სოზვეზდიესა" და საპროდიუსერო ცენტრ Alphastar-ის სახით. საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა 6-დან 21 წლამდე ასაკის ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ.

ალბათ, ბევრს გაუჩნდება შეკითხვა, რატომ იქცევს ქართველი კომპოზიტორების ყურდაღებას კონკურსი, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ახალბედაა - სულ მეორედ გაიმართა და, აქედან გამომდინარე, არც პრესტიჟულობით გამოირჩევა. პასუხი მარტივია: კონკურსში მონაწილეობა დამწყები საესტრადო მომღერლებისთვის თვალსაწიერის, შემოქმედებითი არეალის გაფართოების ერთ-ერთი საშუალებაა. ძალაუნებურად, ხდება გამოცდილების გაზიარება, შედარება. და, რაც არანაკლებ მთავარია, ერთი კვირის განმავლობაში მონაწილეთათვის საჭირო ხარჯებს საკუთარ თავზე იღებენ ორგანიზატორები. დამწყებ მომღერლებს კი, დიპლომებთან ან ფულად ჯილდოებთან ერთად, რჩებათ ერთკვირიანი შთაბეჭდილებები (თუნდაც, მარტო შთაბეჭდილებები).

ჟიურის ერთ-ერთ წევრად საქართველოდან, ისევე როგორც ორი წლის წინათ, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია მიიწვიეს. კონკურსის პირობების მიხედვით, ჟიურის წევრს არა აქვს უფლება, თანამემამულე კონკურსანტი შეაფასოს. პეტერბურგის კონკურსზე წელს რუსუდან ჭიჭინაძის კიდევ ერთმა მოწაფემ ანი დადუნაშვილმა გაიმარჯვა. 14 წლის ანი დადუნაშვილი ნიჭიერთა ათწლედში სწავლობს, ფორტეპიანოს განხრით. თუმცა, ვოკალისტის კარიერა უფრო ხიბლავს, რაშიც პეტერბურგის კონკურსზე გამარჯვება გარკვეულწილად დაეხმარება. ყოველ შემთხვევაში, თავდაჯერებულობას აუცილებლად შესძენს.

ქართველი კონკურსანტი პეტერბურგში ორი ნომრით გამოვიდა: "მთის სიმღერა" (ე.წ. პოპური, რომლის არანჟირების ავტორია ზაზა ხუბუკელაშვილი) და დუნაევსკის "ვალსი". როგორც კომპოზიტორი რუსუდან ჭიჭინაძე ამბობს, ორივე ნომერს კონკურსზე განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად. "მთის სიმღერა" ქორეოგრაფიულ ჩანართსაც ითვალისწინებდა, რისთვისაც მომღერალმა ქორეოგრაფიული მომზადებაც გაიარა (ნინო ქიტიაშვილთან). "დუნაევსკის "ვალსი" ახლებურად გაჟღერდა. როგორც წესი, მის შუა ნაწილში ორკესტრს აძლევენ ხოლმე დატვირთვას, ჩვენთან ვოკალი იყო მნიშვნელოვანი", - ამბობს რუსუდან ჭიჭინაძე და მოწაფის ვოკალურ შესაძლებლობებზეც სიამოვნებით საუბრობს: "ანი ძალიან ნიჭიერია. განსაკუთრებული ვოკალური შესაძლებლობები აქვს". პეტერბურგში 14 წლის თბილისელმა კონკურსანტმა მიწვევები მიიღო ბულგარეთიდან, ბალტიის ქვეყნებიდან, სომხეთიდან... ამჟამად ანი და მისი პედაგოგი ელოდებიან ანკეტებს ჰოლივუდის ჩემპიონატის ორგანიზატორებისგან. ანი დადუნაშვილი ამ კონკურსზე, სავარაუდოდ, აგვისტოში მიიღებს მონაწილეობას, თუ, რა თქმა უნდა, სპონსორის პრობლემა არ შეიქმნება. მანამდე კი დაიწყებენ ალბომზე მუშაობას. 14 წლის მომღერლის რეპერტუარში არის როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ისე ცნობილი კომპოზიციების დამუშავებული ვერსიები.



ანა დადუნაშვილი




ვახტანგი, უჩა, დიმა მიშველაძეები სამძიმარს უცხადებენ გოგი სადაღაშვილის სიდედრის **მარიამ შიოს ასული კოშაძე-ათანელიშვილის** გარდაცვალების გამო.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

[illegible]

მომდევნო კურსის დაწყების თარიღია 2005 წლის 4 აპრილი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები / კომპიუტერული სისტემის ინჟინერია / ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £4550 ხანგრძლივობა 16 თ.

[illegible] BA (Hons) [illegible] £ 6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

[illegible] £ 1000 [illegible]

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ნინო მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მეტეხის 2, სადარბაზო 1, ოთახი 1.
ტელ: 253045, 230284 მობ. 877-423569
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk



■ საერთაშორისო სამოდელო სააგენტო FACE 2 FACE და იმიჯ-ცენტრი აცხადებს რეგიონალურ კასტინგს საქართველოში და იწვევს 13-დან 20 წლამდე ასაკის გოგონებს.
■ მონაწილეობის მისაღებად შერჩეული გოგონები გაემგზავრებიან რუმინეთში ფინალურ კასტინგში მონაწილეობის მისაღებად.
■ მისამართი: ვაჟა-ფშაველას №45 ■ ტელ:53 69 11

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.